

დავით ქართველიშვილი

პროზისა და საკუთარი თავის შესახებ

ჩემ, სხვა ანას



2008 წლის რომელიღაც ნოემბერს ერთი ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორმა დამირეკა და საახალწლო ნომრისთვის მოთხოვნის დაწერა მოხდა. სწორედ ამ მოთხოვნის შედეგად დაიწერა ეს ნივთი. რაც შეეხება ჟურნალის დასახელებას, მას მკითხველი სამ ცდაში აუცილებლად გამოიცნობს, რადგან საქართველოში სულ სამი ლიტერატურული ჟურნალი გამოდის. მიუხედავად ასეთი ჩამორჩენილობისა, ჩვენ მაინც ვიტოვებთ იმედს, რომ ევროკავშირის ნევრი ქვეყანა გავხდებით; არ დავყრივთ ქუჩაში ნაგავს; დავიცავთ მოძრაობის ნებსებს და არ მივცემთ და არ ავიღებთ ქრთამს. ოცნებას კაცი არ მოუკლავს. ეს ანდაზა, როგორც ანდაზების უმეტესობა, ზოგადად ძალიან საეჭვო ჭეშმარიტებას ღაღადებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთლად ზუსტად თუ არ არის ნახმარი, არც თვალისადაც უზუსტოა და ვტოვებთ მითუმეტეს, რომ სხვა ანდაზა ან ფრთხილი გამონათქვამი, გალაკტიონ ტაბიძის — ფრთხილი, ფრთხილი კიდევ ფრთხილი გვიანდა-ს — გარდა, არ მახსენდება და თან დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს ფრაზაც მთლად ზუსტად არ მახსოვს, ასეც რომ არ იყოს, ფრაზა პათეტიკურია და ჩვენი ტექსტის განწყობას არ შეესაბამება. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არ შეესაბამება.

რედაქტორთან საუბრის შემდეგ მობილური ტელეფონი ჯიბეში ჩავიდე, სიგარეტის ნაწილი ქუჩაში დავაგდე, ქუჩა არასწორად გადავჭერი და სახლისკენ მთლად პერი-პერიტ არა, მაგრამ მხნე დავიძარი. საბედნიეროდ, არავისთვის მქონდა მისაცემი ქრთამი და სამწუხაროდ, არც არავის ქონდა ჩემთვის ქრთამი მოსაცემი. ასეთი ნეიტრალური მდგომარეობა პროზის სანერად ზედგამოჭრილია...

1
სხვა მწერლების მიერ პროზის შესახებ გამოთქმული იდეების განვითარებას ან უარყოფას (რაც თავისთავად განვითარების რადიკალური ფორმაა) საკუთარი ლიტერატურული გამოცდილების მიხედვით მოვხატე. ჩემი ლიტერატურული გამოცდილება, რა თქმა უნდა, უნივერსალური არ არის. აქედან გამომდინარე, მართებული იქნებოდა, ნიგნისთვის „ჩემი პროზის შესახებ“ მწოდებინა, მაგრამ ეს სახელწოდება ორი მიზეზის გამო იქნა ჩემს მიერ დაწუნებული. მიზეზი პირველი: ასეთი სათაური ქვია ხ. ლ. ბორხესის ერთ-ერთ ლექციას, მაგრამ ეს სუსტი მიზეზია და პირდაპირ რომ ვთქვა, თავისუფლად დავიკიდებდი ფეხებზე, რომ არა მეორე მიზეზი: ვთვლი, რომ ჯერჯერობით ჩემი პროზა არ არსებობს. რა თქმა უნდა, არსებობს ჩემი მიერ დაწერილი ნაკითხვის ღირსი რამდენიმე ნაწარმოები, მაგრამ ეს არ ნიშნავს ჩემი პროზის არსებობას. ეს არ არის პოზიორობა და ყალბი თავმდაბლობა, პირიქით — ეს ძალიან ამბიციური განცხადებაა, რადგან ჩემი პროზის არარსებობაში ვგულისხმობ იმას, ჩემი ნაწერები არ არის ისეთი დიდი და დამოუკიდებელი მოვლენა მსოფლიოსთვის, როგორც, დავთვით, დოსტოევსკის პროზა, ან ტოლსტოის პროზა. მოკლედ იმის თქმა მინდა, რომ სამყაროში ჯერჯერობით არ არსებობს დ. ქართველიშვილის პარალელური სამყარო. აქედან გამომდინარე, ნიგნის „პროზისა და საკუთარი თავის შესახებ“ დავარქვი.

2
სამზარეულოში მაგიდასთან ვზივარ, ლობიოს და პურს ვჭამ. რა თქმა უნდა, ვიცი, რომ რამდენიმე მართლაც დიდი და ასევე ბევრი საშუალო მწერალი შიმშილით მოკვდა და მორალური უფლება არ მაქვს, უფრო მრავალფეროვან და მსუყე სადილზე ვიფიქრო, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რადგან როგორც ადამიანების უმრავლესობას, მეც წარსულისადმი ამორალური დამოკიდებულება მაქვს, ანუ ძირითადად მის იგნორირებას ვახდენ.

ვფიქრობ მრავალფეროვან და მსუყე სადილზე, უფრო სწორად — ასეთი სადილის მოპოვების ლიტერატურულ ხერხზე და ათასმეერთედ ვიღებ გადწყვეტილებას, დავწერო დეტექტივი, ან ჯამბუჯური რომანი, ან სენტიმენტალური აბაღუბდა დიასახლისებისათვის. ჩემთვის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მწერალი ოთარ ჩხეიძე ერთერთ ნერილში (თუ არ ვცდები ნერილი ივანე მაჩაბელს ეხება) აღნიშნავს, რომ ქართველმა მკითხველმა დეტექტივი და სენტიმენტალური რომანი არ მიიღო და ამიტომაც ჩვენში ეს ჟანრები ვერ განვითარდა. ეს ნაწილობრივ სწორია, ანუ ქართველმა მკითხველმა არ მიიღო ქართული დეტექტივი და სენტიმენტალური რომანი, თორემ ვერ ვიტყვი, რომ ქართველები არ კითხულობენ ბრიტანულ და ამერიკულ დეტექტივებს ან ლათინოამერიკულ საპნის ოპერებს. პრინციპში კითხვა აუცილებელი აღარაა, რადგან ასეთი რამეების ტელევიზიით ნახვა შესაძლებელია.

გამოდის, რომ ქართველებს ქართველი ჭკვიანი და პატიოსანი დეტექტივის და ქართველი პროვინციელი, სენტიმენტალური, მეოცნებე გოგონას არსებობის არ გვჯერა. ან ქართველ მწერლებს არ გვჯერა და, აქედან გამომდინარე, ასეთ თემებზე დამაჯერებლად წერა არ შეგვიძლია.

3
ვისაღიქვ. ნასადილეზე, გული და კუჭი დამდგარია, ხოლო იმას, რა ჭამე, უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა. კვლავ დიდ პროზაიკოსობაზე მეოცნებე დ. ქართველიშვილი ვხდები და რამდენიმე წუთის წინანდელი ჩემი სურვილი, დეტექტივის ან სენტიმენტალური რომანის დაწერის შესახებ სამარცხვინოდ მიმაჩნია. ეს იყო წამიერი სისუსტე, ჩავარდნა, რომელიც ვახშობისას აუცილებლად განმეორდება, რადგან არ მგონია, რომ მრავალფეროვანი და მსუყე ვახშამი მელოდებოდეს. ჯერჯერობით კი კვლავ დიდ ლიტერატურის მისადგომებთან ვტრიალებ, რომელიც დეტექტიურ (მაგალითად დანაშაულის და სასჯელის არსის ასახვად) და სენტიმენტალურ (მაგალითად, საფრანგეთსა და იტალიაში მოგზაურობის) ელემენტებს იყენებს, მაგრამ არასდროს არ არის სრულად დეტექტიური ან სენტიმენტალური. ასევე არ არის სრულად ეთნიკური ან კოსმოპოლიტური, თუმცა მასში სოფელიც (ოცნებობს და კოსმოსიც, დიდი ლიტერატურა ყოველთვის ადამიანურია და ადამიანზეა. ამიტომაც მიმაჩნია ბოლო დიდ რომანად მიშელ უელბეკის „ელემენტარული ნაწილაკები“ სადაც, პირდაპირაა ნათქვამია, რომ ეს ნიგნი ადამიანს ეძღვნება.

მინდა, რომ ჩემი დაწერილი იყოს ეს ფრაზა.

4
ზოგიერთი შეკვეთის უკან ფული და იარაღია, ზოგიერთი შეკვეთის უკან მხოლოდ ფული ან მხოლოდ იარაღი. საქართველოში ყველანაირი შეკვეთით უწერიათ. უწერია ნიჭიერს და უწიფოს (ზოგადად უწიფოებს ენერგია მოჭარბებულად აქვთ და ამიტომაც ბევრს წერდნენ და წერენ). და ეს ყველაფერი კარგად ეტყობა ქართულ ლიტერატურას, რომელსაც აკლია ის, რაც ზოგადად საქართველოს: თავისუფლება, რომელიც თავისთავში გული-

სხმობს პასუხისმგებლობას. რომ არა მსგავსი თავისუფლების ნაკლებობა, კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძე არ ჩაითვლებოდნენ ბუმბერაზ მწერლებად და არც ჭოლა ლომთათიძის და დემნა შენგელიას სახელები იქნებოდა საერთოდ დაწინაურებული. ჰაერი, ჰაერი, ჰაერი-მეთქი ჩემს სამშობლოში, ამბობს ერთერთი ესპანელი პოეტი (თარგმანი ეკუთვნის თ. ჩხენკელს). თუმცა საქართველოში მსგავსი პათოსის არ ჯერათ, რადგან ქართველს ცხრა ლახვარი რომ დაარტყათ ცხრაჯერ გულში, ქართველი ღრმა ქართულ ცას ახედავს და მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გაიღიმებს, რადგან მასში ნადიდგორალი და ნამამქორალი სისხლი გუგუნებს და სამწუხაროდ არასდროს არ გაიხსენებს ამავე პოეტების მიერ დაწერილ მართლა კარგ ლექსებს.

5
ჩემი შეკვეთის უკან ფულია. თანხა მცირეა. აქედან გამომდინარე თავისუფლების ხარისხია მაღალი. ერთადერთი, რასაც ანგარიში უნდა გავუწიო, ეს ტექსტის მოცულობაა. ჟურნალი ხუთ გვერდზე მეტს ვერ მითმობს, რადგან საქართველოში ჩემს გარდა კიდევ არსებობენ მწერლები. ეს ძალიან კარგია. ხანდახან წარმოვიდგენ, რომ სამყაროს უკანასკნელი მწერალი ვარ. და ამ დროს ლიტერატურა ჩემთვის რელიგია ხდება. საბედნიეროდ, ასეთი რამ იშვიათად მემართება.

დავუბრუნდეთ შეკვეთას. თანამედროვე პროზა შეკვეთით იქმნება. რა თქმა უნდა, გამომცემლები არ აჩერებენ ქუჩაში გამვლელს და არ უკვეთავენ მათ რომანებს. მწერლები თავად მიდიან გამომცემლობაში და იწყებენ ბუნებრივ გადაჩვევის არც თუ ისე სასიამოვნო პროცესს. მკითხველებს ძირითადად უკვე მზა მწერალი მიეზღვებათ. წარმატების შემთხვევაში ავტორი იწყებს პერსონაჟების გადაყვანას ნიგნიდან ნიგნში და იქმნება დაუსრულებლობის შეგრძნება, რომელიც გამოუცდელ მკითხველს უსასრულობის ილუზიას უქმნის. საქართველოში ასეთი მწერლები არიან აკა მორჩილაძე და გოჩა მანველიძე. რა თქმა უნდა, ამ ორი მწერლის ნიჭი თანაბარი არ არის და უპირატესობა პირველის მხარესაა, მაგრამ მუშაობის პრინციპი იდენტურია. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ მსგავსი ავტორები არა მხოლოდ მკითხველს, არამედ საკუთარ თავს უქმნიან უსასრულობის ილუზიას. კონკრეტულად: საკუთარი მწერლური შესაძლებლობების უსასრულობის ილუზიას...

6
მასა ნიგნებს არ კითხულობს. ძველი ბერძნები ამბობდნენ, რომ არსებობს ათი მწერალი და ასი მკითხველი. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე წერაკითხვის მცოდნე ადამიანების რიცხვმა საგრძნობლად იმატა, სიტუაცია უცვლელი დარჩა. მწერალი კვლავ ათია, ხოლო მკითხველი კვლავ ასი. რა თქმა უნდა, აქ ნამდვილი მწერალი და ნამდვილი მკითხველი იგულისხმება. ჩემთვის ხშირად უკითხავთ, რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ნამდვილი მწერლები და მკითხველები ფსევდო მწერლებისა და მკითხველებისგან? ჩემი პასუხი ერთმნიშვნელოვანია: ნამდვილი მწერალი და მკითხველი წერა-კითხვის გარეშე ფიზიკურ ტკივილს განიცდის, ფსევდო — არა. თავისთავად ეს ძალიან მკაცრი ექსპერიმენტი და მისი განხორციელების ნებისმიერ მცდელობას (თუნდაც ლიტერატურულ) არაპოზიტიურად ვთვლი და ვგმობ.

მიუხედავად ასეთი მარადუცვლელი სტატისტიკისა, არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავს ვალდებულად თვლიან, იკითხონ ნიგნები და, რაც მთავარია, ნაკითხულის შესახებ გამოთქვან აზრი. ლიტერატურული სივრცე შედარებით დემოკრატიული სივრცეა და აზრის გამოთქმას არავინ არავის უშლის. განსაკუთრებით

ზურგსუკან, სწორედ ამ ზურგსუკან გამოთქმული აზრების ჯამია თანამედროვე გემოვნება, რომელსაც საკუთარი თანხმობით ან პროტესტით ანგარიშს უწევს ნებისმიერი თანამედროვე მწერალი.

7
ზამოთ პერსონაჟების ნიგნიდან ნიგნში გადაყვანის პრაქტიკა ვახსენე. თავისთავად ამაში ცუდი არაფერი არ არის. ასეთი რამ გამიკეთებია მეც. მოთხრობიდან რომანში, რომანიდან მოთხრობაში, მოთხრობიდან სხვა მოთხრობაში. ასეთ რამეს აკეთებენ თანამედროვე მწერლები: ბესო ხვედელიძე, შოთა იათაშვილი, ალექო შულღაძე. აკეთებდნენ უფროსი თაობის მწერლები: ოთარ ჩხეიძე, გურამ დოჩინაშვილი, ჯემალ ქარჩხაძე. ასევე აკეთებდნენ ძალიან დიდი მწერლები: მაგალითად, ჰომეროსი. და უბრალოდ დიდი მწერლები: მაგალითად, ბალზაკი და ზოლა. არსებობენ და არსებობდნენ სხვა ტიპის მწერლებიც, რომლებიც ამ მეთოდს არ იყენებენ და არ იყენებდნენ, მაგრამ ნებისმიერი ყაიდის მწერალს ყავს ერთი მუდმივი პერსონაჟი, რომელიც პირდაპირ თუ შეფარვით მის ყველა ტექსტში მონაწილეობს. გამოთქვამს აზრებს, საუბრობს საკუთარ ტკივილებზე, შიშებსა და იმედგაცრუებებზე. ხანდახან საკუთარ ბედნიერებაზეც, რომელიც ნიგნებში რატომღაც ყოველთვის ხანმოკლეა. ნიგნებს შეუძლიათ როგორც დადებითი ასევე უარყოფითი გავლენის მოხდენა რეალურ ცხოვრებაზე. მე მგონია, რომ რეალურ ცხოვრებაში არსებული ბედნიერების დევიციტი ნიგნების უარყოფითი გავლენის შედეგია. აქ შეგახსენებთ, რომ ფილმიც ჯერ იწერება და შემდეგ ხდება მისი გადაღება. ამ მცირე შესხენების შემდეგ დროა, დავუბრუნდეთ პერსონაჟს, რომელიც ნებისმიერი ავტორის ნებისმიერ ტექსტში მონაწილეობს. ეს, რა თქმა უნდა, თავად ავტორია. ის ხან ერთ პერსონაჟშია ჩასახლებული, ხან ყველა პერსონაჟში ერთდროულად. ასე რომ, ფლობერის ცნობილი ფრაზა „ემა ბოვარი მე ვარ“ არც პროვოკაციაა და არც სქესობრივი დაბნეულობა.



8
ამბობენ, რომ ხელოვანი (ამ შემთხვევაში პროზაიკოსი) ლამყოს ეჯიბრება. ქმნის ალტერნატიულ სამყაროს და ა.შ. როდესაც ასეთ რამეს ამბობს თუნდაც დიდი კრიტიკოსი, ყველაფერი გასაგებია. ადამიანი საქმეში ჩაუხედავია და არაკომპეტენტურ აზრს გამოთქვამს, მაგრამ როდესაც ამათ ამბობს თავად მწერალი, საქმე უკვე სამწუხარო გაუგებრობასთან გვაქვს. არადა, ასეთი რამ ბევრ მნიშვნელოვან მწერალს უთქვამს. განსაკუთრებით ერთ დროს მოდური დევიზი: „ხელოვნება ხელოვნებისთვის“ ქვეშ მდგომ ავტორებს. რა თქმა უნდა, დიდი მწერალი და არა ნებისმიერი მწერალი ქმნის პარალელურ (ალტერნატიულ) სამყაროს, მაგრამ ამ სამყაროს მიზანი ისაა, რომ ადამიანებს ნამდვილი სამყაროს შეცნობაში და ამოხსნაში დაეხმაროს. ნამდვილი სამყარო არა მხოლოდ ბუნებაა, არამედ თვითუფლები ჩვენგანის გული და გონება. სხეული, რომლის შესახებ ბევრი რამ ვიცით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერ

ვიმორჩილებთ და სული, რომლის შესახებ არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ დადგება დრო ან უდროობა და მის შესახებ ყველაფერს გავიგებთ.

სამწუხაროდ, თანამედროვე მწერლებმა დავივიწყეთ, რომ ლიტერატურას პედაგოგიკური დანიშნულება აქვს. ამ პედაგოგიკური კურსის ფრიადოსანი მსმენელი თავად მწერალი უნდა იყოს. ადამიანის სიტყვა აბსოლუტური არ არის, მაგრამ დანერვილი სიტყვა აბსოლუტურობის იმიტაციას ქმნის. მწერალმა ხშირად უნდა გადაიკითხოს საკუთარი ტექსტები ჭკუის სასწავლებლად.


9

პირველი პროზაული ნაწარმოები თვრამეტი წლის ასაკში დაწერე. მანამდე, ერთი წლის განმავლობაში, ვწერდი ლექსებს, რომლებიც ერთ-ერთ ლიტერატურულ ჟურნალში მივიტანე და სათვალთან (სათვალთანების საინაბაღმდეგო არაფერი მაქვს, რადგან თავად ვატარებ სათვალეს) რედაქტორს ჩავაბარე. მან ერთი კვირის შემდეგ დამინიშნა შეხვედრა. მივედი. სათვალთან რედაქტორმა მაქო, ჭკვიანი და განათლებული ახალგაზრდა მიწოდა, მაგრამ ლექსების დაბეჭდვაზე უარი მითხრა იმ სამართლიანი მიზეზით, რომ რითმები მქონდა ძალიან ცუდი. რა თქმა უნდა, მაშინ ეს მიზეზი უსამართლოდ მეჩვენა. მსგავსი ისტორია თითქმის ყველა დამწყებ მწერალს გადახდენია თავს. ასე რომ, ეს ამბავი გავიხსენე არა მკითხველის გულსასაჩუყებლად (კაცმა რომ თქვას არც არაფერია გულისასაჩუყებელი, რადგან მართლაც ცუდი მერიტზე ვიყავი), არამედ იმის დასაფიქსირებლად, თუ რა გზით მოხვდები პროზაში.

იმ დროს ურითმო ლექსი ლექსად არ მიმაჩნდა. რამდენიმე კვირაში მივხვდი, რომ უკეთესად გარითმვა ჩემ ძალეებს აღემატებოდა და დავინყე პროზის წერა. ჩემი პირველი პროზაული ტექსტი ემბრიონის ერთგვერდიანი მონოლოგი იყო აბორტის წინ. სიმბოლური დასაწყისია.

10

ლიტერატურაზე, როგორც ყველაფერი ადამიანური შეიცავს სპორტის ელემენტებს და ეს ელემენტები არა მხოლოდ ტრიალებით ტრიაბასში გამოიხატება, არამედ — ჟანრების რანგირებაში. პოეზია პირველადია. შემდეგ მოდის პროზა. შემდეგ პოეზიის და პროზის ნაჯვარი დრამატურგია. შეიძლება ითქვას, რომ პოეზია ცხენია, მისით ლიტერატურა ამყარებს. პროზა ვირიაა, მისით ლიტერატურა არსებობს. რაც შეეხება დრამატურგიას, ის ჯორია, რომელიც ვირის ფუნქციებს ასრულებს. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის ერთდროულად სასაცილო და სამწუხარო ფაქტი, ზოგიერთი ხანშიშესული პროზაიკოსი თავს პოეტს რომ უწოდებს. მაგრამ ჯობს სათავეშივე შევწყვიტო ბერიკაცების დაცინვა, რადგან საუკეთესო შემთხვევაში მეც დავბერდები და ალბათ საკუთარ თავს პოეტს დავუძახებ, რადგან პოეზია უპირველეს ყოვლისა!



11

თვრამეტიდან ოცდასამ წლამდე ძალაზე ბევრს ვწერდი. ვწერდი ყველაფერზე. საკუთარი თავი დანაყვბული, სამშობლოთი დამთავრებული. ვწერდი ამალღებულ ტექსტებს (საკუთარ თავზე) და ფარსებს (სამშობლოზე). ამ პერიოდში თავს ხელოვნების მსახურად ვთვლიდი და აქედან გამომდინარე, კერპთაყვანისმცემელი ვიყავი. ოცდასამი წლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა, მათ შორის — კერპიც. 1999 წლის ნოემბერში გაზეთ „ალტერნა-

ტივაში“ ჩემი ორი მოთხრობა დაიბეჭდა და ამ დღიდან ჩემი კერპი ჩემივე თავი გახდა. თავისთავად ლიტერატურა ჩემთვის არაფერს აღარ ნიშნავდა, ანუ ლიტერატურა გახდა საკუთარი თავის განსაზღვრელი საშუალება: დაახლოებით ორი წლის შემდეგ მივხვდი, რომ ამ მიზნით ბიზნესში წასვლა უფრო მართებულია, ვიდრე — ლიტერატურაში. ვცადე კიდევ, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

ოცდახუთი წლის ასაკში მივხვდი, რომ მწერალი ვარ.

12

მწერალმა არა მხოლოდ კარგად წერა, არამედ კარგად ხედავდა უნდა იცოდეს. კარგად ხედავს ისეთივე ნიჭი და გემოვნება ჭირდება, როგორც კარგად წერას. კარგი მწერლისთვის ეს პარალელური პროცესია, მაგრამ ლიტერატურის ისტორიაში არსებობენ ერთი შესანიშნავი და ასე სუსტი მოთხრობის ავტორები. მათ რომ ეს ასე სუსტი მოთხრობა დაეხიათ, ისინი ლეგენდარული მწერლები იქნებოდნენ.

ჩემი პირადი შედეგი ამ საქმეში ასეთია: დახეული მაქვს ორი თითქმის ნახევრამდე დანერვილი რომანი, ათამდე მოთხრობა, უამრავი აბზაცა და უთვალავი სიტყვა. რაც შეეხება წერას, ამჟამად ვწერ მოთხრობას ორ მწერალზე, რომლებიც ერთმანეთს ხელნაწერების ხევაში ეჯობებიან, რადგან ფიქრობენ, რომ დადგება დრო და მწერლები დახეული ნაწარმოებებით დაფასდებიან. მათ ჯერ-ათ, რომ ხელნაწერების განადგურება შეუძლებელია. გული მიგრძობს, რომ ამ მოთხრობასაც დავხევე. უფრო სწორად, ლილაკზე თითის დაჭერით გავაქრობ, რადგან უკვე რამდენიმე თვეა, რაც კომპიუტერში ვწერ.

რაც განსხვავდება ხელით და კომპიუტერით წერაში? შემდეგ თავში სწორედ ამაზე ვისაუბრებთ.

13

წლები მანძილზე ხელით ვწერდი. ჩემი კოლეგები ერთმანეთის მიყოლებით კომპიუტერზე გადადიოდნენ და ბოლოს, როდესაც მხოლოდ მე დავრჩი ხელით მწერალი, ყველაზე მარტივ გზას დავადექი. ჩემი კოლეგები მოლაღატებად, ხოლო საკუთარი თავი დიდი, კლასიკური მწერლების მემკვიდრე გამოვაცხადე და ინტერვიუებში და პირად საუბრებში ხელითწერის განდიდება და, აქედან გამომდინარე, საკუთარი თავით ტრიაბასი დავინყე. მაგრამ პირადად ჩემთვის ნორმალურ, საქართველოსთვის ავბედით, ხოლო ქართლის მოსახლეობისთვის საშინელ და დამპყვევარ 2008 წელს ავიღე ერთ-ერთი ლიტერატურული პრემია (რომლის გამოცნობას მკითხველი ერთიდან ერთ ცდაში შეძლებს, რადგან სხვა პრემია საქართველოში არ არსებობს), შევიძინე კომპიუტერი და გავხდი ერთერთი ჩვეულებრივი თანამედროვე მწერალი. ამით ცოტა სიამაყე კი მომაკლდა, მაგრამ სამაგიეროდ უკეთესად ვსუნთქავ. ეს მთავარი განსხვავებაა ხელით და კომპიუტერით წერას შორის.

არსებობს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი განსხვავებაც — დროის ფაქტორი. დრო რთული ფენომენია და მას ცალკე თავი უნდა მივუძღვნათ.

14

ბავშვობაში ძალიან მინდოდა, რომ სწრაფად გავზრდილიყავი და რადგან იმ დროს მეგონა, რომ ადამიანს არა სხეული, არამედ დრო ზრდიდა, დროის აჩქარებაზე ვოცნებობდი, და აქედან გამომდინარე, ძალიან ხშირად ბავშვურად (ე.ი. უკომპრომისოდ მაგრამ ძალიან შეზღუდულად) ვფიქრობდი თავად დროის არსზე.

ფულის შემდეგ დრო ალბათ კაცობრიობის მიერ შექმნილი ყველაზე ძლიერი ილუზიაა. ილუზიის სიძლიერე მის დამაჯერებლობაშია. ადამიანების უმრავლესობას აღარ ახსოვს, რომ დრო მათი წინამორბედი ადამიანების მიერ შექმნილი და მოთათბირებული კატეგორიაა. ეს პროცესი საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა, ანუ დრო ყოველთვის ისეთი არ იყო, როგორც დღესაც. როდესაც ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ რომელ-

ილაც ადამიანმა რეაასი წელი იცოცხლა, ეს ნიშნავს, რომ მაშინ დროის ათვლის სულსხვა სისტემა არსებობდა და ვკითხულობთ არა ზღაპარს, არამედ ნამდვილ ამბავს.

დრო ტრადიციას, ტრადიცია კი ცვალებადია. მომავალში შეიძლება ადამიანებმა კვლავ რეაასი წელი იცოცხლონ.

15

წერა (თხზვა) — კითხვა (შეთხზულით ტკობა) მხოლოდ აწყობია შესაძლებელი.

თანამედროვე საქართველოს ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა სწორედ წერა-კითხვის წარსულისთვის ჩაბარებაა.

რაც შეეხება ტექსტს, ავტორს ტექსტში სამივე დროის გამოყენება შეუძლია. კინოდელ ლიტერატურაში თხრობა ძირითადად წარსულ დროში მიმდინარეობდა. წარსულ დროში თხრობა ყოველმცოდნე ავტორის მითი შექმნა. ამას ათასი გაუგებრობა მოყვა, მათ შორის ორი მსოფლიო ომი.

კინომატოგრაფის გამოგონება და განვითარება პროზაში ანმყო დროში თხრობის გააქტიურებით აისახა. ეს იყო გარდაუვალი და საჭირო გავლენა. მეოცე საუკუნის დიდი მთადრწინსტი მწერლების — ჯოისის, დიობლინის, დოს პასოსის, ფოლკნერის — ტექსტებში მაშინაც კი, როდესაც თხრობა წარსულში მიმდინარეობს, მკითხველი ხვდება, რომ ეს უკვე სულ სხვა თვალთ დახახული წარსულია და ავტორის ყოველმცოდნეობის მითიც დასრულებულია.

რაც შეეხება თანამედროვე მწერლებს, ჩვენ მომხმარებლები ვართ. ამ შემთხვევაში — დროის. პირადად მე ძირითადად ანმყო დროს ვიყენებ (ამ სიტყვის როგორც აკადემიური, ასევე ჟარგონული გაგებით). ამით წერის, წიგნში მიმდინარე მოვლენების და კითხვის ერთდროულობის ილუზიას ვქმნი. ზოგი ყოვლისმცოდნე ავტორი მითის აღდგენას ცდილობს. მომავალ დროში დანერვილი წიგნი პირადად მე არ წამიკითხავს. ისე, არ მეგონია, მაინცდამაინც, საინტერესო რომ იყოს, რადგან მომავალი სათუთაა. ამას თითქმის მომავალს მჭვრეტელი წიგნი გვამცნობს.

16

ფანჯარასთან ვდგავარ. გარეთ შემოდგომის ბოლოა. გავრცელებული აზრის თანახმად, თანამედროვე მკითხველი ე.წ. ბუნების აღწერებს უყურადღებოდ კითხულობს, ხშირ შემთხვევაში კი საერთოდაც ტოვებს. ჩემი აზრით, ამის მიზეზი არა მხოლოდ თანამედროვე ცხოვრების ჩქარი რიტმია. ყოველთვის, როდესაც ამ არგუმენტს საქართველოში მცხოვრები ადამიანებისგან ვისმენ, გული მწყდება, რომ ასეთ გონებრივად არათვითმყოფად საზოგადოებაში ვცხოვრობ, რადგან ეს არგუმენტი ერთ-ერთი დასავლური სტანდარტია, რომელიც საქართველოში (როგორც ძალიან ბევრი საეჭვო ჭეშმარიტება) ყოველგვარი კრიტიკის გარეშე იქნა მიღებული. პირადად მე ვერანაირ თანამედროვე ცხოვრების რიტმს საქართველოში ვერ ვხედავ, პირიქით — ვხედავ კორპუსებთან გაქვავებულ უმუშევრებს, ავტობუსის გაჩერებებზე მდგარ დაღლილ, თვალბეგამოქარულ გოგონებს, მშვიდ პენსიონერებს და ფსევდოდასავლელ ოფისის კაცებს და ქალებს, რომლებიც ამერიკულ ფილმებში ნანახ და უაზრო ტრენინგებზე ნასწავლ მოძრაობებს იმეორებენ და ეს მოძრაობები საკმარისად მიაჩნიათ საკუთარი ცივილიზებულიობის დასამტკიცებლად.

რეალურად საქართველოში მხოლოდ ერთადერთი რამ არის დაჩქარებული: სიკვდილი.

17

კვლავ ფანჯარასთან ვდგავარ. გარეთ კვლავ შემოდგომის ბოლოა და კვლავ პეიზაჟზე ვფიქრობ, პეიზაჟზე პროზაში: პეიზაჟი პროზაში განწყობას ქმნის. ამ მხრივ, მას იგივე ფუნქცია აქვს, რაც რეალურ სამყაროში. თუმცა, რეალური პეიზაჟისგან განსხვავებით მას ტექსტის (რომელიც თავისთავად სამყარო) ეკოლოგიური კატასტროფისგან დაცვა არ შეუძლია, რადგან ტექსტის ეკოლო-

გას მხოლოდამხოლოდ მწერლის ნიჭი იცავს. რაც შეეხება მკითხველის უარყოფით განწყობას ბუნების აღწერებისადმი, ამის მიზეზი ალბათ თანამედროვე (ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ქართველი) ავტორების მიერ პეიზაჟის უადგილო და უაზრო გამოყენებაა. უადგილოა მწერალი ქალაქზე წერდეს და რამდენიმე გვერდს ტყემლის ყვავილობას უთმობდეს, თუ, რა თქმა უნდა, აყვავებულ ტყემლებს საავადმყოფოს ფანჯრიდან პაციენტი არ უყურებს. ასეთი პეიზაჟი სიმბოლურია, მაგრამ ამავე დროს ბანალური. თუმცა პირადად მე პროზაში ბანალურობის წინააღმდეგე არ ვარ, განსხვავებით უადგილო და უაზრო ჩანართებისგან.

მსგავსი შეცდომები ძირითადად პროვინციიდან ჩამოსულ მწერლებს მოსდით, რომლებიც რატომღაც მხოლოდამხოლოდ ქალაქზე წერენ. გაზაფხულის დადგომა სოფელში მნიშვნელოვანი მოვლენაა, ქალაქში კი ამ დროს ინფარქტების რაოდენობა მატულობს.

მე დიდი სიამოვნებით ნავიკითხავდი ქალაქელი მწერლების მიერ სოფლის აღწერაში დაშვებული უზუსტობების შესახებ დანერვილ წერილს, მითუმეტეს, რომ დღეს ქართულ პროზაში დიდი აღრულობაა. ქალაქელი წერენ სოფელზე, პროვინციელები — ქალაქზე. დაუშვავთ, რომ ეს შიდა ინტეგრაციის ქვეცნობიერი სურვილია, მაგრამ რაც სასარგებლოა საქართველოსთვის, ხანდახან საზიანოა პროზისთვის.

18

საჭიროდ მიმაჩნია, გავაკეთო დაუზუსტება წინა თავში გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით, რადგან ჩვენ მოდგმას კარგად ვიცნობ და კარგად ვიცო, უაზრო კუდების გამოსაბმელად მუდმივ მზადყოფნაში რომ ვართ. ბევრი დალუპა ასეთმა უაზრო კუდებმა. კიდევ ბევრს დალუპავს, რადგან ჩვენ გამოსწორებას პირი არ უჩანს. რაც მთავარია, ჩვენს წინააღმდეგ მასონური შეთქმულება და ნებისმიერი გამოსწორებისკენ გადადგმული ნაბიჯი ლალატია, რადგან დღეს გამოსწორება გადაჯიშებას ნიშნავს. რიგითი ქართველისთვის დასავლეთი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების აღლუმებთან ასოცირდება და არა — ცივილიზაციასთან და ხარისხთან. ეს ცნობილი დასავლელი დიზაინერების მიერ შექმნილ კოსტუმებში გამოწყობილი ქართველი ნაციონალისტების პროპაგანდის შედეგია.

დასავლეთი დედამიწის ერთერთი მხარეა, სადაც ადამიანებმა ასე თუ ისე ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა მოახერხეს და სადაც, ცნობისათვის, მილიონი ქართველი ცხოვრობს.

19

დაზუსტება წინისწინა (17) თავში გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით. თუმცა მანამდე მინდა ვთხროთ, რომ მე სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული და ერთადერთი რამ, რაც ამ ფაკულტეტზე ხუთი წლის განმავლობაში კარგად ვისწავლე, ეს კატეგორიული სტილია წერა და მეტყველება. ინებეთ მტკიცებულება: ნებისმიერ მწერალს, მიუხედავად საკუთარი წარმოშობისა, რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებებისა, უფლება აქვს წეროს ნებისმიერ თემაზე და მოქმედების არეალად აქციოს ნებისმიერი სოფელი, ქალაქი, ქვეყანა, კონტინენტი, პლანეტა, ერთადერთი ჯოჯოხეთი და ერთადერთი სამოთხე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სამკითხველო

ზოგჯერ როგორ არ მომიწოდება, ძველებურად გელაპარაკო.

განა იმიტომ - ვეღარ ეტევა კანში სათქმელი - აუცილებლად სათქმელი ან დღემდე უთქმელი. სულაც ლულული (გაგონილი) ან თვალთმაქცობა (დანახული) ნერწყვს გამოადენს. და კიდევ იმის მოგონება, ერთხელ და დღემდე უგემურად ჩაძინებული, რომ მაგ ენაზე ენა ყველაზე იშვიათად მომიტყვრევია.

როცა მეტყოდნენ: გაიცანი, - ეს ცხოვრებაა. და გაასახობდი: ძალიან უსიამოვნოა. რადგან მტკიოდა ისე ალაღად და თან ისე გასაკვირველად, რომ არ შემეძლო, შენთვის მაინც არ მომეყოლა.

რა - ძებნა შენი დამჭირდებოდა. რა - ვიკითხავდი: ბევრი იყავ თუ - ხამუშ-ხამუში, ყველგან სახლობდი თუ - ალაგ-ალაგ. სულ აქ არ მყავდი? (როგორც მორწმუნეს - გულში ღმერთი) შენც არ ვიყავი? (და ვანთებდი ლექსს, როგორც სანთელს) არ დამყურებდი ყველა ფურცელზე ჩემი თვალებით? (ემანდ - სინრფელეს არ ეთვალთმაქცა) როცა...

ახლა? თუ სადმე შემომხვდები, ენერგიული ჟესტებითა და ფონეტიკური მახვილებით კი მიბეჯითებ - როგორ არა ვარ, მართლა მე ვარო!

არ მჯერა შენი - ჩემს სარკეში არავის ჰგავხარ - სად არის შენი ანარეკლი, შენზე ნამდვილი?! არ მომწონხარ, ბოლოს და ბოლოს!

გამეცა, ერთი, შენ რა სანთელი უნდა აგინთო!

ნუგაში

დარდებს ნუ ისევ ჭია-მატლებად — ჭიაც გეყოფა, ხეო.

ერთი დრო მოვა — ქარი ჩადგება — ახლა რომ ლალად ღრეობს.

ზამთარი, თოვლის ფაფარაყრილი, გაივლის, გააბოტებს;

მარტი თუ არა — მოვა აპრილი და გაგითენებს ტოტებს.

● მთაზე მზეს ანთებენ. მოდის მზე — ჯალათი,

მხურვალე შანთებით, ნითელი ხალათით.

მზეს უფრთხის, ანთებულს, ღამე ფერმიხდილი.

ზეცა წყვეტს: ბრალდებულს — ერთი დღით სიკვდილი!

თიხის მთვარე

მან გადათვალა ვარდები თვალით და აფროდიტა შეიცნო თავში. ვეკიდე ლანდი, შორი და მკრთალი. და ქალღმერთობას ცდილობდა ბავშვი.

ალბათ, ეს ღამეც კაემნის დროა. სარდაფში ლოთობს მურდული ბედი. შემომრჩენია ფიქრების გროვა — ხანდახან ხროვა — არარა მეტი.

გამხდარა ღვინო ბლანტი და მდარე და ჯიგარს მიბრდუნის გაბოროტებით. დაღლილი თიხა — ჰკიდია მთვარე — ნაზელი ღმერთის და პოეტების. და ყველა უბანს და ყველა ქუჩას მიმქრალი მთვარის ეღვრება წვენი. გარკვევით მარტო ეგ მთვარე მოჩანს და დაქცეული ხუხულა რწმენის.



ზაზა ბიბილაშვილი

მან გადათვალა ვარდები თვალით და აფროდიტა შეიცნო თავში. და ვუყურებდი შორი და მკრთალი, ქალღმერთში როგორ გაცვალებს ბავშვი.

და ახლა, როცა ნაცართან ვცხოვრობ, მართლდება თავის არ მინდა მეტი: მე სილამაზეს ვეტრფოდი მხოლოდ. მე არა მწამდა არასდროს ღმერთი.

ქორნილი

მაშინ თუ გაგახსენდი მივიწყებულ ფანტივით, როცა ღრუბლის ტალღები ქორჩებს შეითალხავენ, შენს ქორნილში უთუოდ მელის მაყრის პატივი და უზომოდ მოვილხენთ მე და ჩემი ბალღამი. ამძალებულღვინიან ყანებს მივეხუტები, გულს ჩავიხსნი — იარას, ვერით ვედარმორჩენილს... რა ვქნა, უსიყვარულოდ სული თუ მეზუთება და სიყვარულს ღორივით ყელი ვერ გამოვჭერი! თითქოს ამ ქვეყანაზე მრჩება არც არაფერი. გაილევეს ღამეში ამ სიფათის სიფითრე. შუბლი ამელანდება სისხლით გადანაფერი, — ხსნაზე — თავის მოკვლაზე — კვლავ ამაოდ ვიფიქრებ. ჩემზე მოშიებული აკვილდება ზარნაშო. მაყრიონის გზა-კვალი როგორ გამათელსინე! ჰე, გამიშვით — ჩამიშვით მარტობის ურნაში — მაგ ნაგავში სულ ერთი ღამე გამათევიანეთ! კარავი კი იქნება ტიტით გადაპენტილი და დაღლილი ტალღები ქორჩებს შეითალხავენ... შენს ქორნილში უთუოდ მელის მაყრის პატივი და უზომოდ მოვილხენთ მე და ჩემი ბალღამი.

ქვალისიციცხლისა

(მაქციური ციკლიდან)

მოკლედ, ჩემო, სიმართლე გითხრათ, ბევრო არაფერო ძუკნებო, გაინტერესებთ, რას ვაკეთებ ამასა და ამას შორის შუალედებში, ანდა თუნდაც სულაც ამის დროს.

მოგახსენებთ, რომ ძვალსა ვლოკავ. ისევ იმ ძვალსა, რომელიც, კარგად აღარ მახსოვს, თვით გამოვჩხრიკე, თუ საიდანმე გადმომიგდეს, ზუსტად ისე, მყეფარს ძვალს რომ გადაუგდებენ.

ან რა აზრი აქვს, როგორ იყო, როცა უკვე ისე ძველია, ჩემი ლაშების, რბილად რომ ვთქვა, მოუსიამო სუნის გარდა, შერჩენია აღარაფერი.

კი, მიფიქრია ძვლის შიგთავსზეც. მიფიქრია ხშირად და დიდხანს.

და მერეც, როცა ფორებიდან გემოსი თუ არომატის ახალ ნასახს გამოვწუნნიდი, გავიფიქრებდი კიდევ ერთხელ.

ახლა კი, როცა - იშვიათად - გამეფიქრება, შეიძლება ვიღიმი კიდევ - მომტვრეულ კბილთა ადგილებით - მთელ კბილებზე უკეთესად უწყიან რომელთ ძვლის გაკვნიტის მცდელობის ფასი.

(სწორედ ამიტომ) რამდენიმე შევინარჩუნე (და იმისთვის) — ათასში ერთხელ მოძმე მყეფრებთან ძვლის გამო რომ წავიკინკლაო - ეგებ, ცოტა გემო მიეცეს.

ეს რამდენიმეც არ დამენდო იქნება, მაგრამ აბა, ვინ იცის, რომ ძვლის შიგნით მართლაც რამე?

...ჰო, აი, ახლაც გამეფიქრა, ალბათ, შემთხვევით, რის დასტურადაც, სადაც არის, გამეღიმიება...

თქვენ კი, ჩემებო, როგორ გითხრათ, რანაირებო, ისე მისმენთ, თითქოს მისმენდეთ, გენაღვლებოდეთ ოდნავ მაინც - არც გამეღიმოს.

მოგცლიათ, ერთი!

მოდით, ჩემი ძვალი ალოკეთ! მოდით, ძუკნებო, ამ სარეცელს, იაფფასიანს, ჩაუტეხოთ ერთი ფიცარიც!

ბიულეტენი

სიყვარული გრიპი არ არის - ორჯერ და სამჯერ ანდა ყოველ წელს, ყველას კი არ შეუძლია, გადაიტანოს.

ჰოდა, მით უფრო ჭკვიანური სათანადო პროფილაქტიკა: სანიტარ-საგრილებელთა ცვლა თითქმის მალ-მალე. ან თუნდაც ანას გახსენებები - როგორც სიმპტომის, უფრო სწორად, ძირითადი სიმპტომებისა

(ყველასი არა, რა თქმა უნდა. ზოგი სიმპტომის გახსენებისას უკუჩვენება აღინიშნება)...

ჯერ - გრიპი ტოვებს რალაც-რალაცებს. სიყვარული კი ცოტა კიდევ უფრო ძნელია.

თუმცა... ვინ იცის? თუ ვიქნებოდით უფრო ფრთხილები ანდა - უფრო ობიექტურნი, ალბათ ვიტყოდით,

ვისთვის - როგორ, ანუ, პრინციპში, გააჩნიაო მაინც ორგანიზმს.

დაღლილი ტურისტისი

კვლავ კრიალოსანს ითვლის თირკმელი. სატანა ზევით — სადღაც აქვეა. და საჭოჭმანო საქმე თვითმკვლელის ისევ ყველაზე ნაღდი საქმეა. იქნებ დროა და იქნებ ადვილიც — დაეხსნას წყალი დარჩენილ ლადარს, თუ ვერ უპოვე მინას ადგილი, სად შენი ტერფი არ შეიცხადა; გული გასცალე — განძი მეფურთა გაცივი მალევით შემოტანილი — და მაინც დაგაქვს დამძიმებული შორს წასაღები ჩემოდანივით; არ იცი, სდომ ვისი გულისთვის დასაბამებს და დასალიერებს და უცხო მინას უცხო ტურისტისი უგულისყუროდ ათვალიერებს; თუ კენჭებს ითვლი, როგორც თირკმელი, მეფისტოფელი სადღაც აქვეა და საჭოჭმანო საქმე თვითმკვლელის უკანასკნელი ნაღდი საქმეა.



ტარიელ ჭანტურია

ნიგნიდან:

სიყვარული — ასაფრანი ზოლი

ტატუ

პატარა ბიჭს — გენიალურ ქართველ ყმაწვილს — ტატოს — ვერავითარ შემთხვევაში ვერ უპოვით ტატუს! ვერც იმავე გურამიშვილს — უკვდავ დავითს, დათოს — სულ პლიაჟზე უთვალთვალოთ — ვერ უპოვით ტატუს! აგე, ტატუ — ბოლო ჰანგი მომაკვდავი გედის! — გაუშლია ფრთა — მიფრინავს და... გვირაბში შედის... მოხატული პირამიდის, მოხატული ტაძრის, მოხატული სიცოცხლისაც — ვიცით, გვესმის აზრი... მოხატული სხეულები, ხაზთა ხვეულები ნაწილია, რა თქმა უნდა, კაცთა ჩვეულების... არა, ძმავ, ვინც რა უნდა სანაძლეო დადოს, ვერ გაჩვენებთ ბავშვობაში შემოტენილ ტატუს! კარგი! ახლა ზოგი რამე ვთქვათ სერიოზულად! ვნახოთ, მერე დავივიწყოთ ან წაეშალოთ სულაც — სულ ერთია, შინ ხომ მაინც ვერ დაგვიდებთ სურათს — თუნდ სტალინს და ადოლფ ჰიტლერს, ჩახვეულებს ძმურად!

პოეტებს და, რა თქმა უნდა, მწერლებს ათასნაირ მარკის — სულ ვკითხულობ — დღისით, ღამით: პოს, ხიმენეს, ლორკას, მარკესს...

ზოგს — ნალვლიანს, ზოგს — ოპტიმისტს, დანყობილს თუ მემამბოხეს: უნამუნოს, ბუნიის, კაფკას, შოთას, ვაჟას, ფოლკნერს, ბორხესს...

კითხეთ ერთი ჩემს პასკვილანტს — ჭკუანაკლულ არამკითხეს: რაზე უნდა ვეკამათო მე — მკითხველი — გადამკითხველს!

გადავარჩიე დღეს ნიგნები. ხელში მომხვდა და დიდხანს ვიკითხე ეზრა პაუნდი, და მქონდა განცდა — თითქოს რინგზე, ლონემიხილმა წავაგე, ალბათ ნოკაუტით, ბოლო რაუნდი...

მე ველარ ვნახავ, რა იქნება, როგორ იქნება, ამ ჩემს მეტოქეს — ტრიუმფატორს — ხელს ვინ აუწევს...

...ვერ ჩაითვლება ალბათ ლექსად ის, რაც დაგწერე! ჩათვალეთ იგი რეცენზიად ეზრა პაუნდზე...

ორი ნიგნი ნუსხანდელ სასთუგალთან


(ქება) საკუთარ თავზე ბევრს იღებს ბერნსი, და ბერნსის გარდა, ვთქვათ, სენ-ჟონ პერსი! — თქვენს ჩრდილში ყოფნამ დამალა! — პარდონ! — მაგრამ უთქვენოდ რომ ვერ ვძლებ? — მერსი!

დაშორებულნი ჩემს სიტყვას ქართულს ცხრაათას ცხრაას ცხრამეტი ვერსით — მე მიყვარს დიდი შოტლანდიელი და დიდი ფრანგი: ბ ე რ ნ ს ი და პ ე რ ს ი!

(გამოტოვებული სიკვდილის თემა)

მცხეთა. აია. ხანძთა... — მარადისობის განცდა... მე — მეომარი მისი, მფლობელი ურიცხვ განძთა — ვიქნები ასე ერთხანს, დავყოფ აქ მცირეს ხანს და დავუბრუნდები ისევ მცხეთას, აიას, ხანძთას —

რომ მივუშვირო მკერდი ისარს, მაშინ რომ ამცდა შეება მომგვაროს იქნებ კერპი დუშმანის ამ ცდამ...



წინააღმდეგობა

დილომატი სუყველა — თუ კონსული, თუ ელჩი — გაოცდება, სიკვდილს რომ გამოვიწვევ დუელში!

მე რა მითქვამს დანტესის ბრიყვი სეკუნდანტის! — ვინწევ სეკუნდანტებად რუსთაველს და დანტეს!

გაგიკვირდეთ: დამბაჩა არ მიჭირავს ხელში, არც შიშისგან ცრემლები ჩამდის გამშრალ ყელში...

არ ვაპირებ, რომელიმე პანთეონში ვინვე! — მე დუელში სიკვდილს განა ამისათვის ვინწევ...

სანამ თვითონ მოვა და თავზე დამაცხრება — ნახოს, რანაირია კაცთან დამარცხება!

დიპლომატი სუყველა — თუ კონსული, თუ ელჩი — გაოცდება: ხვალ სიკვდილს გამოვიწვევ დუელში...

ყველაფერი არი კარგად! ყველაფერი არი ცუდად! კარგად როა, იცოდა და ცუდად როა, არ იცოდა! სიტყვა — ოქროდ, ოქრო კიდევ ქცეული რო არი ზოდად — ეს იცოდა, მაგრამ ოქრო რომ არ ჰქონდა, არ იცოდა! ბევრმა ბევრჯერ სცოდა, მაგრამ ხომ თვითონაც ბევრი სცოდა! სხვამ რომ სცოდა — იცოდა და მან რომ სცოდა — არ იცოდა...

გადაგეტანა — ბევრჯერ შეძელი, ტკივილი, ყრუ და გულის შემძვრელი... გიკვირს, აქამდე რომ არ გეძახის ცა, ამ საცოდავ მინის შემცველი...

გავსებს ფიქრით და ცნობისნადილით ცა, ლაბირინთის ათას ხვეულებით... გრძნობ, რომ იქნება ესეც ადვილი! — შენ ხომ უფლისგან ხარ დაზღვეული...

ზანგი ბიჭის სიმღერა

რადა ვარ შავი, რადა ვარ შავი, რადა ვარ შავი ასეთი! რა დავაშავე, რა დავაშავე, რა დავაშავე ასეთი!

ოცი გოგოა კლასში ლამაზი, შავი არაა არც ერთი! შავ ბიჭს არც ერთი ზედ არ მიყურებს! — რა დავაშავე ასეთი!

რადა ვარ შავი ასეთი! რა დავაშავე ასეთი!

სათაბაშო ლაქსი მქონდა...

მართლა გაინტერესებს? რა ბედი და რა სვე გაქვს! — ნადი მონტე-კარლოში, მიაკითხე ლას-ვეგასს!

გინდა? — კარგად ისწავლო, კარტი როგორ აჭრა! ატლანტიკ-სიტის მერე მიაკითხე აჭარას!

წაგება და მოგება ერთმანეთზე წაგებას! ვერ აელელებინო მოგებას და წაგებას!

ვერ აელელებინო ქებასა და ძაგებას! ას წელს მაინც გინვაგდეს კაშკაშა მზით ცა კეფას!

მართლა გაინტერესებს, რა ბედი და რა სვე გაქვს? მიაკითხე აჭარას, თუ მოიგებ — ლას-ვეგასს!

ყველა ნაძირალამ და ბრიყვმა გული მატკინა! რატომ უნდა მიკვირდეს: მე — გული მაქვს, მათ — რკინა!

ყველამ დამალეინა შხამი თითო მათარა! რატომ მიკვირს — ის ლოცვა მე მეკუთვნის, მათ არა!

ცხრა ლახვარი მეც დამკრეს ცხრაჯერ, მაგრამ იქ არა... ქილურების რა მითქვამს — მეც მყავს ჩემი წიქარა...

პარადოქსი აქონოიკურ თემაზე

ეს ხელფასი უპატრონო არც მე მყოფნის, არც შენ! ან მე როგორ ვარჩენ ოჯახს, ან შენ როგორ არჩენ!

რა ვიღონოთ, რა გზა ვნახოთ, არც ჩვენ ვიცით, არც მან! მოზვრის მწვადი გვენატრება და კეფლების აცმა!

ვინ დაგვიხსნის შიმშილისგან ან მე, ან შენ, ან მას! დღეს ვაბარებ დედაჩემის საქორწინო აღმასს...

როდის უნდა მორჩეს კაცი
ამ ტანჯვას და ჩალიჩს,
ვინ უშველის ამ ქვეყანას,
გადახურულს ჩალით...

უპილოზა №957

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ
მანქანა ფიქრის!
მანქანა ფიქრის უგზო-უკვლოდ
მიმაფრენს, მიქრის! —
ათასჯერ მაინც გადაუვლის
სამყაროს — მაკროს,
ათასჯერ მაინც გადმოუვლის
სამყაროს — მიკროს...
ათასჯერ მაინც გადაუვლის
ეფერატს და ტიგროსს...
უთვალავ თბილისს, უამრავ ნანტს,
მალტას და კვიპროსს...
უთვალავ ციკლონს,
ადამიანს,
ანგელოზს,
ციკლოპს...

...ირაკლის ზარი — პარიზიდან —
საფიქრალს მიქრობს...

გასაგები
მიზეზების გამო —
გასაღები
კვლავ იმ ერთის ხელშია...
რა მწარეა
ალბათ ის სალამო,
როცა ს უ ლ ი
ერთადერთი ელჩია...

გასაგები
მიზეზების გამო —
წასვლა მინდა —
დღესვე უნდა ვცადო!
სად მიდიხარ, ძვირფასო —
მილიმის!
უკვირს, როცა პასუხობენ —
ც ა დ ლ !

გასაგები მიზეზების გამო —
შენთან! შენთვის! ერთადერთო სამო...

ორჯერ ორი რომ — ოთხია,
ხუთი თითოვით ვიცი!
ექვსჯერ ხომ მაინც მსმენია
იმ შვიდი მკვლელის ფიცი!
დღეს — არც შეშვიდე გაკვირვებს,
არც საოცნებო მერვე...
დასრულდეს ეს ცრუ ცხოვრება! —
ნამდვილს ვიცხოვრებ მერვე —
ცა რო-ცა გაილანდება —
მალალი, რიგით — მეცხრე...

...
კარგია, თვალს რომ შეასწრებ
ახალმოფრენილ მერცხლებს...

1994

გამოცხადებული კრიზისის ქრონიკა

— შესანიშნავი შვიდეული! —
ხომ გახსოვს კრისი? —
ხომ კრისიც, ფაქტიურად, ებრძოდა კრიზისს!

ნეტა მეც შემძლებოდა, შემექმნა შვიდეული!
ალბათ მეც ვიშოვიდი უშიშარ შვიდ კაძახს!
საწყალ ფერმერებსაც ვიხსნიდი შიმშილისგან
და მეც დავიდგამდი საწოლთან დიდ კასას!

(ანზორს ვესაუბრე დღეს ერქომაიშვილს! —
შ ვ ი დ კ ა ც ა ჩვენი ჩავთვალეთ დიდ განძად).

ნეტა ჩვენც გვეპოვა ის ჩვენი კრისი! —
ხომ დაუძვრებოდით მსოფლიო კრიზისს!
— გაგიჟდი? — შენს ერთგულს სად ნახავ შვიდ კაცს!
იმედი? კარგი რა! — ვისი ან რისი!

...
ხშირად გიგონებ: „გვენძრევა, მგონი!“ —
წუხს კაცობრიობა — ადამის კლონი...
გვეპოვა იქნებ ის ჩვენი კრისი —
ხომ ავიცილებდით მსოფლიო კრიზისს!

(აჰუტური)

ვზივარ ცეცხლის პირას და ვუტრიალებ ამ თემას:
რა ჯობს — ცეცხლის ჩაქრობა? იქნებ — ცეცხლის ანთება!
იქცეს კაცობრიობა სოკრატებად, კანტებად —
ვერ გაარკვევს: რატომ ჯობს, ვთქვათ, ჩაქრობას ანთება!
რა ჯობს — ცეცხლი როდესაც წყალთან დაიჩაგრება?
ანუ ცეცხლის დანთებას ჯობს გვერჩიოს ჩაქრობა?
რაც თავისით ინთება, ის თავისით ჩაქრება!

თქვენ თავს რაზე იტყვივებთ, რაზე წუხხართ, რა გნებაეთ?
მაინც, ცეცხლის ჩაქრობას ჯობს, ცხადია, ანთება:
რომ ბნელა და უეცრად შუქი შემობრძანდება...
თუმცა მესმის ამ თემის ნამდვილი უსაგნობა:
ჯობს ჩაქრობას — ანთება და ანთებას — ჩაქრობა!
გაყინული ვინცაა, უნდა ცეცხლმა დაიცვას,
და დაცული ვინცაა, უნდა ცეცხლში დაიწვას!
თუმცა რაკი ცივა და თანაც უკვე ღამდება,
ჯობს, ასე ვთქვათ, ჩაქრობა, ესე იგი — დანთება...

გაუსაძლის ტყვილებს რატომ ქვია ანთება! —
რა აინთო! სად! რა გზით! ვინ აანთო! რა ხდება!
ახლაც ისევ ქრება და ახლაც ისევ ინთება!
შენ ნურც გაგეხარდება და ნურც შეგეშინდება! —
ნურც ჩაქრობა გალონებს, ნურც ანთება გახარებს! —
ცეცხლთან დაგსვამ ძლიერთან და ცეცხლს არ
მიგაკარებ! —
ცეცხლის აღმოჩენამდეც ცეცხლს, ღვთაებრივს,
გაკმარებ...

21.III.94

წუთი რაა — არ ყოფილა წუთი,
წამი რაა — არ მქონია წამი —
ის — უჩინო, ის — უთქმელი ლანდი
თავზე რომ არ დამდგომოდეს ღამით...
გულს არავის არ ვუყუჩებ თუმცა,
თავსაც არვის არ ვაცოდებ ამით,
მაგრამ ღამით, ღამის ყოველღამე —
მეც წაყოლა გადავწყვიტო ღამის...

ერთადერთი — დიდებული, მკაცრი,
ბრმა, უგულო, საზიზღარი — ჟამი...
ალარც სიყვარული არ გაქვს სმის და ჭამის...
სურვილი გაქვს ერთადერთი რამის —
ჟამის მხოლოდ... უბოლოო ჟამის...

წერილები საყვარელი დამის,
წერილები მოალერსე, და მის
სულში, სადღაც, ჩარჩენილი შიში
განშორების — დაუნდობელ ჟამის.
...აი, ახლაც, — კვლავ წკრიალებს ცელი,
კვლავ შრიალებს ლურჯი მოსასხამი...

წუთი რაა — არ არსებობს წუთი!
წამი რაა — არ არსებობს წამი...

პოკერისტს, მსმელს და ბუნებით ზარმაცს
მომცა სიგნალი სიბერის ზარმა,
და აირია ოცნება, გეგმა,
და სხვანაირად აიჭრა კარმა...

გაიჭრიალა სიბერის კარმა
და სხვანაირად აიჭრა კარმა...
და თუ ნაწერი გამაჩნდა რამე,
ფრიალ-ფრიალით წაიღო ქარმა!

ალარაფერი საწერი არ მაქვს,
ალარაფერი სათქმელი არ მაქვს...
სანამდეც უნდა, რამდენიც უნდა,
რეკოს და რეკოს ზარმა და ზარმა...

ცხოვრებამ ბევრჯერ დამიღო სარმა,
და ზაფხულებშიც მიმუხთლა დარმა...
სიზარმაცისთვის ბევრჯერ გამკიცხა
ფშავის მთებიდან მყვირალა ხარმა...

პურის ნილ — ქატო, შალის ნილ — ნარმა...
ბედს ვერ ვაჯობებ მე, უმეცარმა...
კაცობრიობის დასატირებლად —
ცრემლი რაღაა — ცრემლიც კი არ მაქვს...

ქარიშხალმა ტაბანათი
დღეს ისე აამტუტა!
რა უნდოდა, რას ერჩოდა
ამ ბლებს, ატმებს, ამ თუთას...
ამ ორ თევში, დღეს მესამედ —
სოფელს დედა ეტირა!
რა ვიფიქრო! — ცოდვებისთვის
გვსჯიან ალბათ, მეტი რა!
ფრთხილად ვიყოთ, და უფალი
მოგვხსნის ამ ანათემას...
...
მართლა კარგი რაღაცაა
ცისკრის ამონათება!

...ს სიკვდილზე

მე სიკვდილზე თვითმკვლელის აზრს
ვერაფრით ვერ ვიზიარებ...
ვდუმვარ... მაგრამ თუ მკითხავენ,
ასეც ვეტყვი მისიანებს...

რა მომწონდეს! — ყველაფერი
არაფრით რომ ბოლოვდება? —

ესე იგი — უაზრობა?
ესე იგი — ბოროტება?

ძმურად რას მეფერებოდა,
რას მეძახდა „ჩემს ტარიას!“
მეც ფეხებზე დამიკიდა?
რა ვქნა! რა ვთქვა! შემცდარია...

„გამოსძალე ცხოვრებასო!“
თვითონ რად ვერ გამოსძალა!
„დაცალეო!“ — მაძალებდა!
თვითონ რად არ გამოსცალა!

რა ვქნა! რა ვთქვა! თვითმკვლელის აზრს
ვერაფრით ვერ ვიზიარებ!
როგორც გინდა, გამამტყუნეთ —
პატივს არ ვცემ მის იარებს...

— მთავარი სხვაა! — უფლისთვის
თუნდ წამით, თვალის მოკვრა,
თორემ...
— რა თორემ?
— კარგი რა! რა უნდა თავის მოკვლას!

ძნელია — რასაც აქ ტოვებ,
იმ განძის თავის მოკვრა,
თორემ...
— რა თორემ?
— სწორი თქვა:
რა უნდა თავის მოკვლას...

მთავარი არის, აქ დარჩე,
აქ, კაცი კაცურ კაცად,
თორემ მე, სანაძლეოზე,
გინდა? — მოვადენ ტკაცანს!

— ჰი-ჰი! მოადენს ტკაცანს!
— კი, როგორ არა — ტკაცანს!

...ვერ აისრულა საწყალმა
ეს მუქარა თუ ნატვრა,
სანამდე, იმ წყეულ ღამეს,
ხარაზივით არ დათვრა...

(ფორიაძი)

დავხურე საოჯახო სერიალის ფარდა.
გავთიშე ტელევიზორი.
გავთიშე კომპიუტერი.
დავხურე ნიგნი, რომელსაც ვკითხულობდი.
დავკეცი ბლოკნოტი, რომელშიც რაღაცას ვინერდი.
გავთიშე მობილური.
გადავდე ყურმილი.
ჩავაქრე სინათლე და დავჯექი ტახტზე:
მინდა გავიგო, რა მინდა...


ახალთახალ მანქანას ბორბალი რომ მოძვრება —
წვალბო ბორბალმომძვრალი შენი დღე და მოსწრება!
ერთხელ მაინც ხომ უნდა შეგისრულდეს ოცნება! —
ან ის — რაიც სულს ნებავს,
ან ეს — რაიც ხორცს ნებავს...
სულში მუდამ იმ ეჭვის ჭია როგორ მოძვრება!
მარტო შენთვის არსებობს? — დიად ტანჯვის
მოდვრება!

ლექსს წერ მთელი ცხოვრება — რა გიჭირავს ხელში!
არ ხერხდება — ვერაფრით გამართულხარ წელში!
ის არ ჯობდა? — შენც სადმე ყოფილიყავ ელჩი!
არა, ძმაო, მე განა ელჩს რაიმეს ვერჩი...

შეთავაზება მთარგმნელს

როგორ მინდა, ას ენაზე
თარგმნოთ ლექსი ა რ ს ე ნ ა ზ ე! —
უნდა ყველას ყველაფერი
ჩაუწიგნოთ არსენაზე!
ასეც წარმომიდგენია:
ღვინო — ხიხვის, ყველი — გუდის,
ხისქევეშ — სუფრა, და სუფრასთან
არსენა და რობინ ჰუდი!
ილიდინონ ყმანვილებმა
ხან — ტემზაზე, ხან — სენაზე! —
ხან — იმავე რობინ ჰუდზე,
ხან — მარაბდელ არსენაზე!
ასე დიდი. ასე მცირე,
ასე მკაცრი, ასე ნაზი —
როგორ მინდა, ას ენაზე
თარგმნოთ ლექსი ა რ ს ე ნ ა ზ ე!





ბესიკ ხარანაული

აბზაცები

ნიგნიდან: „სამოცი ჯორჯი ამხედრებული რაინდი ანუ

ნიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“

ყმათად ნაბრძანები აქვს: — მომიხვიდოდეთო!
— რატომ არ მოუხვალთ?!

კი არა, ფიანდაზებს, რომ არხეინად გაგორდ-გამოგორდეს გამოტოვებულზე.

ამით ავტორიც იწმინდება, რაკი მკითხველს არ უმაღავს, რომ ცოდვილია და მოკლედ წერა არ შეუძლია, — და ამ ნაკლითვე მიანიშნებს, სად რა გამოტოვოს. თან დელიკატურად სთხოვს: — ფრთები გენყოს სადმე ახლოს და არა ჩემოდანმოო...

ერთ ჩემს ცოდვაშიც მინდა გამოვტყდე, მით უმეტეს, რომ მერე და მერე მკითხველი მაინც შეამჩნევს. საქმე ეხება პ ა თ ე ტ ი კ ა ს, რომელიც, როგორც გინდა ანაქრონიზმად არ უნდა მოგვეჩვენოთ, ერთადერთია, რასაც ადამიანის ხერხემალი სწორად უჭირავს. ხოლო ი რ ო ნ ი ა, რომელიც ანტიპოდა პათეტიკისა, მას მოძრავს და პლასტიკურს ხდის, არ აძლევს საშუალებას, რომ გამეშდეს, პირიქით, ასწავლის, რომ ადამიანი უნდა იყოს გამართული, როგორც დროშის ტარი.

ასე რომ, მარტო წყალი და ჰაერი კი არ არის ადამიანი, — პათეტიკაცაა, — ურომლისოდაც ის არა თუ საკუთარ გვარ-სახელს ვერ იტყოდა, ტრაკსაც ვერ ასწევდა და შარვალსაც ვერ შეიკრავდა. უპათეტიკოდ ცხენზეც კი ტვირთით იდებდა კაცი, ვერ აინევა, რომ ლაჯებში ქარი გაატაროს, რომ უმსუბუქოს ცხენსაც და თავის თავსაც.

ადამიანი კარგია მანამ, სანამ იმას არ მოვთხოვთ, რაც მასში არ არის. სამწუხაროდ ცხოვრება ასეთი როდია: საკმარისია ცხოვრებას ოცნება მოაშორო, რომ უცებ დაიბნე, რადგან ბევრ რამეზე იკითხავ: — ამისთვის?

ადამიანი პათეტიკის ჯვარზეა გაკრული... აბა ჩამოვიდეს!
ნახავს მერე, რაც დაემართება!

მტკვარი აიშალა

ასე აიშალა ნიგნი მტკვარი. და მე კვლავ ფიქრებმა დამამძიმა. შევიბერტყე, რომ დავმსუბუქებულიყავი. გეგონება, მტვრით მევსო თავი. მერე კიდევ ახალი ამბავი გამოტყვრა და დიდ ბუქში გავეხვიეთ მეც და ჩემი ნიგნის გმირებს.

აბა, გავიმეორო, რას ვაპირებ, რომ დავრწმუნდე, რომ სწორ გზას ვადგავარ:

ნაწერი, საინტერესო რომ გამოვიდეს, საჭიროა, რომ მოქმედი გმირი რამეზე იჯდეს, — ცხენზე, ჯორზე, ჯოხზე... სულ ერთია! მთავარია, რომ გმირს ქენება შეეძლოს და ერქვას მხედარი... ამას ლიტერატურის ისტორიაზე დაკვირვება გვასწავლის.

ცხოვრებაზე დაკვირვება კი გვასწავლის, რომ მხედრის ფიქრები მაშინაც კი უფრო საინტერესოა, როცა ჩამოიქვეითებს და ჯორს მიუშვებს..

ავტორსაც უადვილდება საქმე, როცა ამხედრებულ გმირს მისდევს უკან, ვერავინ დასწამებს, რომ მტკვარი მისი აშლილია.

ბუქის დაყენება ყველგან შეიძლება, მინაზეც, ბუხრის კალთაზე გაშლილ ნაცარშიც და სკოლის ოთახშიც, სადაც ბავშვები წარამარა რვეულებსა და ნიგნებს აშრი-ალებენ...

ისე, ორი კატეგორიაა ადამიანისა, ზოგი საერთოდ ვერ ამჩნევს მტკვრს, ზოგიც ყველაფერში მხოლოდ მტკვრს ხედავს... და ორივე გაცუცურაკებულია. ეს ეხება მკითხველსაც, რომელსაც ჰგონია, რომ ნაკლი მხოლოდ ნაწერს გააჩნია. ამ დროს კი ოდნავდაც რომ შეიბერტყოს, მხოლოდ ნაკლი დასცვივა, რადგან თანაბრად ყველასია ნაკლიც და მტკვრიც.

უნაკლო და უმტკვერო მარტო სანების წმინდა გიორგის ჯვარია, — ყინვარის ლოგინიანი, ნისლის კოტორში გახვეული, ზღვის დონიდან ხუთიათას მეტრზე დაგანებული.

ერთსაც ვიტყვი საკუთარ თავზე:

შეიძლება ნიგნის ავტორიც გამოიჭრას ხოლმე ნაწერის ფურცლებზე, — გამოუთამაშდეს თავის გმირებს... სულ სხვებისთვის ყურებაში და ტამის კვრამი, შეიძლება გაახსენდეს თავისი თავიც და გულწრფელად უთხრას მკითხველს, რომ არასდროს გმირობა არ ჩაუდენია. არ იცის, ემალებოდნენ ერთმანეთს, თუ ის იყო მიზეზი, რომ გმირობისთვის ადამიანობა უნდა დაივიწყო, რომ გმირობა იმას ჰქვია, რაც ადამიანს ამორებს მის დანიშნულებას, რომ გმირებმა გადაჭამეს და გადაძოვეს ისტორია.

ჩემს მოსწრებაში კი გმირობაზე ძნელი ადამიანებში გაძლება იყო.

მაგრამ, აბა, სცადე და იყავი უცხოვრებოდ და უადამიანებოდ!

რაც ადამიანს არ ეკითხება და რაც მოითხოვია

ადამიანს ყოველთვის ჰქონდა მოთხოვნილება, რომ რაც არ ეკითხება, იმაზე ეფიქრა და ელაპარაკა.

მაგრამ, რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, სწორედ ამან შეუწყო ხელი მის განვითარებას.

ის მოძრაობს გამრუდებულ წრეზე, მაგრამ შევინის, — კოჭლი ქალივით.

დედამინაც ელიფსზე, ანუ გამრუდებულ წრეზე მოძრაობს, მაგრამ სამყაროს თვალთ თურმე ძალზე მომხიბვლელია და, როგორც ვიცით, არც გაუთხოვარი დარჩენილა.

ცნობისმოყვარეობით ანთებული ადამიანი ყოველთვის ელტვოდა ინფორმაციას.

ოდესღაც, უცხო კაცი უცხო სამეფოში ისე ვერ გაივლიდა, რომ იმ სახელმწიფოს მეფეს არ მონდომებოდა მისი გაცნობა:

— უცხო კაცსა გამსგავსეო და შენი შეყრა მნადიო, გარდავხდეთ ჩრდილსა ქვეშეო, დაღალული იქნები და შეისვენეო!

ასე და ამრიგად, ადამიანი კვლავაც აგრძელებს პირველიდან დაწყებულ გზას, — იმას ფიქრობს და იმას ელაპარაკობს, რაც არ ეკითხება.

ნუთუ იმიტომ, რომ არ იფიქროს მთავარზე?

გეტყვით მე თქვენ: დღევანდელ დღეს პირველი ინფორმაცია ადამიანისთვის ახალი ამბები კი არ უნდა იყოს, არამედ წარსული: დედამინას თავს გადახდენილი კატასტროფების, წარღვენების, ომისა და შიმშილის, ძარცვის, გლეჯვის და ათასგვარი უსინდისობის განუწყვეტელი შესხენებით შხამად უნდა ამოადინო, — რომ გულმავნიცია დაბადებული.

ადამიანს ყოველდღე უნდა შესენდებოდეს დედამინის ბურთის ახლანდელი მდგომარეობა, მრგვალი როა, ყოველდღე უნდა ეთქვას და არა ტახტივით გადაჭიმული. ყველა როდია ბავშვობაში ღორზე ნაჯდომი, რომ იცოდეს, როგორი აუტანელია სხვისთვის მისი დუნდულები და როგორ ცდილობს ის სხვა მის გადმოგდებას და თავის დახსნას. ასევე საჭიროა ვისმენდეთ ანგარიშს დედამინის სხეულის გამართულობაზე, — თვით უმცირეს წაწყვიანადაც; სამყაროში მისი სავალი გზების მიმოხილვა უნდა შეკაზმული იყოს კოსმიურ ჰანგებით და დედამინის ეტლის ზარების წკრიალით: რომ ჭკუაში ჩავარდეს ადამიანი და მთავარზე იფიქროს.

რომ გაიგოს, ბოლოს და ბოლოს, რომ ეტლში, რომელშიც ზის და სამყაროში დაჭენაობს, ცხენები აბია და იმ ცხენებს დღეში სამჯერ ქერის ჭმევა უნდა.

დღეს გულარხინი ადამიანი არც სამყაროში მდებარეობს და არც დედამინაზე. ის ზის ბუხართან და ნაცარს ქექავს და არა მარტო ფიქრობს და ელაპარაკობს რაც არ ეკითხება, არამედ ნ ე რ ს კიდევაც.

სამყაროს შექმნა

სამყაროს შექმნის თემა იმდენად ბუნდოვანია, იმდენად მარად ძველია და მარად ახალი, რომ ყოველ წუთს შეიძლება მასზე ფუჭი საუბარი — თუნდაც ამ წუთებში, კალამი რომ მიჭირავს ხელში, თუნდაც ასე, — შარში რომ არ მინდა გავეხვიო, რომ ვყოყმანობ, მკრეხლობისთვის თავი რომ მეზოგება... ამ თემაზე მსჯელობა ხომ საგანგებოდ ღიად დატოვილი კარია უმეცრებისა და გიჟებისთვის... მაგრამ ჩემი ნიგნისთვის ერთი პატარა აღმოჩენა ჰაერივით აუცილებელია:

სინამდვილის წინააღმდეგ

ვისაც სწამს მხოლოდ სინამდვილე, იმას მეტი არაფერი არ უნდა აღირსო. ვისაც არ სწამს ჯვარცმული ოცნება და ადამიანის მეტაფიზიკური ამბოხი, დაე, ებას სინამდვილეზე. მეტი არაფერი არ უნდა აღირსო.

იყო ქვეყანა აღმოსავლეთის და დასავლეთის საზღვართა შორის...

შენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის პირშესაყარზე დაიბადე.

ვიდრე ხელში კალამს დაიჭერდი, ამ სივრცეებში უკვე არსებობდა პოეზია და პროზა, რომლებსაც თავიანთი კულტურების სახელები ერქვათ: — აღმოსავლური და დასავლური.

შენ კი არც ერთ ამ სივრცეში არ დაბადებულხარ, შენი ადგილი იქ არ არის; შენი ადგილი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურების პირშესაყარზეა: — აღმოსავლურ-დასავლური ლექსისა და რომანის პირშესაყარზე.

ამიტომაც, გაუძელ ორთავ სივრციდან მომდინარე ტვილ ხმათა ცდუნებას, გახსოვდეს უპირველესი მესიტყვის ანდერძი, რომელმაც კარგად იცოდა ამ ორივე ჟანრს შორის თავისი ადგილი:

— ნუ მიაცივდები ერთ რომელიმე ჟანრს, შენი ადგილი ამ ჟანრების პირშესაყარზეა!

სხვათაშორის, ვინც კულტურათა პირგასაყარზე დაბადებული, იმისთვის, წერის დაწყებაც და ნადირობაც სჯობს დღე-ღამის პირგასაყარზე, სანამ ნათელი და ბნელი ერთმანეთს ბაგეებს ააშორებენ: ბნელში უნდა გააღვიძოს საკუთარი კბილების ღრჭიალმა, ბნელში უნდა ადგ-

ჭკუით დაწყებული საქმე უკვე აღარ გამოსწორდება,

წერისთვის მთავარი ის არის, რაც წამოგახტუნებს რადგან რამაც წამოგახტუნა, ის არც ჭკუაა და არც სისულელე, არამედ მათი პირშესაყარი.

ამეებს რომ გაითვალისწინებ, მერე წერე და წერე, რამდენიც გინდა: — კალამი ხან უყმურის მელანში ჩაანე, ხანაც მუშუკ-ამბრ-სურნელოვანში...

სათაურმა გაგანვალა: დაიწყე წერა და აიძრა ისიც, მიდიოდი და მოგვევდა, ჩერდებოდი და ჩერდებოდა; იმდენი დაგროვდა ერთმანეთის მჯობინობაზე, რომ იფიქრე, ამით ხომ არ დავარქვა სათაური და დავამთავროო... ახლა რაცაა, ჭიაყელას ნაწყვეტივითაა იმათთან შედარებით... თუმცა, რა ჭიაყელა და რა სარტყელი და სხვა მსგავსი უმანკო არსებანი — ძველი საბჭოეთის მიდგომული კიბე გამოვიდა, საიდანაც ადრე ის გადმოვარდა, ვინაც ესლა კრუხ-წინილასდა უკეპავს მხალს.

საბჭოის კიბეს რაც შეეხება: მოგესხენება, ყველა კიბეს ირონიაში უდგას ფეხები, რაკი ზემოთ მიემართება, თუნდაც მხოლოდ იმისთვის ავიდეს კაცი, რომ საბჭოის სხვენში შეიჭყიტოს და იქ გაკიდული თამბაქოს კონები დაათვალიეროს. სწორედ ამ თვალიერებაში დაგიდგინდა საბოლოოდ შენც სათაური და ძალიან ალეგზნე, დაგკრა ელვამ და ჩამოგიტყდა კიბის საფეხური და ძირს რომ მოფრინავდი, მხოლოდ იმ სათაურის გადარჩენა გაფიქრებდა.

დაეცი და არ გაუშვი, ხელი თუ რაღაცა და, სათაური მაინც გახსოვდა:

- “სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი”...
- ანუ?..
- ანუ “ნიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა.”

და: “ქვემოთ მომლოდინე ირონია”?..

- არა!
- განყრა შენი გული, გაჯავრდა.
- ირონიას რა ხელი აქვს ჰიპერბოლა და მეტაფორასთან!

ყველა კიბე ცისკენაა მიმართული და არაფერი აქვს მინასთან საერთო. იმიტომ ვეცემით, რომ ეს ვისწავლოთ.

ეჰ, მე რომ ოდესღაც სათნოების კიბე არ ჩამომმტეხოდა და იდეალებთან ერთად ძირს არ დავცემულიყავი...

მას შემდეგ ძალიან მაშინებს ცოდვა, რომელიც მინაზე ხომ ბალახითაა და ცისკენ რომ გაიქცევი მინით ამფრთხვალა, იქაც კოსმიური კლავიატურასავით დაგებული დაგხვდება... მოკლედ, კაცს ვერც თვალი მიუპყრია რამისთვის და ვერც ფეხი დაუდგამს. ამიტომაც, მინა, ცა და კიბის საფეხურები კი არ ავირჩიე სათაურებისთვის, არამედ თოკი.

მაგრამ აბა, იმსიგრძე თოკს სად ვიშოვნოდი და... ნაწყვეტების გადაბმა დავიწყე და ისეთი მაგარი თოკი გამოვიყვანე, რომ რასაც გინდა იმას გაუძლებდა...

ეს ჩემი სათაურების თოკი სათანადოდ დრეკადიც გამოდგა, რომ კაცს ზედ არა მარტო გაეელო, ეჯამბაზა კიდევაც, თუ მოისურვებდა.

ნასკვების წყალობით ადვილად დაიმახსოვრებ სადაც ხარ და გეცოდინება რაც გამოტოვე: რადგან, რა ნიგნია ის ნიგნი, რომელსაც გამოსატოვებელი ადგილები არა აქვს. არის ასეთი ნიგნები... ისეთებიცაა, რომ შევა მკითხველი და ვეღარ გამოდის და თავ-ბედს იწყევლის, აქ არ დავრჩეო...

ამ ნიგნში კი თოკია გაბმული და ნასკვები აქვს ასხმული კრიალოსანივით, გზის გამოსაკვლევად.

ავტორი თავის ნებით თუ არ შეთხზავს გამოსატოვებელ ადგილებს, მაშინ მკითხველი თვითონ იპოვის და ავტორმა შეიძლება მეტი იზარალოს. ამიტომ გამოცდილი ავტორი მკითხველს თვითონ უგებს — მახეს

ეს, ჩაიცვას. ბნელში უნდა გაიმოროს ადამიანობა, არ უნდა ჭამოს ერთი ლუკმაც, მარილშიც კი არ უნდა ჩააწოს თითი...

უნდა განიზანოს, განმინდავდეს და... შებუტკოვებულ ბაგეებს რომ ააცლიან ერთმანეთს ღამე და დღე, ანუ ცისკრის ძვისას, დაიწყოს წერა.

ეს დრო არა მარტო დღის და ღამის პირგასაყარია, სხვაც ბევრი რამისაც, და ვინც მასთან ერთად დაიძვრება, მთელი დღის მანძილზე სინამდვილე აღარ მოუნდება.

სამაგიეროდ ფანჯარასავით სულ სამყარო ედგება თვალწინ. პურის ნამცეცხსაც კი შეამჩნევს, — ის და მასთან ერთად გაღვიძებული ჩიტები, რადგან, სადაც მისი თვალებია, იქ ჩიტები მარცვალს პოულობენ.

ის კავკასიონის ყინულოვან მთებს მიკრული კუთხის შვილია, სადაც რვა თვე თოვლი და ყინვაა და, მაინც, ადამიანებს არ შურთ ბუნაგებში თავშეფარებული მხეცებისა:

როგორ შეიძლება განსაცდელს დაემალოს ადამიანი!

ის კავკასიონის ყინულოვან მთებს მიკრული კუთხის შვილია, სადაც ადამიანებს სხეულზე ხორცი არ უჩერდებათ, — როგორც მთა-კლდეზე ქერის ნათესი.

ის კავკასიონის ყინულოვან მთებს მიკრული კუთხის შვილია, სადაც სიტყვა “ხალხი” არაა, რადგან ყველას საკუთარი სახელი ჰქვია. კრებითი აქ მხოლოდ ცოცხია, რომელსაც არყის ხის ტოტებით სწნავენ და ბარში მიაკვთ ხორბალზე გასაცვლელად.

მაგრამ ადამიანობა არც აქ დადის ხალხში...

ის კავკასიონის ყინულოვან მთებს მიკრული კუთხის შვილია, სადაც ადამიანებს ოცდათორმეტივე კბილის ცვეთა აქვთ, იმიტომ, რომ გულის ჯავრს ხრავენ.

წარმოგადგენიათ, ამით რომ სწამდეთ სინამდვილისა!

ასკეტი ბერებიც ვერ ძლებდნენ და იკარგებოდნენ აქაურობიდან, იმიტომ რომ არ შეეძლოთ სინამდვილის იქით ცხოვრება.

ბედი ერს დაბადებიდანვე აემგზავრება და არა სტოვებს. სული ერს დაბადებიდანვე აემგზავრება და არა სტოვებს.

იმპერიებს შორის იყო, როგორც კბილებს შორის ენა, — აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ერთი ათს ებრძოდა. არ მიატოვა ბედმა, და არც სულმა არ მიატოვა. ხან ერთი სწყალობდა, ხან მეორე, — დროშა ვისაც ეჭირა ხელში.

სიხარულზე სული მისდის, რადგან იცის განწირული და ფიქრობს, როგორ გაექცეს სინამდვილეს.

ყველაფერმა გაითქვა ამქვეყნად სახელი ადამიანობის გარდა...

ღმერთო, ნუ მომაშორებ მე ადამიანობას, ღმერთო, იხსენი ჩემი ადამიანობა, რომ არ მოვკლა კაცი ხელით ან სიტყვით, რომ არ ვიქურდო და არ ვიმრუშო სინამდვილეშიც და ფიქრშიც კი იქნება ვცადაო. რომ სიტყვა ვლექო უფრო მეტ ხანს ვიდრე რომ ლუკმა, რომ არ ვილაპარაკო სხვის ნაკლზე და ჩემი დამიწყედეს, რომ გავასამართლო ჩემი თავი, ვიდრე სხვები გამამტყუნებენ, რომ არ მომადგეს კარზე სირცხვილი და სიკვდილი არ მანატრებინოს.

ეს მექნება იმის თავდებად, რომ როცა მოვკვდები, მერეც კარგა მაგრად ვიცოცხლებ, რადგან სიტყვაში ვიქნები და სიტყვა მაცოცხლებს. რადგან: ჩემი სიტყვა არაფერს არაა ამოფარებული, არც გმირობას, არც წაწარმოებს... მარტო საკუთარ თავს ებრძვის და სხვებისთვის ძალა ელევა:

ადამიანში არსი რომ იყოს, მეორე ხომ დაინახავდა. მაგრამ ადამიანში არ არის არსი, ადამიანში არის საგანი და ამიტომაც, მეორე რომ ასე ემოციურად ესვრის მას ტყვიას.

უკვე დამეძრა ჭირის ოფლი! გავსუსტდი. ვინ ამწონის მე სამი აზვაცის მერე! მკითხველო, შედი ავტორის გვამში და იხილე იქ დაღლილობა.

რამდენი რამეა სხეულშიგნითი — ანუ ყდებ-შიგნითი ადამიანი: გულ-გვაში, ძარღვები, იოგები, სისხლი, შიგნეულობა, შიგთავსი, ნაღველა, ელენთა, ღვიძლი, ბუშტები, ჯირკვლები... და ეს ყოველი, ათივე თითით უკრავს ადამიანის გონებაზე და — სულზეც, თუკი თითების სიგრძე ეყოფა. ამეების პატრონმა ადამიანმაც, რა უნდა ქნას, — საკვირველს ეძებს.

ქნელია სიბრძნე...

ყოველი ნაწერი ჯერ გრძნობაა. მერე დააწყობს ფრთებს ფურცელზე. ამ ორივეს ერთმანეთთან შესაბამე

ისობა ესაჭიროება, როგორც დანის პირს: ბრძენიც იმას ჰქვია, ვისაც გრძნობაზე ენა არ დაეხმოს და ხელები არ აუცახცახდება, ან გარეთ არ გავარდება ცეცხლმოდებულებით. არამედ დაწერს.

ქნელია ბრძენი კაცის ცხოვრება: სძინავს — ბრძენია, ღვიძავს — ბრძენია, ფიქრობს — ბრძენია, ამბობს — ბრძენია... და თუ წერაც მოისურვა ამგვარმა ბრძენმა, აუცილებლად უნდა მხოლოდ მარცხენით წეროს. მარჯვენით წერა ღმერთისაგან აკრძალული აქვს, რადგან ბრძენის მარჯვენით ნაწერი ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელია. ხომ დასამალი არაა, რომ ახლა ადამიანებს აღარც წაღმართი გრძნობა უნდათ და აღარც წაღმართზე წარმტაცად ნაწერი. ამიტომაც გაუქმებული აქვს ბრძენს მარჯვენა ხელი, სარტყელში აქვს ჩატანებული, მარცხენა ხელით წეროს უნდა, რომ მკითხველს მისი შესაბამისი ძალით შეეხას.

რა ქნას? სულ სარტყელში ხომ არ ექნება მარჯვენა ხელი?.. ისედაც ათას რამეს აბრალებენ.

და, აი, ღმერთმა ასეთი ბრძენისთვის რა მოიმოქმედა: კი არ ინანა იმ უნარისთვის, რაც მანეჩა, ადგა და მის სიბრძნეს საფარველი დაადო. მისცა დრეკადობა და ტყუბის ცალად უშვა სისულელე. ყველა განძს ხომ მისივე ბადალი ძალა იცავს...

მას მერეა, რომ ადამიანი ყოველ დილას ჭკუა-გონების მოკრებას ცდილობს, სისულელის ძებნა კი არა სჭირდება.

მაგრამ, როგორც სიბრძნეს უჭირს ამქვეყნაზე, ისე სისულელეც დაქანცულია ძაღლებისთვის ჯოხის ქნევისგან.

ბრძენს რომ შეეძლოს, რომ მთელი დღე ბრძენი იყოს და სხვა არავინ, სულელსაც რომ შეეძლოს, გზას არ ასცდეს მთელი ოცდაათი საათის მანძილზე... რა ბედნიერება იქნებოდა ამათვისაც და საერთოდაც. მაგრამ ვერ ძლებენ, მამაძაღლები. საზოგადოებასაც ერთი სული აქვს რომ ბრძენი სულელივით გაკრეჭილი იხილოს და სულელის ნათქვამიც რომ სიბრძნედ მონათლოს. თითქოს სულელისა სიბრძნე იყოს მომხიზლავი და ბრძენისა კი სისულელე.

ხოლო წერისთვის არც სიბრძნე ვარგა და არც სისულელე; ამ საქმეში, სჯობს ორივე ისე შეირწყას, რომ გამოვიდეს მათი შვილი: არა დედის და მამის მსგავსი, არამედ თვითონ, — ახალი გიჟი! რომელიც იტყვის დედისა და მამის სისულელეს ახალ შემართებით: — ვისაც სიბრძნე ჰქონდა, არ გამოადგა, — ვისაც წესიერება ჰქონდა, არ გამოადგა...

ნუთუ თავიდანვე დაწყვეტილია ორივე?

ვისაც მცირე ახარებს, ის დიდს შოულობს! ისე გაავსებს სახლს, რომ შიგ ველარ შედის. გარეთ უზის თავის ქონებას. არაფრის მქონე კი თავმოყვარეა.

ისიც ეგრე არის, ვისაც ლექსობის ზენი აუჩნდება. თუმც წერის დროს თავს ვერ ხედავს, რომ შეიჯავროს, წერას რომ მორჩება, აღარ იცის რად იგრძნოს თავი, — ბრძენად თუ სულელად? და ამის გამო სინანულში ვარდნება:

ცოდვია ადამიანი მასზე მეტი ტვირთისთვის. ხან მთვრალია, ხან ფხიზელი, ხან ბრძენია, ხან სულელი და მხოლოდ მათ პირშესაყარზეა — თვითონ. მიდის, მიაბიჯებს კალმის წვერით გაკვალულ ბილიკზე და თამამია, რადგან გვერდს ჰყვანან ტანის დამჭერნი, — ერთი იმის ნახევარი სიბრძნეს უჭირავს, მეორე სისულელეს...

და ოთახის მარადმწვანე ხვიარა ბუჩქი კი, ამასობაში ისე გაზრდილა და ისე გადმოღვრილა-გამოწვდილა თავისი ქოთნიდან საწერი მაგიდისკენ, რომ ერთი ტოტით სხეულზე ეხება — იმ ადგილას, სადაც შარვალს იკრავს.

იმღერე სისულელე, დაე სიბრძნეს ედოს საფარველი! სისულელე ვერ გაძლებს უმღერლად, სიბრძნე კიდევ დუმილის გარეშე, შენ იქნები მათ პირშესაყარზე როგორც მთვრალი მინისმზომელი, და სინამდვილეს აურ-დაურევე.

ჩვენ ყველა, სწორად დაწყობილი რიგიდან გამობურცულები, — ავანტიურისტები ვართ. ეს იმ ფოტოდან მიგზვდი, ოდესღაც, საზაფხულო ბანაკში, დილის ხაზზე რომ დაგვამწკრივეს ბავშვები და გადაგვიდეს... იმ ფოტოზე, მე ფეხები და მხრები დანარჩებების თანაბრად მიჭირავს, მაგრამ გულ-მკერდით მაინც წინ ვარ გამობურცული.

სადაც დავიბადე, ისეთი დრო და ადგილი იყო, რომ თუ ცხოვრების მცირე შემოთავაზებებს დიდად თუ არ ჩათვლიდი, შეგეძლო დილიდან საღამომდე მჯდარიყავ და ფეხებზე დადებული ბორკილი გეხერხა. არც გზა იყო, არც ზღვა, არც განძი...

ლექსილა იყო ავანტიურისტისთვის, თითქოს უნდა ამხდარიყო დედაჩემის სურვილი: — შენ უნდა ციხეში ჩაგვას კაცმა და მარტო კალამი და ქაღალდი მოგცეს!

სამაგიეროდ ძაბრვივით უფსკრულის ფსკერზე აღმოვჩნდი...

ჰიპერბოლა და მეტაფორა

დასაბამიდან იყო ჰიპერბოლა და მეტაფორა. ისინი იყვნენ ღმერთის სიტყვაში, როგორც საისრეში. რადგან ღმერთი სახე კი არ იყო, არამედ — სიტყვა.

და ჰიპერბოლა და მეტაფორა ღმერთის სიტყვაში, როგორც საისრეში.

და სტყორცნა ღმერთმა ერთი ისარი და აღნიშნა — შეუძლებელი და უწოდა მას ჰიპერბოლა. მეორე ისრით მან აღნიშნა შესაძლებელი და უწოდა მას მეტაფორა,

რადგან კაცისთვის ისევე საჭიროა შეუძლებელი, როგორც ის, რაც შესაძლებელია.

ასე შექმნა ღმერთმა ჰიპერბოლა და მეტაფორა და უწოდა მათ ცა და მიწა.

დაასახლა ისინი ერთად, დაუნესა ურთიერთსწრაფვა და დაუთქვა ერთმანეთის შეუსაბამობა.

და ჩადგა იმ ადგილას, სადაც განაშორა, ღმერთმა სამანი და დაწყევლა მისი მერჩოლი.

ასე გაყო ღმერთმა შესაძლებელი და შეუძლებელი და გაჭიმა მათზე სიმები, რომ არ დაუკრას არავინ ერთზე და არ მიმართოს სიყვარული თავის თავისკენ.

ამიტომაც ჰგავს სამყარო — წიგნს და არა ფუტკრების სკას, ანდა ჭიანჭველების ბუდეს.

რადგან: რაც უფრო ზუსტია რაიმე, უფრო მხატვრულია, და სამყაროც სიტყვაკაზმული უსასრულობაა, დაუნყებელ-დაუმთავრებელი, სანატრელი ყველა კალმოსნისთვის.

რადგან, დასაბამიდან, სადაც არ უნდა მოხვედრილყო ადამიანი — ზესკენელში თუ ქვესკენელში, ზღაპარში თუ ანდრეზში ან, თუნდ მთვარეზე დაედგა ფეხი, ყველაფერი, ნანახიცა და განცდილიც, პოეზიის ენით გამოჰქონდა და არა ზომა-წონით, ანგარიშით და ფორმულებით.

იამბობდა, ითხრობდა, ხელში არ ეჭირა რაიმე ნიშანი, მხოლოდ პირით მოჰქონდა სათქმელი და სიტყვები მღელვარებით სასაზე ეკვროდა.

ნუთუ რაიმე მოვლენა ან საგანი, რაც უფრო ზუსტია, მით მხატვრულია? და მხატვრულობა აუცილებელი საზომია ყოველგვარი სიზუსტისათვის? ნუთუ სამყარო, როგორც ფარდაგი საქსოვის ყდაზე, ისე არის გადაჭიმული სიმღერის ტექსტზე? ნუთუ მეცნიერების ყველა კანონი შეიცვლება, პოეზიის კანონი კი მარადიულია? ნუთუ ამიტომაცაა, რომ შეუძლებელია სამყაროს დანგრევა? როგორც შეუძლებელია დაანგრიო გილგამეშის, ჰომეროსის, რუსთაველის, დანტესა და შექსპირის სტრიქონები.

ნუთუ ორივე მიუღწეველია — სამყაროცა და პოეზიაც. ნუთუ ღმერთმა პოეზიით აწონა და გაზომა ყველაფერი და ამიტომაცაა, რომ სამყაროში ყოველივე ზუსტია, თავის ადგილზეა და არ იშლება. რომ მანძილი პლანეტებს შორის — სტრიქონია, და ბგერაა მათი ზომა, და წონა — მარცვალნი. რომ სამყარო წინასწარულად დაუსრულებელი წიგნია...

გეხვეწებით! — უსასრულო გორგალი უფროა იგი, თუ უსასრულო ქსელი არის, რაკი ამქვეყნად არიან ფუნაგოორები და ოობები? და პოეტსაც, — გეხვეწებით! — რატომაც აქვს მისჯილი უცვლელი ადგილი: ბრძენის შემდეგაც და გიჟის შემდეგაც. რატომაც ჰგონია: რომ ღმერთმა მხატვრულობა მიუსაჯა სამყაროს, — რომ არ დაშლილიყო, რომ ღმერთმა იხმარა პოეტური სიზუსტე, რომ ღმერთმა პოეზიით გაზომა და აწონა ყველაფერი: ყველა ვარსკვლავი თავის ადგილზეა, ყველა მანძილი არის სტრიქონი, სამყარო უჯრებიანი რვეულის ფურცელია, ყველაფერიდან ყველაფრამდე გზა და ბილიკია, ყოველი სიტყვა ფერში არის გამოვლილი და მუსიკით გამოცრილია და არც ერთი არ არის ცალკე, არამედ ერთხორც.

რატომაც სამყარო უთვალავჯერ უფრო მხატვრული, ვიდრე პოეტის მიერ დაწერილი რაცინდა წიგნი, რომელსაც იგი შეუძლებელისა და შესაძლებელის საშინს შესწირავს.

სული სხეულშია და თესლი ჩენჩოში, სამყარო, ბროწეულის ნაყოფივით რომ დამნიფდა, მერე განიმარცვლა.

დრამატურგი

— შენი ერთადერთი ნიგნის — „იყო ერთი სოფელი“ — წინასიტყვაობაში, რომელიც მთლიანად არც არის შენი და ნიგნის ნახევარი შენი ძმის, ბესო სოლომანაშვილის, შემოქმედებას აქვს დათმობილი, წერ: „რომ დავიბადე და შვიდი წლით უფროსმა ძმამ სახელი დამარქვა, მას შემდეგ ჩემს გარშემო არსებულ ადამიანებს, საგნებს, ურთიერთობებსა და მოვლენებს მისგან შერქმეული სახელებითა და ამოსაცნობი ნიშნებით აღვიქვამ“. ძმის გავლენით ხომ არ დაიწყე წერაც?

— არა, წერა არ დამიწყია ბესოს გავლენით. მგონი, მე უფრო ადრე დავიწყე წერა, ვიდრე — ბესომ. ამ შემთხვევაში პირველობა არაფერს ნიშნავს, მთავარი ხარისხია და ამის დასტური ჩემი და ბესოს ლიტერატურული ნამუშევრებია. ბესომ რეჟისურით დაიწყო, ჩემთვის კი წერა გარკვეულ ხანს თავშესაფარი აღმოჩნდა. თავიდან, როგორც ყველამ, ლექსებით დავიწყე, მერე ვმალავდი ხოლმე ამ ლექსებს, ვინმეს რომ არ ენახა. არავისთვის მიჩვენებია. ერთხელ, სკოლაში სწავლის პერიოდში, ჩემმა ძმაცაცებმა იპოვეს, დღემდე ძმაცაცები ვინც არიან ჩემი (ბევრი არ მყავს, სხვათა შორის), და მითხრეს — ერთი რამე უნდა გთხოვოთ: რაც გინდა, გამოდი, ოღონდ მწერალი ნუ გამოხვალ... ჰოდა, მეც ვმალავდი ამ ყველაფერს. ჩუმად ვწერდი. მათ დიდ პატივს ვცემდი, დღესაც დიდ პატივს ვცემ, მაგრამ როგორც ჩანს, ამის კეთება იმდენად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, რომ ვერ გადამათქმევინეს.

— შენს ბიოგრაფიულ მონაცემებში ვკითხულობთ, რომ მოზარდს პროფესიად ქვასთან ბრძოლა განგიზარაზავს. დაამთავრე იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი ქანდაკების ფაკულტეტი და სადიპლომო ნამუშევრად ორფიგურიანი სკულპტურა-ცი კი შექმენი სახელწოდებით „რომანსი“. რა შეიცვალა ამ ყველაფრის შემდეგ და რამ გაიძულა ცხოვრების გეზი გეცვალა და თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში დრამატურგიის ხელოვნების ფაკულტეტზე ჩაგებად ბრძანა?

— ადრეული ასაკიდან ვხატავდი, მაგრამ ერთი საშინელება შემართებოდა. სკოლიდან ჩემი ნახატები მიჰქონდათ რაღაცა გამოფენებზე და მერე ამ გამოფენებიდან სულ რაღაც დიპლომები მოდიოდა ხოლმე. როდესაც მეტყობდნენ, რომ ორი კვირის შემდეგ გამოფენაზე უნდა წარედგინათ ნამუშევარი, ერთი დღით ადრე ვხატავდი. ასე იოლად შევეჩვიე, რომ დიპლომისა თუ I ადგილის გარეშე არ ვრჩებოდი. ეტყობა, ამან გამატიტუტა, გამაზარადა და მივხვდი, რომ დიპლომების გამო ვხატავდი. სულ მინდოდა, ჩამებარებინა ნიკოლაძეში. არადა, ვეღარ ვხატავდი უკვე, აღარ მემორჩილებოდა ხელი. მერე ვცადე გამოქანდაკება და უცებ ნორმალური შედეგი მივიღე, გამომივიდა. სხვათა შორის, პირველი 5-იანი კომპოზიციაში მივიღე მისაღებ გამოცდაზე, ხოლო ბოლო 5-იანი — დიპლომში. აი, ამით დამთავრდა ყველაფერი. ძალიან მიყვარს ნიკოლაძე და ყველაზე ბედნიერი წლები მაქვს გატარებული სხვადასხვა მნიშვნელობით. რაც მთავარია, ნიკოლაძეში გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. სხვათა შორის, ნიკოლაძესთან დაკავშირებით ძალიან გულგატეხილი ვარ იმით, რომ ეს სასწავლებელი იხურება და იმ ადამიანებით, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო, იმიტომ, რომ ჩემს დროს ისინი ასწავლიდნენ ნიკოლაძეში და ძალიან საწყენია. კითხვას გადავუხვებ. ისევე ჩემს თავს რომ დავუბრუნდე, გეტყვი, რომ საბოლოოდ მივხვდი, მხატვარი აღარ უნდა ვყოფილიყავი.

— რატომ? თუკი ასე კარგად გამოგდიოდა ეს საქმე?

— რაც გამოგდის და რაც გინდა, სხვადასხვა რამეა. შეიძლება, ბევრი რამე გა-

ირაკლი სოლომანაშვილი:

„კარბი სცენარისტი არ ნიშნავს კარბ მწერალს, და — პირიქით“



მისი ლიტერატურული დებიუტი 1989 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ქართულ ფილმში“ „სამი ნოველა“ დაიბეჭდა. ის 2 სადიპლომო ნამუშევრის ავტორია. ერთი — ორფიგურიანი სკულპტურა სახელწოდებით „რომანსი“, მეორე კი — სამმოქმედებიანი პიესა „იყო ერთი სოფელი“.

„ლიტერატურული გახეობის“ ერთ-ერთი პირველი რესპონდენტი ირაკლი სოლომანაშვილია. არც ვიცი, როგორ მოვიხსენიო — როგორც დრამატურგი, სცენარისტი, მსახიობი, „პრომოშნიკი“, ანონსების ავტორი... არც რეალურ შოუებს ჩაუვლია მის გარეშე, ის იყო ამ შოუების სცენარისტი და, ალბათ, ყველაზე საინტერესოდ მაღაზიაში ყოფნის პერიოდი ახსენდება, როცა „რუსთავი2“-ის პროექტ „უკანასკნელ გმირზე“ მუშაობდა.

მართლაც მოულოდნელი იყო მის ბიოგრაფიულ მონაცემებში იმის ამოკითხვაც, რომ ჩვენი გაზეთის დღევანდელი სტუმარი მოქანდაკე ყოფილა. მოკლედ, ირაკლი ადამიანი-ორკესტრია, რომელსაც, ჩემი დაკვირვებით, არასდროს ყოფნის დრო, თუმცა ძალიან კარგად იცის ამ დროის ფასი. იმის დასაწერად, თუ სად და ვისთან უთანამშრომლია, შესაძლოა, ამ გაზეთის ერთი გვერდიც დამჭირდეს, ამიტომაც მოკლედ ვიტყვი — მუშაობდა თითქმის ყველგან და თითქმის ყველასთან, სადაც და ვისთანაც რაიმე ღირებულად, ახალი და მისთვის საინტერესო ამბები ხდებოდა..

მოგდიოდეს... ამ ქვეყანაში ბევრს გამოსდის კარგად პროსტიტუცია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეძავეები უნდა იყვნენ, ჰო?

— ანუ, მიხვდი, რომ ეს არ იყო ის, რისთვისაც მთელი ცხოვრების მიძღვნა გასურდა...

— ვერ ვიტყვი, რომ სხვა რამეს ვემსახურებო. ვაკეთებ იგივეს, უბრალოდ, სხვა ფორმით, სხვა სივრცეში და სხვა მასალით. როდესაც დავამთავრე, უნდა გადამეწყვიტა, სად ჩამებარებინა. იყო ვარიანტი, სწავლა სამხატვრო აკადემიაში გამეგრძელებინა, მაგრამ იმ პერიოდში ჩემი ძმა თეატრალურში სწავლობდა, ოჯახში უკვე კინოს ჭია გვყავდა გაჩენილი. აღმოჩნდა, რომ იმ წელიწადს არც კინორეჟისურის ფაკულტეტზე იყო მიღება და არც — კინოდრამატურგიისაზე. იმ წელს თეატრის დრამატურგიის პირველი ჯგუფი იქმნებოდა. ვწერდი და ჟურნალისტიკა მაინცდამაინც არ მიზიდავდა, თეატრის დრამატურგიაზეც ნაკლებად ვფიქრობდი, თუმცა ბედმა გამიღიმა. თამაზ ჭილაძის წყალობით საჩემოდ აღმოვაჩინე თეატრის დრამატურგია და ამით ძალიან ბედნიერი ვარ.

— უკვე აღვნიშნე, რომ შენ ერთადერთი ნახევარნიგნის ავტორი ხარ, არადა, არაერთი პიესით შეგიძლია მოიწონო ქართველი მკითხველის წინაშე თავი. სხვადასხვა დროს სწორედ შენი პიესების მიხედვით იდგებოდა სპექტაკლები და ამ სპექტაკლების ავტორები უკვე აღიარებული რეჟისორები არიან. მაინც, რატომ დარჩი ამ ერთი ნიგნის ამარა, რა არის ეს — თვითკრიტიკის გამოვლინება, მოუცლელიობა თუ უბრალოდ არ თვლი საჭიროდ, წიგნად გამოსცე ის, რასაც ავერ უკვე 20 წელია (თუ მეტი არა) ქმნი?

— იმედია, ოდესმე ამ ყველაფერს მოვუყრი თავს. უბრალოდ, რაღაცები წავიკითხე ბოლო დროს ისეთი, რაც საკუთარ თავს არ უნდა აკადრო მწერალმა კაცმა. ყველას არ გვულისხმობ. ლაპარაკი მაქვს სწორედ იმ ადამიანებზე, ვინც დღეს მწერლობით იწონებს თავს. მწერალმა ბევრი უნდა წეროს, მაგრამ ყველაფრის გამოცემა არ შეიძლება. შესაძლოა, ვცდე-ბი, მაგრამ, აი, ამ პრეტენზიას ვუყენებ საკუთარ თავს — არ შეიძლება ყველაფერი გამოვსცე, ყველა შენი სავარჯიშო, ჩანახატი... რაღაც საიდუმლოდ უნდა შეინახო. ალბათ, დღემდე მეშინია იმ მეგობრების, რომლებიც მეუბნებოდნენ, მწერალი არ გახდეო და სწორედ მათდამი მაქვს პასუხისმგებლობა. მოხდა კიდევ ერთი რამ. ჩემს ერთ-ერთ პირველ პიესაზე „იყო ერთი სოფელი“, რომელიც სადიპლომო ნამუშევარი იყო, თამაზ ჭილაძემ თქვა, მართლაც წარმატებული ნამუშევარიო და როდესაც სცენაზე იდგებოდა („რა?-დო!“ 1996 წ. რეჟ. ოთარ ევაძე), მაშინ ჯერ კიდევ თეატრალურში ვსწავლობდი, ისევე ბატონმა თამაზმა მითხრა: აი, ახლა დაილუპე. თუ ეს პიესა სცენაზეც წარმატებული აღმოჩნდება, ძალიან გაგიჭირდება შემდეგი პიესის დაწერაო. ახდა ეს წინასწარმეტყველება, რაც, უპირველესად, ჩემს სისუსტეზე მეტყველებს. ჩემთვის ეს პიესა ძალიან მაღალი წერტილი აღმოჩნდა. შინაგანად იმდენად დიდი ემოცია მომიტანა თუნდაც იმ „პაკლონზე“ გასვლამ და იმ წარმატებამ, რაც იმ ასაკში ჩემს გარშემო მოხდა, რომ ცოტა მეშინია გაცრუების. სხვათა შორის, ნაკლები პასუხისმგებლობით ვუდგები კინოს. თეატრი მაინც დრამატურგის არის, კინო კი — არა.

— ესე იგი, „პაკლონებისთვის“ ღირს პიესების წერა...

— ო, „პაკლონი“ ძალიან მაგარია. პირველი იყო „რა?-დო!“, თან — თეატრალურ ინსტიტუტში. დაიდა პირველი ქართული პიესა, რომელიც ამავე ინსტიტუტის დამთავრებულს ეკუთვნოდა, რაც ბუნებრივია, იმიტომ, რომ თეატრის დრამატურგიის ფაკულტეტი მანამდე არც არსებობდა და ეს ბედნიერება მე მხვდა წილად... მარტო „პაკლონისთვის“ ღირს, ალბათ, პიესების დაწერა. თუმცა, მქონია „პაკლონები“, როდესაც სცენაზე გასვლის მრცხვენოდა. არ ვიტყვი, სად და როდის, მაგრამ ერთ დეტალს კი გავამხეღ — ერთმა თეატრმა ჩემი პიესა დადგა. რეჟისორმა იმდენად შეცვალა პიესა, რომ ჩემი აღარაფერი იყო. ამის მიუხედავად, მითხრა: ირაკლი, მგონი, ამ პიესას რაღაც აკლიაო, რაზეც ვუპასუხე — დღემდე მახსოვს — ჩემს პიესას დადგმა აკლია და თქვენს სპექტაკლს დაწერა-მეთქი. ძალიან სწყენია და მერე თვითონაც აღუწინავეს სადღაც, ეს როგორ მაკადროა.

— თეატრი და კინო შენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. რა არის სცენარისტი და პიესის ავტორისთვის ყველაზე რთული გადასალახი, როცა მის ნაწარმოებებს რეჟისორები ეხებებიან?

— აქაც განსხვავებული დამოკიდებულება მაქვს კინოსა და თეატრის მიმართ. თეატრში რეჟისორის ჩარევის ფაქტს ნაკლებად ვაპროტესტებ, თუმცა ძალიან განვიცდი, ალბათ, იმიტომ, რომ პიესა მაინც ნაწარმოებია და ერთხელ დადგამენ, თუ — ხუთჯერ, გინდ ტერაქტი მოაწყვი, შენია. მთავარია, იდეა არ შეიცვალოს. რაც შეეხება კინოს, რეჟისორის ჩარევას ნაკლებად განვიცდი და არ ვაპროტესტებ, იმიტომ, რომ კინო მაინც რეჟისორებს ეკუთვნის.

— არაერთხელ უკამათოთ თეატრისა და კინოს ნიშან-თვისებებსა და მათ შორის მნიშვნელოვან განსხვავებაზე. რა აქვს თეატრს ისეთი, რაც მას შენთვის უფრო მიმზიდველსა და ახლობელს ხდის?

— თეატრი ძალიან ცოცხალია. რა არის, იცი, თეატრში მთავარი დრამატურგისთვის და, ალბათ, ყველასთვის? სცენაზე რომ დგას ადამიანი და აბსოლუტურად შიშველია დეკორაცია, მის გარდა სცენაზე არაფერია, გასლის ხელებს და იტყვის: დაფრინავ! თუ კარგად გითხრა, სულ რომ იხობოხ, გჯერა, რომ ის დაფრინავს. კინოში მსახიობის ფრენისთვის იმდენი სპეცეფექტი უნდა გააკეთო, და მაინც იტყვიან — დახატულია, სიბანდია, ტყუილია.

— თუ მსახიობს, რბილად რომ ვთქვათ, არადამაჯერებლად გამოსდის თუნდაც ეს ერთი ფრაზა და საქმე შენს დაწერილ ტექსტს ეხება?

— ასეთ შემთხვევაში, დროზე უნდა გააპროტესტო და ის მსახიობი უნდა მოიხსნას. ჩვენთან ასეთი — მსახიობი, თუ ის ნებ-ისმიერ ტექსტს კარგად აძლევს ხასიათს, კარგ არტისტად მიიჩნევა. არადა, ხასიათის მიცემა არ სჭირდება. თუ ტექსტია კარგი, მსახიობი უნდა გაცოცხლდეს იმ ტექსტში.

— რომელი იყო ის ფილმი, რომელმაც პოპულარობა მოგიტანა?

— ცოტა ძნელია, პოპულარობაზე ლაპარაკი საქართველოში. იმდენი პოპულარული ადამიანი გვყავს, რომ საკუთარი პოპულარობა არ მახსოვს. პოპულარული არასდროს ვყოფილვარ. ცოტა უცნაურია, მაგრამ ჩვენში, ხშირად ისე ხდება, რომ ავტორი განაპირობებს საკუთარი ნაწარმოების პოპულარობას და არა — პირიქით, ასე რომ, მე და ჩემს ნამუშევრებს, ვფიქრობ, პოპულარობა არ გვემუქრება. ძალიან მიყვარს სტუდენტობის პერიოდში შექმნილი პირველი ნამუშევრები — ვახტანგ ვარაზის ფილმი „დაბადების დღე“ და ჩემი ძმის „სისხლიანი სცენარი“. პროფესიონალურ კინოში პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი იყო „ოცნებების სასაფლაო“. პრემიერა ცუდად მახსოვს. იშვიათად, რომ კინოპრემიერები კარგად მახსოვდეს. ძირითადად, მანამდე ან მას შემდეგ რაღაც უთანხმოე-

ბა ხდება ხოლმე რეჟისორებთან

— შენ ხომ არ ხარ ჩვეულებრივი მაყურებელი, ხომ შეგიძლია შენიშვნები პრემიერაზე გამოთქვა, რატომ ხდება შენიშვნის რალაც-რალაცები სიურპრიზი მანცდამანც პრემიერის წინ?

— მანამდეც ვკამათობ ხოლმე და ხშირად არ სჯერათ ჩემი. ხდება ისეც, რომ იმდენად ვკამათობ, პრემიერის შემდეგ, შესაძლოა, არც აღმოვჩნდე ტიტრებში. ასეთი შემთხვევებიც ყოფილა ძალიან ხშირად.

— როგორ ფიქრობ, ვინ არის სცენარისტი — არის ის მწერალი?

— აუცილებელია, სცენარისტს ჰქონდეს მწერლისთვის დამახასიათებელი ნიშნები და თვისებები. ამბის კარგი მთხრობელი უნდა იყოს ქალაქზე. ამას გარდა, ასევე აუცილებელია, ჰქონდეს რიტმის გრძნობა. კარგი სცენარისტი არ ნიშნავს კარგ მწერალს, და — პირიქით. სცენარი არ არის ლიტერატურული ნაწარმოები და არ არის ფილმი. ეს არის ნახევარფაბრიკატი კინოსთვის. პიესა უდავოდ მწერლობაა, თან მაღალი დონის და მაღალი ხარისხის მწერლობა. შენ ახლა კარგ რალაცასთან მიმიყვანე — შეიძლება მე ცუდი მწერალი ვარ და იმიტომ აღარ ვწერ პიესებს.

— ადრე კინოსტუდიასთან არსებობდა მწერალთა ჯგუფი, რომელიც იმ ნაწარმოებებზე მუშაობდა, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის რეჟისორი ფილმის გადაღებას აპირებდა. შემდეგ ეს სისტემა, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ კინოდღესტრიაში, მოიშალა. რა იყო ამ სისტემის პლუსი?

— რა თქმა უნდა, უნდა არსებობდეს ასეთი ჯგუფი. სამწუხაროდ, ტელევიზიები ძალიან გვიან მიხვდნენ, რომ იქაც საჭირო იყო სცენარისტი. მასხვოს ის დრო, როცა ტელეპროდუქციას სცენარისტები კი არა, ჟურნალისტები ქმნიდნენ. კინოში იყო ეს ინფრასტრუქტურა, მაგრამ მერე დაიკარგა საერთოდ და ახლა, როცა ქართული კინო პირველ ნაბიჯებს დგამს, იწყება ამის აღდგენაც. აქვე, მთელი პასუხისმგებლობით ვიტყვი, რომ ქართული კინო არსებობდა მხოლოდ რევოლუციამდე, როდესაც იქმნებოდა პირველი ფილმები და გაგრძელდა მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი გახდით. სწორედ იმ რევოლუციამდელის აღორძინება დაიწყო და არა იმის, რაც საბჭოთა პერიოდში იქმნებოდა. საბჭოთა პერიოდში ქართული კინო არ არსებობდა, რადგან ვისი ფულიც არის, კინოც მისია.

— ანუ, რითაც თავი მოგვაქვს, არაფერია ქართული?

— ის არის ქართული აქცენტით გაკეთებული, ქართველი ავტორის მიერ გადაღებული სურათი...

— არც „არაჩვეულებრივი გამოფენა“ ქართული? პირველი რატომღაც ეს ფილმი გამახსენდა...

— არა, არ არის ქართული. ისინი ქართველი ავტორები არიან, მაგრამ მათი პროდუქტი საბჭოთაა კინოა. ისევე, როგორც ჩვენი მშობლები. მართალია ისინი ქართველები არიან, მაგრამ საბჭოთა პერიოდში ცხოვრობდნენ, და შესაბამისად, საბჭოთა ადამიანები იყვნენ და იქნებიან ყოველთვის. მათი ფსიქიკა საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა. ასევეა საბჭოთა პერიოდის ფილმები. „არაჩვეულებრივი გამოფენის“ პერიოდში პარალელურად იქმნებოდა კიდევ 100 ფილმი, რომელიც არავის გვიჩვენებდა, და ღმერთმა ნურც გვანახოს, ისეთი საშინელებაა. დღეს ვერ ვიღებთ ამდენ ფილმს, შესაძლოა, ამიტომაც იყოს პროცენტულად ნაკლები ისეთი კარგი ფილმები, როგორიცაა „არაჩვეულებრივი გამოფენა“, მაგრამ დრო მოვა და ვისწავლით ასეთი ფილმების გადაღებას უკვე ჩვენი ძალებით. ჩვენი ფულით...

— ანუ ფიქრობ, რომ პრობლემა მხოლოდ უსახსრობაა?

— კინო უდავოდ ფულია.

— კინო ფულია, მაგრამ ფილმებს ნიჭიერი ადამიანები სჭირდება...

— კინო მართლა ძალიან დიდი ფუფუნებაა. მთავარია, ფილმი საქართველოში გაიყიდოს. მაყურებელი უნდა მივიდეს და ბილეთში გადაიხადოს ფული. კინომ, ლიტერატურამ და მთელმა ხელოვნებამ დამოუკიდებლად არსებობა უნდა შეძლოს. თუ ქმნი იმას, რაც არ იყიდება, რასაც არ ყავს მკითხველი, მომხმარებელი, მხახველი, მაშინ იმის შექმნას რა აზრი აქვს? რატომ ცდები და რატომ ყრი ფულს? თუმცა აქაც აღსანიშნავია ერთი რამ — უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ქართულ კულტურას შეინარჩუნებს და დააფინანსებს პროექტებს, რომელიც შეიძლება, დღეს არ გაიყიდოს, მაგრამ ის შეინარჩუნებს ქართულ კულტურას. სხვათა შორის, ერთი ტანკის ფასად, ძალიან დიდი ლიტერატურული და დრამატურგიული პროცესების დაწყება შეიძლება, რომელიც უფრო სტრატეგიული მნიშვნელობისაა ქვეყნისთვის, ვიდრე — ტანკი.

— რა უნდა იცოდეს სცენარისტმა ისეთი, რაც პროზაიკოსსა და პოეტს არ მოუხვდება?

— საერთოდ, დრამატურგიას აქვს თანმხლები მათემატიკა თუ არითმეტიკა, არ ვიცი. ეს არის სწორედ ის რითში, რომლის საშუალებითაც უნდა უამბო მაყურებელს ამბავი, რომელიც ფილმშია წარმოდგენილი. სცენარისტს ამბის თხრობის რითმის გრძნობა უნდა ჰქონდეს.

— პოეტსაც უნდა ჰქონდეს რითმის გრძნობა...

— ჰო, მაგრამ პოეტი ამბავს არ გვიამბობს, ის გრძნობას გადმოგვცემს. შენ ამბავი უნდა მოუთხრო ამ რითით და არა — გრძნობა. გრძნობაც აუცილებელია, რომ შიგნით ჩადო, მაგრამ ამ ამბის რითში უნდა დაიკვცა, რაც საქართველოში თითქმის არ ვიცით, მათ შორის, მეც, და რაც სასწავლი გვაქვს.

— მსახიობის ამპლუას როგორ მოერგე? არაერთი ფილმი, სადაც სწორედ შენ ასრულებ ეპიზოდურ როლს. ხომ არ გიჭირს ხოლმე, რეჟისორს დაემორჩილო?

— თავიდან ისე მოხდა, რომ ჩემი სცენარის მიხედვით რამდენი ფილმიც გადაიღეს, ყველგან მქონდა რალაცა პატარა როლი, რამაც არ გაამართლა და რასაც მაინცდამაინც არ განვიცდი. ჯერჯერობით, იმდენად დიდი როლები არ მითამაშია, რომ სერიოზული ურთიერთობა მქონდა რეჟისორთან.

— შენთვის, როგორც სცენარისტისთვის, რა უფრო იოლია — მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით ფილმის გადაღება თუ დოკუმენტური სურათის შექმნა?

— მართალი გითხრა, დოკუმენტური და მხატვრული კინო ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. დოკუმენტურ ფილმში მაინც სასურველია, გამოხვიდე იმ მასალიდან, რაც გაქვს. სხვათა შორის, კრისტალურმა დოკუმენტალისტებმა იმ ფილმებზე, რომელზეც ვიმუშავე, შეიძლება თქვან, რომ არც ერთი არ არის ნამდვილი დოკუმენტური კინო. დოკუმენტური კინოც იყოფა თავის განსტოლებად. წმინდა წყლის დოკუმენტური კინო აბსოლუტურად მასალაზეა დაყრდნობილი და ძალიან ცოცხალია. იმ ფილმებს კი, რომელზეც მიმუშავია, საფუძვლად სცენარი ედო. საინტერესო იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ ყველა დოკუმენტურ ფილმზე მეგობართან ერთად ვმუშაობდი და მართლაც მაინტერესებდა, როგორ ვქმედვით და რალაცის სათქმელად რომელი ვიზუალს გამოვიყენებდით. ძალიან ახლოს ვიყავი რეჟისორასთან დოკუმენტურ ფილმებში. რაც შეეხება მხატვრულ კინოს, მიმუშავია დამოუკიდებლად, საკუთარი სცენარით და — ეკრანიზაციაზე. ერთის მხრივ, ადვილია ეკრანიზაცია, მეორეს მხრივ — რთული. ასე თუ ისე, რაც ცნობილია, ეს არის აკა მორჩილადის (გიორგი ახვლედიანი) რომანის — „მოგზაურობა ყარაბაღში“ — ეკრანიზაცია. სიძნელეებს იქ ნავაწყდები პირველად. როდესაც გიოს ნაწარმოებებს

კითხულობ, სულ გგონია, რომ თვალს ხუჭავ და ფილმს ხედავ, არადა, როდესაც სანერად ჯდები, აღმოაჩენ, რომ ლიტერატურაა და არა — კინოსცენარი. ამ ყველაფრის კინოენაზე გადმოთარგმნა აღმოჩნდა ჩემთვის რთული, მაგრამ — საინტერესო.

— შეუძლებელია, შენს სახელსა და გვარს ახსენებდეს ადამიანი და არ ახსენებდეს აკა მორჩილადის რომანის მიხედვით გადაღებული სურათი — „გასეირნება ყარაბაღში“, რომლის რეჟისორიც იყო ლევან თუთბერიძე. ამას მოჰყვა „კონფლიქტის ზონა“, რომელიც ვანო ბურდულაძე გადაიღო და სულ ახლახან გამოვიდა თბილისის კინოთეატრებში. პრინციპში, გიორგი ახვლედიანის წიგნი კინოენაზე მეორე ფილმის საშუალებით გააგრძელე...

— ხო, მოხდა ასეთი რამ.

— ახლა აკა მორჩილადი ხომ არ უნდა გარდაქმნას ფილმი წიგნად?

— თუ ბოლომდე მეყო თავხედობა, შეიძლება, მე თვითონ ვაგაკეთო.

— მეორე ფილმი მთლიანად შენი ფანტაზიის ნაყოფია, არა?

— მოდი, აქაც დავკონკრეტდეთ, როგორ მოხდა ეს ყველაფერი. არასდროს მომივიდოდა თავში დამეწერა პირველი ფილმის გაგრძელება იმიტომ, რომ ეს, ფაქტობრივად, რომანის გაგრძელებას ნიშნავს. როდესაც ფილმის პროდიუსერმა გაგრძელება შემომთავაზა, კარგა ხანს ფეხსაც ვითრევდი. ბოლო-ბოლო, სხვადასხვა დაინტერესების გამო დავთანხმდი ამას, მაგრამ სულ ვგრძნობდი ამ პასუხისმგებლობას და სულ მეშინოდა მოსალოდნელი შედეგის. მორალურად ძალიან რთულია, გააგრძელო ნაწარმოები, როდესაც იცი, რომ სხვის გმირებთან მუშაობ. საკუთარ თავთან შემოქმედებითად უნდა გადალახო რალაც, გადაწყვიტო და ეს ნაბიჯი გადადგა. თავიდან, როცა ვჭოჭმანობდი, უპირველეს ყოვლისა, გიო ახვლედიანს დავეკითხე, ასეთი რამ ხდება და რა ვქნა-მეთქი. უნდა აღვნიშნო, რომ გიოსთან ძალიან ძნელია მუშაობა, იმიტომ, რომ როდესაც მისი ნამუშევრის ეკრანიზაციას აკეთებ, მისგან ვერ მოისმენ უარყოფითს. ყველაფერზე გეთანხმება და ამაზე გიყვებო. ამ შემთხვევაში მითხრა — რაც გინდა ის გიქნია, თავში ქვა გიხლიო და მეც დავიწყე თავში ქვის ხლა. სხვათა შორის, მთავარი ამბავი პროდიუსერს ეკუთვნის. ყოფილა ფილმები, სადაც ჩაუყვიათ ცხვირი რეჟისორებს, სცენარისტობაც დაუჩემებიათ და ზოგს ტიტრებიდან სცენარისტი საერთოდ გამოიჩინა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა სცენარისტად წარმატებით შეიძლება დანერვილიყო ლევან კორინთელიც, იმიტომ, რომ პროდიუსერმა ლევან კორინთელმა სცენარის წერის პროცესში ძალიან ბევრი იმუშავა. საბოლოო ჯამში, შევეცადე, ისეთი არ ყოფილიყო, რომ ძალიან შემრცხვენოდა.

— გიომ თუ შევავსა?

— გიოსგან შევასება არ მომისმენია. არ ვიცი, ნახა თუ არა ეს ფილმი. სცენარი გავუგზავნე და ნაიკითხა. ვეკითხებოდი, ჩემმა გმირებმა ხომ არ მიაყენეს შუურაცხყოფა მის გმირებს. რაზეც, რა თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელი იყო გიოსგან, უარყოფითი პასუხი მივიღე. რაც შეეხება ლევან თუთბერიძეს, თავიდან, სანამ დავიწყებდი წერას, მისგან ერთი ფრაზა დამამახსოვრდა: ბიჭო, გოგლიკო ცოტა უფრო ღრმა არის, რომ იცოდე... პრემიერის მეორე დღეს კი ლევანმა დამირეკა და მითხრა — მე სხვანაირი მეგონა, რომ იქნებოდა და სალოო! ასე მომილოცა და ჩემთვის ეს ძალიან დიდი აღიარება იყო ლევანისგან. მაღლობა ყველას, ვინც ამასთან დაკავშირებით ჩემი მისამართით კომპლიმენტი თქვა, მაგრამ მე განსაკუთრებით ლევანის კომპლიმენტს გამოვიფიქრე.

— ტელევიზიაში არის ერთი უმნიშვნელოვანესი განყოფილება, სადაც ამა თუ იმ გადაცემის ანონსი და პრომოკეთდება. აქაც შენ ხარ ერთ-ერთი მთავარი ფიგურა. რამდენად ახლოს დგას ყველაფერი ეს მწერლობასა და შენს შემოქმედებით საქმიანობასთან?

— კინოსთან საკმაოდ ახლოს დგას, იმიტომ, რომ თვითონ სცენარისტს მოეთხოვება, ორ-სამ სიტყვაში შეეძლოს თქმა იმისა, თუ რაზე მუშაობს, რაზე წერს. ალბათ, ეს მწერალსაც მოეთხოვება. მაყურებელი რალაც ერთი მნიშვნელოვანისთვის უყურებს ხოლმე ფილმს და ის ერთი მნიშვნელოვანი ახსოვს ხოლმე ბოლოს. საკუთარ სცენარზე მუშაობისასაც თავიდანვე უნდა იცოდე, რაზე წერ და ამის თქმა ორ-სამ წინადადებაში უნდა შეგეძლოს. იმიტომ, რომ თუ ეს არ იცი და ისე წერ სცენარს, მაშინ გამოგდის ფილმი ყველაფერზე და არაფერზე.

— ყველაფრის ბოლო ნუთამდე მიყვანა გიყვარს, სულ გეჩქარება და განუხლებს ჩასაბარებელი ვადის არსებობა. რა განცდა გეუფლება, როცა წერტილს სვამ?

— ბოლო ნუთს იმიტომ მიმაქვს, რომ ის არის დედლინი და იმის იქით წაღება აღარ შეიძლება, თორემ კიდევ უფრო გავიხანგრძლივებდი ამ დროს... თეატრში არასდროს არავის დაუსვია დედლინი და ალბათ, ამიტომაც ვერ ვწერ თეატრისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ნუთში ვაკეთებ ყველაფერს, განცდა მხოლოდ ერთია — მე დავამთავრე ეს ნამუშევარი ანუ დავწერე დასასრული და დავსვი წერტილი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე ეს წერტილი ჩემში დავსვი. ეს ჩემთვის წერტილი არ არის. მე უკეთესი მინდა და ღმერთმა ქნას, წერტილი ჯერ არ დავსვა.

— ყველაფერთან ერთად შენ პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევი. რას უსურვებდი შენს სტუდენტებს და ახალბედა სცენარისტებს?

— ჰო, მე თვალსა და ხელს შუა ვთავხედებდი. ვუსურვებდი — წერონ. იყვნენ გულახდილები. არ შეეშინდეთ თავისი თავის. პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარ ნამუშევარს, მაგრამ არა იმდენად, რომ ვერ გაბედონ გამოქვეყნება, როგორც ეს ჩემს შემთხვევაში ხდება ხოლმე, და, რაც მთავარია, აკეთონ ის, რაც უყვართ, და ზედმეტად ნუ ეყვარებათ ის, რაც უკვე გააკეთეს.

— სულ ახლახანს შენ დააფუძნე „სოლოსოლო“ სტუდია. რა მიზნით შეიქმნა და რა უნდა გააკეთო შენს კიდევ ერთ სამსახურში?

— უნდა ვაკეთო ის, რასაც აქამდე ვაკეთებდი, და არამხოლოდ მე, არამედ ყველა იმ ადამიანმა, ვისაც იგივეს კეთება უნდა. „სოლოსოლო“ სტუდია, ერთობლივი წიგნისა არ იყო, ჩემს ძმასთან ერთად ჩამოვყალიბე, თუმცა დამფუძნებლები მხოლოდ ჩვენ არ ვართ. სტუდიას ჩვენს კინოსამყაროში უკვე კარგად ცნობილი და გამოცდილი პროდიუსერი ზვიად ალხანაიძე განაგებს. სტუდიის ფუნქციაზე მოკლე და მრავალისმომცველი პასუხი შემიძლია გაცეცე — „კინო ქალაქზე“, ანუ ყველაფერი ის, რაც იდეიდან „მატორის“ დაძახებამდე საჭიროა კინოსთვის და არამხოლოდ კინოსთვის, თეატრისთვის, ტელევიზიისთვის და ასე შემდეგ. ჩვენ საკუთარ პროექტებს ვთავაზობთ სხვადასხვა სტუდიას და, შესაბამისად, შეკვეთებსაც ვიღებთ. ეს, უპირველეს ყოვლისა, სასცენარო სტუდიაა, რომელშიც სცენარისტების დიდი ჯგუფი იმუშავებს, ყველა იმ სტუდიასა და კომპანიაში კი, ვინც დაინტერესებულია სცენარებით, შეუძლიათ ერთ მისამართზე მოიკითხონ სასურველი ნაწარმოები.

— რას აპირებ, რა გეგმები გაქვს?

— სულ მაქვს სურვილი, დავწერო ახალი პიესა. 4 პიესა მაქვს დაწყებული და ოთხივე, თავისი განვითარებით, მეტნაკლებად ერთ დონეზეა. არ ვიცი, როდის დავამთავრებ. სულ მეგონია ხოლმე, რომ, აი, ეს გუშინ უნდა დამეწერა, იმიტომ, რომ დღეს ამის დრო აღარ არის, მაგრამ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომ ეს დრო არც იცვლება და არც მიდის. რამდენადაც ეს ავტორისთვის, შესაძლოა, ძალიან კარგი იყო, უბრალო მოქალაქისთვის დიდი ტრაგედიაა. იმედია, ოდესმე ჩემს ოთხ პიესასაც დავუსვამ წერტილს.

გამომცემელი

„მუდმივად ქიხის პროცესში ვართ“

— ქალბატონო თინა, როგორ დაიწყო თქვენი საგამომცემლო საქმიანობა?

— ჩვენი გამომცემლობის დამფუძნებელი ბაკურ სულაკაურია. თავის დროზე, ბაკურმა შევიდ მწერლის, ასტრიდ ლინგრენის, საბავშვო ზღაპარი თარგმნა და სურდა გამოეცა, მაგრამ დიდ სირთულეებს წააწყდა - საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საგამომცემლო საქმე პრაქტიკულად შეწყვეტილი იყო. სცადა დამოუკიდებლად ეცადა ბედი და თავის მეგობართან, გია ქარჩხაძესთან ერთად გამომცემლობა „დიოგენე“ დააფუძნა. იმ დროისთვის „დიოგენეს“ ოთხი დამფუძნებელი ჰყავდა - გია ქარჩხაძე, ბაკურ სულაკაური, თამარ ლებანიძე და ოთარ ყარაღაბლიანი. შემდეგ თითოეულმა თავისი გამომცემლობა შექმნა და დღეს დამოუკიდებლად საქმიანობენ. ბაკური ერთ-ერთი პირველია, ვინც საგამომცემლო საქმიანობა წამოიწყო. მან დააარსა ეს გამომცემლობა, განსაზღვრა პრიორიტეტები და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას შეუდგა.

ნელს, როგორც იცით, საიუბილეო თარიღი გვაქვს. ამასთან დაკავშირებით არაერთი ღონისძიება დაგეგმეთ, მაგრამ იუბილეს აღნიშვნა, ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, სრულად ვერ შევძელით. თუმცა, წლის განმავლობაში, საინტერესო სიახლეების მიწოდებას მკითხველისთვის მაინც ვაპირებთ.

— თქვენი გამომცემლობა დღეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებულია საქართველოში. როგორ მოხვედით აქამდე, რა პრობლემების გადალახვა მოგიხდათ?

— პრობლემები მართლაც ბევრი იყო. იმ დროისთვის, საგამომცემლო ინფრასტრუქტურა მთლიანად მოშლილი იყო. საგამომცემლო საქმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი, როგორცია ნიგნის გავრცელების სამსახური, უბრალოდ არ არსებობდა. მაღაზიებში მისვლა, ნიგნების ჩაბარება, რეალიზაციის შემდეგ კი, მათგან თანხის მიღება პირადად მიწვედა. ეს ნამდვილი წამება იყო. შემდეგ, დავიქირავეთ ადამიანი რომელიც ამაში გვეხმარებოდა. თანდათან ამ პრობლემის სისტემურად მოგვარებაზე დავინწყეთ ფიქრი და მოვახერხეთ ჩვენი რამდენიმე მეგობარი დისტრიბუციით დაგვეინტერესებინა. მართლაც, მოკლე ხანში ნიგნის გავრცელების კომპანიები შეიქმნა. დღეისთვის რამდენიმე ასეთი სამსახური არსებობს.

ძალიან რთული იყო, ასევე, ნიგნის ხარისხის სასურველი მაჩვენებლისთვის მიგვეღწია. სტამბებს, რომელიც იმ დროისთვის თბილისში არსებობდა, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა არ გააჩნდა. ჩვენ პირველი გამომცემლობა ვიყავით, რომელმაც ნიგნი საზღვარგარეთ დაბეჭდა.

— რომელ ქვეყანაში დაიბეჭდა და თუ გახსოვთ, რა ნიგნი იყო ეს?

— ეს იყო „მხიარული სიტყვები“ - ძალიან მარტივი, მაგრამ კარგად ილუსტრირებული, ხარისხიანად გამოცემული პირველი საბავშვო ნიგნი. ჩვენ ის სლოვაკეთში დაბეჭდეთ. მაშინ, ბევრი ფიქრობდა, რომ მაღალი ფასის გამო - ნიგნი რვა ლა-



საქართველოში, ხარისხზე ორიენტირებული არაერთი გამომცემლობა არსებობს. ისინი ერთმანეთს არ იმეორებენ, თითოეულ მათგანს საკუთარი ხედვა, პრიორიტეტები გააჩნია, მაგრამ ერთიანებს ის, რომ ცდილობენ — მკითხველს კარგი ნიგნები შესთავაზონ.

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, დაარსების დღიდან, გამოკვეთილი მიმართულებებით, კომერციული ინტუიციითა და ახალი საინტერესო იდეების წარმატებული განხორციელებით გამოირჩევა. ნელს გამომცემლობა ათი წლის გახდა.


„ლიტერატურული გაზეთი“ გამომცემლობის დირექტორს, ქალბატონ თინა მამულაშვილს ესაუბრა:

რი ღირდა - არ გაიყიდებოდა, მაგრამ საკმაოდ წარმატებული პროექტი აღმოჩნდა და ძალიან მალე, ნიგნი მეორედაც გამოვეცით.

— რა არის თქვენი გამომცემლობის ძირითადი მიმართულებები? როგორც ვიცით რამდენიმე პრიორიტეტი გაქვთ...

— „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ ოთხ ძირითად პრიორიტეტს ეფუძნება. ესენია: საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, ქართული და უცხოური პროზა, ჰობი (მასში შედის ნიგნები კულინარიკაზე, მცენარეებზე და ა.შ.) და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა. ყოველწლიურად ვბეჭდავთ კატალოგებს, რომელშიც ნიგნები ანოტაციით, სწორედ ამ პრიორიტეტების მიხედვითაა წარმოდგენილი. გამომცემლობის კიდევ ერთი ძირითადი მიმართულებაა სასკოლო სახელმძღვანელოები, რომელსაც დიდი რაოდენობით ვბეჭდავთ. 2009 წლის კატალოგში ეს მიმართულება, თავისი მოცულობის გამო, ცალკე გამოყოფილი არ არის.

— სასკოლო სახელმძღვანელო-



ების შედგენა და, ზოგადად, საბავშვო ლიტერატურის გამოცემა საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო საქმეა; აქედან გამომდინარე, ალბათ დიდ შრომასაც მოითხოვს. გარკვეული თქვენული მეთოდით ან კონცეფციით ხელმძღვანელობთ?

— საბავშვო ლიტერატურა რამდენიმე კატეგორიად იყოფა. განათლების სამინისტრომ შეიმუშავა ეროვნული სასწავლო გეგმა,

რომლის მიხედვითაც გამომცემლები სასკოლო სახელმძღვანელოებს ადგენენ. ჩვენიული ხედვა სამინისტროს მოთხოვნებს შეესაბამება. ვცდილობთ, ჩვენს მიერ გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოები საინტერესო მეთოდით იყოს შედგენილი, კარგი დიზაინით გამოირჩეოდეს და ბავშვის ასაკს შეესაბამებოდეს.

რაც შეეხება საბავშვო პროზას, ვცდილობთ მსოფლიოში პოპულარული თანამედროვე ავტორების წარმოებები შევარჩიოთ და გამოვცეთ. ვბეჭდავთ ასევე, კლასიკურ საბავშვო ლიტერატურას. ჩვენს მიერ გამოცემული არამხატვრული, საგანმანათლებლო-მეცნიერებითი ჟანრის ნიგნებიც თემატურად მრავალფეროვანია. ოთხი ძალიან სერიოზული ენციკლოპედია გამოვეცით, ეს არის - საბავშვო, გეოგრაფიის, მსოფლიო ისტორიისა და მეცნიერების ენციკლოპედიები, რომლებიც მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი და დამხმარე ლიტერატურას წარმოადგენს. გარდა ამისა, ბავშვებს მხატვრობის, არქეოლოგიის, მსოფლიოს უდიდესი საოცრებების, კოსმოსისა თუ ცხოველთა სამყაროს შესახებ საინტერესო ნიგნებს ვთავაზობთ. ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი იყო, ასევე, საქართველოს ისტორიის ოთხსაგვერდიანი ენციკლოპედიის მომზადება. გამოვეცით ქართული ჟარგონის, უცხო სიტყვათა და ბიოლოგიის ილუსტრირებული ლექსიკონები, ასევე - „ჩვენი ენა ქართული“, რომლის გამოყენებაც მოსწავლეებს დამხმარე სახელმძღვანელოს სახით შეუძლიათ.

— უფროსებს რას სთავაზობთ?

— ძალიან ბევრ, საინტერესო, თანამედროვე ლიტერატურულ წარმოებებს გამოვეცით, როგორც ქართულს, ასევე უცხოურიდან თარგმნილს... ახლახან ორი სხვადასხვა ჟანრის ნიგნი გამოვეცით, ესენია - ყველაზე ცნობილი თანამედროვე თურქი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ორჰან ფაშუქის რომანი „ჯევედეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“ (დასაბეჭდად მზადდება მისი მეორე ნიგნიც - „მე მქვია ნითელი“) და ბიოგრაფიული ჟანრის წარმოებები „ახალგაზრდა სტალინი“. ნიგნის ავტორი, საიმონ სებაგ მონტეფიორე საზოგადოებისთვის აქამდე უცნობ ფაქტებსა და წყაროებზე დაყრდნობით მოგვითხრობს იოსებ ჯულაშვილის შესახებ, დაბადებიდან საბჭოთა ხელისუფლების სათავეში მის მოსვლამდე.

ვაპირებთ, ასევე, გასული საუკუნის ავტორების, კნუტ ჰამსუნისა და ჯეიმს ჯოისის ცნობილი რომანების გამოქვეყნებას.

— უცხოურ ლიტერატურას ორიგინალიდან თარგმნით?

— ვცდილობთ ორიგინალიდან ვთარგმნოთ, მაგრამ სამწუხაროდ არის ენები, რომლის მთარგმნელსაც ჩვენთან ვერ ნახავთ. მაგალითად, პორტუგალიურად, იაპონურად ან კორეულად დაწერილ ნიგნებს დედნიდან ვერ ვთარგმნით. მართალია, ამ ენების მცოდნე ადამიანები არსებობენ, მაგრამ თარგმანისთვის მხოლოდ ენის ცოდნა საკმარისი არ არის. შეიძლება ითქვას, ეს სერიოზული პრობლემაა.

— „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ თანამედროვე ქართველი ავტორების ნიგნებსაც ინტენსიურად ბეჭდავს, თქვენს მიერ განხორციელებული არაერთი წარმატებული პროექტი გვახსოვს...

თანამედროვე ქართული პროზიდან, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბოლოდროინდელი პროექტია დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“, ასევე, ჩვენს მიერ შედგენილი ანთოლოგია - „ყველა დროის ოცი საუკეთესო ქართული მოთხრობა“. ხოლო სულ ახლახან, დაახლოებით ერთი თვის წინ, „თხუთმეტი საუკეთესო ქართული მოთხრობა“ დაიბეჭდა, რომელიც 2008 წელს ჩვენს მიერ გამოქვეყნებული საუკეთესო მოთხრობების კრებულს წარმოადგენს; ანთოლოგია უკვე მეექვსედ გამოვეცით. ამგვარ კრებულს ყოველწლიურად ვბეჭდავთ. მათში შესული თითოეული მოთხრობა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ პრემიის ნომინანტიცაა. პრემიას - „წლის საუკეთესო მოთხრობა“ - თხუთმეტიდან სამ ავტორს გადავცემთ. შარშან, მწერლები დავით ქართველიშვილი, ზაზა ბურჭულაძე და გურამ მეგრელიშვილი დავაჯილდოვეთ...

ინტენსიურად ვთანამშრომლობთ მწერალ აკა მორჩილაძესთან, მისი პირველი სერიოზული რომანი, ცნობილი ტრილოგიის პირველი ნაწილი - „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ - ჩვენ გამოვეცით. მას შემდეგ, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ ავტორის ოცი ნიგნი დაბეჭდა. ხოლო ახლახან, მისი ბოლო რომანი „მამლუქი“ გამოვიდა. ლაშა ბულაძის მოთხრობებისა და პიესების პირველი კრებულებიც - „ყუთი“ - 2001 წელს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ დაბეჭდა. ცოტა



ხნის წინ, ლაშა ბულაძისა და დავით ქართველიშვილის ბოლო რომანები გამოვეცი. დიდი ხანია ვთანამშრომლობთ დათო ტურაშვილთან და ბევრ სხვა ქართველ თანამედროვე მწერალთან, ეს ჩვენი კატალოგებიდანაც ჩანს.

— ნიგნების გამოცემა, ერთგვარად, ბიზნესიც არის და ამავედროულად, კულტურასთან, განათლებასთან თანაზიარ სფეროს წარმოადგენს. შესაძლებელია თუ არა, რომ ესა თუ ის პროექტი, როგორც კომერციული, ასევე კულტურული თუ საგანმანათლებლო თვალსაზრისით, წარმატებული იყოს?

— ეს ძალიან რთულია. შეიძლება ითქვას, საგამომცემლო საქმე არის ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ გამყოფს, ზღვარს ბიზნესსა და კულტურას შორის. ამ თვალსაზრისით, მართლაც გვინევს ხოლმე გარკვეულ კომპრომისზე წასვლა — კომერციული პროექტების განხორციელება, თუნდაც იმის გამო, რომ შემდგომ, ამ თანხით არაკომერციული პროექტები დავაფინანსოთ.

დღეს, სამწუხაროდ, პროზაული ნაწარმოებების რეალიზაცია მთავარი პრობლემაა. საქართველოში, ჩვენი ზომის ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, პროზა ძალიან მცირე ტირაჟით გამოდის. პრაქტიკულად, ასეთი ლიტერატურა ჩვენსავე დოციაციზზე; როცა რაიმე წარმატებულ ბიზნეს-პროექტს ვანხორციელებთ - ხშირ შემთხვევაში, ეს საბავშვო ნიგნების გამოცემაა ხოლმე - პროზა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა ამით საზრდოობს. ასეთი ნიგნების „კეთება“ ძალიან რთული, შრომატევადი საქმეა, თუმცა ბიზნესის კუთხით — არამომგებიანი. თუ გამომცემელმა ნიგნი არ გაყიდა, წინ ვერ წავა; ამიტომ, ვცდილობთ გარკვეული ბალანსი შევინარჩუნოთ.

— პროზის ტირაჟის სიმცირე რითია გამოწვეული?



— როცა ჟურნალისტები ამ კითხვას მისვამენ, მეც ვეკითხები, თქვენი გაზეთისა თუ ჟურნალის ტირაჟი რამდენია-მეთქი. მაგალითად, ყოველდღიური გაზეთი, როგორიცაა „24 საათი“, ხუთი ათასამდე გამოდის. ამ გაზეთს, ისე როგორც თქვენსას, ის ადამიანები იძენენ, ვინც ნიგნებს კითხულობს. ქვეყანაში, სადაც ოთხ მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, ყოველდღიური გამოცემის მომხმარებელი დაახლოებით

ნახევარი მილიონი მაინც უნდა იყოს, ჩვენთან კი, ასე მცირე რაოდენობით იყიდება. თუ ასეთი გაზეთების ტირაჟი ხუთი ათასს ასცდება, ჩათვალეთ, რომ ჩვენი ნიგნებიც გაიყიდება, რადგან მათ ერთი და იგივე მომხმარებელი ჰყავს. მკითხველი არ არის. სამწუხაროდ, ასეთი სურათია.

— ის, რომ საქართველოში ნიგნს ცოტა ადამიანი კითხულობს, ალბათ ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს...

— ნიგნებს განათლებული ხალხი კითხულობს. ალბათ, პრობლემა ისევე და ისევე განათლებაშია. თავის დროზე, სკოლაში, სახლშიც, ამას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. მართლია, იყო პოპულარული ნიგნები, ბევრიც იძენდა, მაგრამ თაროზე შემოდებდა, არ კითხულობდა. როგორც ვიცით, ნიგნიერების მხრივ, სოციალური მაჩვენებელი საქართველოში დღეს ძალიან დაბალია. თუკი სკოლა, ოჯახი ეცდება ბავშვს კითხვა შეაყვაროს, ნიგნის მოყვარე ადამიანი შემდგომში უფრო მეტი იქნება. სწორედ ამიტომ, პატარებისთვის, რომლებიც კითხვას იწყებენ, გამოვეცით სერია „მე ვსწავლობ კითხვას“. ეს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია. ოთხსაფეხურიანი სერია გახლავთ, პატარ-პატარა ნიგნებისგან შედგება და საკმაოდ მკაფიო კონცეფცია გააჩნია. პროგრამა ამგვარია: ნიგნებში მოთხრობილი საინტერესო ამბები მარტივი ტექსტით იწყება და ეტაპობრივად რთულდება: სიტყვების რაოდენობა მატულობს, წინადადებები რთულდება, აქედან გამომდინარე, იზრდება ტექსტის მოცულობაც. ეს კითხვის სწავლების არაჩვეულებრივი საშუალებაა. ნებისმიერ სკოლას შეუძლია ამ სერიით იხელმძღვანელოს.


ვამზადებთ, ასევე, სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილ საკითხავ ლიტერატურას. მათ ბევრი საინტერესო ნიგნი სჭირდებათ, ამიტომაც ვცდილობთ საინტერესო არჩევანის საშუალება მივცეთ. გამოვეცით ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოებების ახალი სერია, ვაპირებთ „მითების“ გაგრძელებას - ქართულ მითებს გამოვეცემთ. გარდა ამისა, ვთარგმნებთ ორი ახალი ნიგნი: ფილიპ პულმანის ტრილოგიის პირველი ნაწილი, თანამედროვე ზღაპარი „ჩრდილოეთის ციალი“ და ასევე, თანამედროვე მწერლის, კორნელია ფუნკეს „ქურდების მეფე“. ორივე ავტორი ცნობილია საზღვარგარეთ. ვცდილობთ ვთარგმნოთ ის, რასაც ბავშვები დღეს უცხოეთში კითხულობენ. თავის დროზე, ჯოან როულინგის თანამედროვე ზღაპარი „ჰარი პოტერი“ ამიტომაც ვთარგმნეთ. ამ ნიგნმა ბავშვების უმეტესობას კითხვა შეაყვარა, იმდენად „მოჯადოვდნენ“, რომ შემდეგ ბევრი სხვა ნიგნიც წაიკითხეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— ნიგნი, რომელსაც გამოსცემთ, ჟანრობრივად თქვენს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს უნდა შეესაბამებოდეს. კიდევ რა აუცილებელი პირობა არსებობს იმისთვის, რომ ორიგინალური თუ თარგმნილი ნაწარმოების გამოცემა გადაწყვიტოთ?

— თუ არჩევანს გულისხმობთ, გეტყვით, რომ ორი ფაქტორი - ნიგნის შინაარსი და ავტორი - ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. პირველი რიგში, ყურადღებას ვაქცევთ, თუ

რამდენად საინტერესოა ნაწარმოები და რამდენად ცნობილია მისი ავტორი. შესაძლოა, ავტორს ბევრი არც იცნობდეს, მაგრამ იმდენად საინტერესო თხზულება შემოგვთავაზოს, რომ მისი გამოცემა გადავწყვიტოთ.

ვცდილობთ წინასწარ განვსა-



ზღვროთ, დავგეგმოთ, თუ რა აინტერესებს მკითხველს, შევარჩიოთ ლიტერატურა და მისი ხარისხიანად გამოცემა შევძლოთ. გამომცემლის ფუნქცია სწორედ ეს არის - ნიგნი მკითხველისთვის საინტერესო და მიმზიდველი გახადოს და ისე შეფუთოს, რომ მაღაზიაში მისულმა მომხმარებელმა ის უამრავ სხვა ნიგნს შორის გამოარჩიოს.

— ნიგნის ვიზუალური მხარე მის წარმატებით რეალიზებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს...

— ვცდილობთ ვითანამშრომლოთ ისეთ მხატვრებთან, დიზაინერებთან, რომელთაც საინტერესო ხედვა აქვთ და ნიგნის შინაარსის სწორად აღქმა და „გადმოცემა“ შეუძლიათ. ჩვენი ნიგნები დიზაინით მართლაც გამოირჩევა. ეს დიზაინერების დამსახურებაა, თუმცა იგივე ადამიანებმა შესაძლოა სხვა ნიგნები გააფორმონ, მაგრამ ასეთი კარგი შედეგი არ მიიღონ. ჩვენ მათთან ვმუშაობთ, ვცდილობთ მიმართულება მივცეთ; ხშირად, მცირე დეტალიც კი, ერთიანად ცვლის სურათს. სამწუხაროა, რომ ასეთი დიზაინერები თითოე ჩამოსათვლელია.

— ილუსტრაციები?

ეს კიდევ ერთი პრობლემაა. პრაქტიკულად, საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, არის ძალიან ცოტა მწერალი, მხატვარი, დიზაინერი... და მკითხველიც.

ახლახან, ჩვენთან შევიდო ილუსტრატორები იმყოფებოდნენ, მათ ოთხსაგვერდიანი კატალოგი ჩამოიტანეს და გაგვაცნეს. ეს 2008 წლის რჩეული ილუსტრაციების კატალოგი იყო, რომელსაც შევიდო მხატვრები გამოსცემენ. ერთ ქვეყანაში, ოთხასი ილუსტრატორი, სხვადასხვა სტილის, ერთმანეთზე უკეთეს ილუსტრაციებს ქმნიან! ჩვენთან კი, რამდენი ილუსტრატორია - ხუთი, ათი, ოცი?

— „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ არსებობის ათი წლის მანძილზე თქვენს მიერ განხორციელებული ყველაზე წარმატებული პროექტები — საეტაპოც რომ შეიძლება ეწოდოს — რომელია?

— ბოლოდროინდელი გამოცემებიდან რაც მახსენდება, ეს „საქართველოს ატლასია“. ნიგნი თავიდან ბოლომდე ქართულ მასალაზე აიგო, გამოირჩეოდა თანამედროვე დიზაინით, საინტერესო შინაარსით. პროექტი მნიშვნელოვანი იმიტომ არის, რომ შევძელით დავგეგმიცემა ბინა - ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ისეთივე თანამედროვე ქართული ნიგნები, როგორსაც უცხოეთში ამზადებენ.

რაც შეეხება უფროსებისთვის განკუთვნილ ლიტერატურას, გარდა იმისა, რომ თანამედროვე ქართველი ავტორების ნიგნებს გამოვეცემთ, ასევე ცნობილ უცხოელ ავტორებსაც ვთარგმნით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მკითხველს შევთავაზოთ ის ლიტერატურა, რომელსაც დღეს მსოფლიოში მილიონობით ადამიანი კითხულობს.

საეტაპო პროექტის გამოყოფა გამიჭირდება. თუმცა, მუდმივად ძიების პროცესში ვართ და ვცდილობთ მკითხველს საინტერესო სიახლეები შევთავაზოთ. მაგალითად, თავიდან, კულინარიულ ნიგნებს არ გამოვეცემდით, მაგრამ შემდეგ ვცადეთ, დავიწყეთ. ასევე, პირველი გამომცემლობა ვიყავით, რომელმაც ოთახის მცენარეების შესახებ ნიგნი გამოსცა, იგივე შეიძლება ითქვას ორსულებისა და ახალბედა მშობლებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოზე. ეს პროექტები საინტერესო სიახლე იყო მკითხველისთვის...

— რა გეგმები გაქვთ?

— გეგმა ძალიან ბევრია. დღეს, გამომცემლობაში არაერთი ნიგნი ითარგმნება. გარდა ამისა, სურვილი გვაქვს ისეთი ნიგნები მოვამზადოთ,



რომელსაც მკითხველი საზღვარგარეთაც ეყოლება. აკა მორჩილაძის რომანი „სანტა ესპერანსა“ გერმანულ ენაზე უკვე თარგმნილია და საკმაოდ დიდი ტირაჟით გამოიცა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი, საეტაპო პროექტია. ვფიქრობ, ამ ნიგნის სხვა ენებზე გამოცემაც შესაძლებელია. უცხოენოვანი მკითხველის დაინტერესება საკმაოდ რთულია, აქ პრობლემა ისევე და ისევე კარგი მთარგმნელის მოძიებაშია. გადავზავნილი გვაქვს, ლაშა ბულაძისა და დათო ტურაშვილის ნაწარმოებებიც, იმედია რომელიმე მათგანი მაინც ითარგმნება უცხო ენაზე. ვნახოთ.

ესაუბრა თამარ ჟურული

მწერლის მსოფლმხედველობრივი პრინციპების ჩამოყალიბებას ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი უძღვის წინ. ეს ეტაპი, ბუნებრივია, გურამ დოჩანაშვილ-მაც განვლო. ლიტერატურულ ასპარეზზე იგი სამოციან წლებში გამოვიდა, როცა ქართველ მწერალთა დიდი ნაწილი წინა პერიოდის პროხალხოსნურ ხელოვნებაში დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე ფიქრობდა. როგორც იქნა, გამირმა ინტიმური ცხოვრების, ფიქრისათვის მოიცავლა. ბრძოლის ველი და შრომითი ვახტი სულიერ-ინტელექტუალურმა ძიებებმა, საომარი ყიჟინა - ჩუმმა, მაგრამ იმედით აღსავსე, მოლოდინმა შეცვალა. მწერლის ლექსიკონში "ხალხის" ადგილი "ადამიან-მა" დაიკავა.

გურამ დოჩანაშვილის ადრეული პერიოდის პროზა განსხვავებული ინტერესების, ფიქრებისა და ფსიქოლოგიური ნყოფის პერსონაჟებს აერთიანებს; ზოგიერთ მათგანს ხელოვნება იზიდავს, ზოგსაც - ხელოვნების ქომავის პოზა; ვხვდებით ცხოვრებასთან ჭიდილში დამარცხებულ, სულიერად განიარაღებულ ადამიანებსაც, მაგრამ ვერ შევხვდებით გაბოროტებულთ. ეს გრძნობა გურამ დოჩანაშვილის გამრეხისათვის უცხოა. მწერლის ირონიაც მოთმინებით ელის შესაფერის დროს და ავრჯერობით შედარებით იოლ „სავარჯიშოებზე“ ინაფება.

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა "მიხეილი და ალექსანდრე" მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობის საკითხს ეხება. მავსტრო მიხეილს - ნიჭიერ მუსიკოსსა და სტუდენტური სამოყვარულო ორკესტრის დირიჟორს, სიზარმაცის გამო დიდ ხელოვნებაში ხელი მოეცარა. დაუმსახურებელ პატივსა და უკვდავებაზე ფუჭმა ოცნებამ მას მიზნისაკენ სწრაფვის, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დაუჩლუნგა. ჩამოყალიბდა სულიერად უნაყოფო ტიპი, რომლისთვისაც სულერთია, ოცნებაში გაეხარდება რამე, თუ სინამდვილეში.

გურამ დოჩანაშვილის ერთ-ერთი მოთხრობის ("ხელოვნების კაცი") გმირი, პროფესიით ფილოლოგი, კინობითი ფორმების მანარმოებელ სუფიქსებს ჩაპკირკიტებს, "ჩუმად იმეორებს: ნალდი - ნალდუნა, ჩიტი - ჩიტუნა, კაცი - კაცუნა, და უცებ პათოსით ამბობს: ნეტავი შენ, ლამაზი რაინდო!"

იგი, ამავე დროს, "მოყვარული კონფერანსიეა". ტრაგიკული პათოსით განმსჭვალულ სიტყვებს, "ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს" ან "დაე, სცენაზე მოკვდე!" - კომიკური ელფერი დაჰკრავს, რადგან აუდიტორიის წინაშე გამოსვლა მისთვის თვითდაპყვიდრების ისეთივე საშუალებაა, როგორც - დისერტაციის დაცვა და სცენაც ისევე უყვარს, როგორც - კინობითი ფორმების მანარმოებელი სუფიქსები.


"შორს კი, ჰორიზონტზე, ერთგულ რაშს მიაქროლებდა მრავალტანჯული იდაღო დონ კიხოტ ლამაზელი", - ირონიული დაპირისპირების ლოგიკა, ალბათ, განმარტებას არ ითხოვს.

გურამ დოჩანაშვილის ბოლო პერიოდის შემოქმედება სამოციანი წლებისა, და პირველ რიგში, საკუთარი შემოქმედებითი პრინციპების გადასინჯვის პროცესთანაა დაკავშირებული. ჩვენს კრიტიკაში არაერთხელ აღნიშნავთ, რომ სამოციანი წლების მწერლობაში გმირთა მოციქულებრივ სინამდვილესა და უცოდველობას აკლდა ერთი მთავარი თვისება - ისინი ზნეობის პასიური მქადაგებელი უფრო იყვნენ, ვიდრე ბოროტების წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი. ცვლილებები ძირითადად გმირთა მეტყველებასა და მხატვრული სტილისტიკის სფეროს შეეხო - ცერემონიულურ, ზეანეულ ტონსა და "მონუმენტური ისტორიზმის სტილს" (დ. ლიხაჩოვი) სასაუბრო ენა შეენაცვლა, ავტორიტარიზმს - ლირიკული უშუალობა. მაგრამ მხატვრული სტილისტიკის სფეროში მომხდარი ცვრები ჯერ კიდევ არ მეტყველებს შემოქმედებით ძალთა საფუძვლიან გადაჯგუფებაზე.

გადის დრო, წარსულს ბარდება ჯერ კიდევ გუშინ თითქოსდა მარადიულობის შტამებით აღბეჭდილი ღირებულებები, ისტორიის ავანსცენაზე იცვლება დეკორა-

ზაზა გოცია

გურამ დოჩანაშვილი



გამოსაცემად მზადდება კრიტიკული წერილების კრებული სათაურით "შტრიხები პორტრეტისათვის", რომლის ერთი ნაწილიც აპრობაციაა "ლიტერატურული გაზეთის" ფურცლებზე გაივლის. მას სისტემური მეცნიერული კვლევის პრეტენზია არ გააჩნია და XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობის გარეგნულ იერს გვიჩვენებს. რამდენიმე ავტორის სამოცამდე სტატია (თითო მწერალზე თითო სტატია), ზოგი გამოქვეყნებული, ზოგიც - გამოუქვეყნებელი, კრიტიკოსთა თვალთ დასახული სპეციფიკური დეტალები, სააზროვნო სიტუაციებისა და მკითხველისათვის ნაკლებ შესაძენველი ნიუანსების გათვალისწინებას იხსავს მიზნად. კრიტიკული ნარკვევები, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში მოღვაწე ყველა თაობის მწერალს შეეხება, ნიგნის ფორმატით გათვალისწინებული პრონოლოგიური რიგით არ იქნება წარმოდგენილი.

ციები. მწერლობა, რომელიც ცდილობს ფეხი აუწყოს ცხოვრების ამ თავბრუდამხვევ რიტმს, ზრუნავს როგორც ანწყოსა და მომავალზე, ისე - წარსულის "ცოდვითა" შემსუბუქებაზე. ახლის შენება ნგრევასაც მოითხოვს - ეს არის არა ისტორიის ალოგიკური პარადოქსი, არამედ - წინსვლის დიალექტური პირობა, რომელსაც ვერც ერთი ნამდვილი შემოქმედი ვერ გაეცა. ამ მხრივ, არც გურამ დოჩანაშვილია გამონაკლისი. მისი ირონიაც არასოდეს გადადის ნიჟილიზმსა და ლაზლანდარობაში. აქედან გამომდინარე, არც მწერლის სიცილი ითვალისწინებს მკითხველის გართობა-გამხიარულებას.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს გურამ დოჩანაშვილის თხზულებათა ციკლი, რომელიც სამ ძმა კეჟერაძეთა უცნაურ თავგადასავალზე მოგვითხრობს. მოთხრობაში "იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი" გმირის საინტერესო ფსიქოლოგიური პორტრეტია დახატული. "მინდა, რომ ჩემი ხელშეწყობით ადამიანები გახდნენ უკეთესები, ვიდრე არიან" - მთავარი პერსონაჟის ამ სიტყვებს, რომელზეც მოდის მოთხრობის აზრობრივი მახვილი, უტოპიური გულუბრყვილობის იერი დაჰკრავს. მართლაც, შეუძლებელია ერთი ადამიანის ძალისხმევამ აღვირო ამოსდოს მთელი საზოგადოების მანკიერ ვნებებს; რა თქმა უნდა, კაცობრიობის ერთი ხელის მოსმით გამოსწორებას არც დოჩანაშვილის გმირი აპირებს.

ნიცმე თვლიდა, რომ ყოველი ადამიანი სულიერად თანაზიარის წინაშეა ზნეობრივად პასუხისმგებელი. ამ განსაზღვრებით იგი ცდილობდა ადამიანთა მოღვაწეობის ზღვრულ ლოკალიზაციას, მათ შესაძლებლობათა გარკვეული ნიშნით შემოფარგვლას, რადგან ხედავდა, რომ ქვეყნის უნივერსალური წესების დადგენის ამოცანას მანამდე ცნობილმა ვერც ერთმა რელიგიურმა თუ ეთიკურ-ფილოსოფიურმა მოძღვრებამ ვერ გაართვა თავი. დღეს ცოტა ვინმე თუ დავობს იმ საკითხზე, რომ ვხვდებით ნანარმოებებს, რომლებიც განკუთვნილია საზოგადოების გარკვეული ნაწილისა და არა მასობრივი

"მომხმარებლისათვის".

სწორედ ამ რიგს განეკუთვნება გურამ დოჩანაშვილის თხზულებები. მისი მოთხრობის გმირს - გრიშა კეჟერაძეს სამოქმედო ასპარეზი ადამიანთა გარკვეული ჯგუფით შემოუფარგლავს. მისი მიზანია თავის გარშემო, მეგობართა და ახლობელთა წრეში, შეასხას ხორცი იმ მაღალ ჰუმანისტურ იდეალებს, რომელიც ადამიანს ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ გაუხსნის გზას. ავტორი პარადიული ხერხებით ცდილობს მოქმედების "კარნავალიზაციას", სადაც სიცილი გამოდის სოციალურ მანკიერებათაგან თავის დაღწევის ალტერნატივად და იგი ატარებს არა გამონაკლისის, არამედ - მწყობრი სისტემის ხასიათს.

კრიტიკისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ის ფაქტი, რომ "შერეკილობის მოტივი" საფუძვლიანად შეაღწია არა მხოლოდ მწერლობაში, არამედ - თეატრალურ და კინოხელოვნებაშიც. შერეკილობამ მოიტანა ერთი უცნაური პარადოქსიც - რიგ მოვლენათა "არასერიოზულმა" ინტერპრეტაციამ ცხოვრების ყველაზე სერიოზულ საკითხებზე აუხილა თვალის ჩვენს საზოგადოებრიობას.

შალვა კეჟერაძეს კრივიზი არ მოსწონს ის წესი, რომ ცემენ ერთს და გამარჯვებას ანიჭებენ მეორეს, რადგან დამარცხებული ორმაგად იჩაგრება - ფიზიკურად და მორალურად. ობიექტურად ეს თვალსაზრისი სრული აბსურდია, მაგრამ მეორე მხრივ, იგი ძალმომრეობისა და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის მამხილებელი პარადიაა. მორალისტური ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, გმირის მსჯელობა სახეობით დამაჯერებელია, თუმცა იგი ეწინააღმდეგება ცხოვრებისეულ ლოგიკას. სწორედ ამ წინააღმდეგობაშია საძიებელი ეთიკურ და ზნეობრივ ქცევას შორის უთანხმოების მიზეზი.

თავისთავად არ არსებობს მორალური მოვლენები, არსებობს ამ მოვლენათა მორალური ინტერპრეტაციები. აბსტრაქტული ჰუმანიზმისა და ცხოვრებისეული კანონების საბედისწერო შეუთავსებლობა წესიერი ადამიანისათვის ნებისმიერ დროს შეიძლება იქცეს სულიერი დრამის წყაროდ.

გურამ დოჩანაშვილის გმირთა სიტყვა და საქმე, თვით ყველაზე კუროზულ გამოვლინებებშიც კი ადამიანთა ნამდვილ ვნებებთანაა გადაჯაჭვული, ამიტომ ფსიქოლოგიურადაც დამაჯერებელია.

გონიერი ადამიანი ხელოვნების საწყაროში თავისივე ცხოვრების ინტიმურ კითხვებზე უნდა ეძიებდეს პასუხებს.

ამ შეგნების მატარებელია გურამ დოჩანაშვილის გმირიც, რომელსაც "ლიტერატურა ძლიერ უყვარდა". იგი განათლებაში ხედავს სიკეთისა და ბედნიერების ერთგულ მოკავშირეს და სჯერა, რომ "ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი..." მხოლოდ განათლებას ძალუძს უსამართლობისა და ძალადობის დამხობა, რადგან ნიგნს თავისუფლება მოაქვს, "შემართული, გამოცდილი და ყოველსშემძლე, ამამალელებელი თავისუფლება".

ადამიანის არსებობის საზრისზე ჩაფიქრებულ უცნაურ ფოტოგრაფს ავტორი უპირისპირებს სტატისტიკური დაწესებულების ხელმძღვანელს, რომლის მეტყველება ისეთივე ბუნდოვანია, როგორც მისი საქმიანობა. ამ ადამიანის ფრაზიორობისა და გარეგნული რესპექტაბელურობის მიღმა სრული შინაგანი სიცარილე იმალება. ამრიგად, ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდება ორი განსხვავებული შეგნება. ერთს (უგუნურებას) მეორეზე (გონიერებაზე) კონტროლისა და ზედამხედველობის პრეტენზია გააჩნია, რადგან იგი სოლიდური დაწესებულების სავარძელშია მოკალათებული. აქვეა გამოყვანილი ხელმძღვანელის ერთგული ფინია, ასევე უვიცი და გონებაშლედული ობივატელი, რომლისთვისაც უწყებრივი ცენზიზა ღირსების მთავარი საზომი.

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა "ვატერ(პო)ლოო, ანუ აღდგენილი სამუშაოები" საგანგებო სჯა-ბაასის საგანი გახდა. ცხარე კამათი გამოიწვია როგორც თხზულების ფორმამ, ისე - შინაარსმა. თხზულებაში ურთიერთგამომრიცხავ ძალთა დაპირისპირების ფონზე იმლება მთავარი გმირის თავგადასავალი. ამ ძალებს მოხუცი მუსიკოსი და წყალბურთის მასწავლებელი განასახიერებენ. პირველი ბესამე კაროში ადამიანურ თვისებათა აღზრდაზე ზრუნავს, მეორე - ფანატიკოსის კულტივირებული ჯიშის გამოყვანაზე.

ელიზბარ ჯაველიძე მართებულიად აღნიშნავს, რომ დოჩანაშვილი "ცდილობს პრობლემის არსის განზოგადებულ სიბრტყეზე წარმოჩენას" (მნათობი, 9, 1982). მაგრამ როცა ავტორი თავის დაკვირვებებს გურამ დოჩანაშვილისა და აბსურდისტთა ესთეტიკის იგივეობის მამტიკიცებულ არგუმენტებად იყენებს, კვლევის მიზანი და შედეგები ერთმანეთს სცილდება. შეუძლებელია, დაეთანხმო იმ აზრს, რომ "დოჩანაშვილი ცდილობს სიტყვას საერთოდ მოუხსნას აზრობრივი ფუნქცია და არაფრისგამომხატველად აქციოს".

უაზრობის ელემენტის შემოტანა "აბსურდის თეატრის" ესთეტიკაში მიზნად იხსავს აღნიშნულის განმსგავსებას აღსანიშნისაგან, ლექსიკური ერთეულის მსხვერველს საგნის სემანტიკური მნიშვნელობის გაბუნდოვნების მიზნით ("აბსურდის თეატრის" პოეტიკის ქრესტომათიულ ილუსტრაციად სამუელ ბეკეტის " გოდოს მოლოდინში" მინიშნული. მისი ორი გმირი - ვლადიმირი და ესტრაგონი სოფლის შარაზე აბსტრაქტულ გოდოს ელიან; საუბრობენ ყველაფერზე, და, ამავე დროს, არაფერზე. სიტყვის მნიშვნელობა დაცლილებულია საგანს, უფრო სწორად, მსაზღვრელი არსებობს, საზღვრული - არა. გმირებიც მოქცეულნი არიან ციკლურად ჩაკეტულ სტატიკურ გარემოსა და სემანტიკურ წრეში).

დოჩანაშვილთან კი ვხვდებით ენისადმი ირონიულ-პარადიული დამოკიდებულების ესეთ ფორმას, სადაც სიტყვებითა და ცნებებით ვარირება საპირისპირო მიზანს ემსახურება. მწერლის უცნაური მეტყველება, სიტყვათქმნადობები, ბარბარიზმები, ნეოლოგიზმები ჩვენს ენობრივ ცნობიერებაში განმტიკიცებულ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური სპექტრისათვის მიუწვდომელ ნიუანსთა გათვალსაზრისების ამოცანას ემსახურება. მართალია, უბირი მკითხველი ზოგჯერ ტყუვდება,



ვინაიდან მხატვრული ეფექტი თამაშია და კონტრასტული ხერხებითაა მიღწეული, მაგრამ არ უნდა მოტყუდეს პროფესიონალი შემფასებელი.

თამაშის მექანიზმი და ხელოვნებაში სხვადასხვაგვარია: პიკასოს ირონიული თამაში მიმართული იყო იმ დილეტანტი თავყვანისმცემლებისადმი, რომლებიც მის მიერ ფანქრის წასამახვილებლად ნაჯღაბნ ფურცელზე სამყაროს მხატვრულ მოდელს ეძებდნენ; თამაშით წყვეტენ სანჩო-გუბერნატორი და "კავკასიური ცარცის წრის" გმირი სამართალს; თამაშში დევს მხატვრული "გაუცხოების" ეფექტი, რომელიც ქართულ თეატრში მიხეილ თუმანიშვილმა შემოიტანა, როცა "ჭინჭრაქაში" ბავშვის პისტოლეტით შეიარაღებული დევის თითქოსდა უვნებელ თამაშში რეალური სამყაროსადმი მუქარა დაინახა, ირონიული თამაშის ელემენტებით ანტი-ილუზორული განწყობილებების შექმნა უდევს საფუძვლად რობერტ სტურუას თეატრალურ ინტერპრეტაციებს.

ლევან ბრეგვაძემ საგულისხმო თვალსაზრისი გამოთქვა, რომ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა ბრეგვისეული "ეპიკური თეატრის" სააზროვნო კონცეფციას ეყრდნობა (ეს აზრი შემდგომაც გაიმეორეს, მაგრამ საფუძვლიანად არავინ ჩარღმავებია). ასეც რომ არ იყოს, როცა თამაშის ელემენტზე ვსაუბრობთ, იგი, უპირველესად ყოვლისა, მსახიობის თამაშა და თეატრალურ სანახაობასთან ასოცირდება. რადგანაც დღემდე არ მოუგონიათ კანონი, რომელიც ხელოვნების ცალკეულ დარგებს შორის ჩინური კედლის აღმართვას ითვალისწინებს, დანაშაულად არ ჩაითვლება, თუკი ლიტერატურაში მოქმედ ზოგიერთ პრინციპს თეატრალური ესთეტიკის თვალსაზრისითაც მივუდგებით.

მიმეტური თეატრის კლასიკურ სახეს (არისტოტელურ თეატრს) ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან გამოეყო თეატრალიზებული სანახაობანი - წმინდანთა ცხოვრებათა და ლეგენდების მიხედვით შექმნილი მირაკლები, ბიბლიურ თქმულებებზე აგებული ფარსულ-გროტესკული მისტერიები და ალეგორიები (სცენობრივად მათ ქართული "ბერიკაობა" და "ყეინობა" შეიძლება დავუწყვილოთ), რომლებიც ცხოვრების მიბაძვის ნაცვლად, მის სტილიზეა-მოდიფიცირებას ისახავდა მიზნად. პირველმა (ილუზიურმა ანუ არისტოტელურმა თეატრმა) სტანისლავსკის ესთეტიკურ სისტემაში ჰპოვა გაგრძელება, მეორემ (ანტიილუზიურმა) - მეიორჰოლდისა და ბრეგვის თეატრალურ კონცეფციებში.

ესთეტიკური გაუცხოების (თუ გაუცხანურების) ეფექტი და ფილოსოფიური "გაუცხოება" ერთი და იგივე არაა. რუსულსა და გერმანულში მათ განსხვავებული ტერმინები შეესაბამება. სპეციალისტები ორიენტაციას ძირითადად გერმანულ ენაზე იღებენ, ვინაიდან ორივეს "სამშობლო" გერმანიაა. სოციალურ-ფილოსოფიური გაუცხოების ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) მნიშვნელობა ეპოქის სულის თვითგაუცხოებაა, ანუ საზოგადოების ისეთი მდგომარეობა, სადაც ყოველი ადამიანი დანარჩენებისათვის უცხოა. სწორედ ეს მნიშვნელობა აიტანეს თავიანთ ფარზე ეგზისტენციალისტებმა.

ესთეტიკურ და სოციალურ გაუცხოებას შორის თვისობრივი სხვაობა იმას როდი ნიშნავს, რომ მათი თანაარსებობა შეუძლებელია. ხელოვნებათმცოდნეები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ ეპიკური თეატრის ესთეტიკური პრინციპები მჭიდროდ თანამშრომლობენ ჟან ანუისა და, საერთოდ, ფრანგული ეგზისტენციალისტური თეატრის მსოფლმხედველობრივ პრინციპებთან. გამოცდილებით ურთიერთგამდიდრება ხელოვნებაში ჩვეულებრივი მოვლენაა.

მხატვრული გაუცხოების ეფექტი მხოლოდ თეატრალური ხელოვნების მონაპოვრად არ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ბრეგვისი ჯერ მწერალი იყო, შემდეგ - რეჟისორი და "ბერლინერ-ანსამბლის" თეატრალური დასის ხელმძღვანელი. ამიტომ, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული მხატვრული კანონები თეატრს გარდა სიტყვიერი ხელოვნების დარგზეც ვრცელდება. ეპიკური დრამისა და თეატრის პოეტიკაში მხატვრულ და რეალურ სამყაროს შორის დაახლოებით ისეთივე პირობითობაა, როგორც სიმბოლიზმის პოეტიკაში სიმბოლოსა და სიმბოლიზებულ საგანს შორის, სადაც ერთი მეორის მეტაფორა და პაროლია, ოღონდ, გამკიცხავი, ირონიული, ფარსულ-გროტესკული ნიშნებით აღბეჭდილი მეტაფორა.

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაში ცენტრალური სიუჟეტური ხაზის პარალელურად ვხვდებით ისეთ ლირიკულ გადახვევებს, სადაც "აფრედერიკ მე" ლიტერატურული პერსონაჟიც არის და თეატრალურ ნიღაბს ამოფარებული ავტორიც. აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონ ელიზბარ ჯაველიძის მოსაზრებას, რომ ასეთი ლირიკული გადახვევები შეგნებულად "ებრძვის მიზეზ-შედეგობრივი მიმართებებით აგებულ ძირითად სიუჟეტურ ხაზს, არღვევს ნაწარმოების ლოგიკურობას", მაგრამ იგი წარმოადგენს არა აბსურდის თეატრის ხელოვნების "მსოფლმხედველობრივი სისტემის გამომხატველ პოზიციას", არამედ - ეპიკური თეატრის ოპოზიციური ჭვრეტის ხერხს.

ამ ხერხის მხატვრული რეალიზების მექანიზმი კარგად ჩანს თავად ბრეგვის თეატრალური პრაქტიკიდან მოხმობილ ეპიზოდში.

"ბერლინერ ანსამბლი" ბ.ბრეგვის პიესის "სპილენძის ყიდვის" მიხედვით დაიდგა წარმოდგენა. სპექტაკლი იწყობოდა შექსპირის "ჰამლეტის" ფინალური სცენით. იგი დადგმული იყო ცხოვრებისეული ილუზიების თეატრის ყველა წესის დაცვით. სცენაზე იყო ელსიორას ციხენიმაგრა, მზის ამოსვლა, მეომართა აღმართულ ხელებზე დასვენებული ჰამლეტი, მუსიკა. ყოველივე ისე შთაბეჭდვად იყო გაკეთებული, რომ მაყურებელი ტაშისაგან თავს ვერ იკავებდა. შემდეგ ფარდა იხურებოდა, ისევ იხსნებოდა, "მიცვალბულები" მაყურებლის თვალწინ დაგვიდგნენ, თავს უკრავდნენ და ამის შემდეგ იწყებოდა მთავარი: მოდიოდნენ სცენის მუშები და იწყებდნენ ილუზიების სამყაროს დანგრევას. დაბლა უშვებდნენ და ახვევდნენ უკიდევანო "ცას", სადაც თეატრის მაღალ თაღებზე ადიოდა ქვის ციხე-კოშკების კედლები, გასაოცარი სიმსუბუქით აბრუნებდნენ დანიის მეფეთა მძიმე ტახტს და მაყურებლებს უჩვენებდნენ ფიცრებსა და ჰაპიემასებს.

უკან, სცენის სიღრმეში, იღებოდა უზარმაზარი კარი (რათა დეკორაციები თეატრის ეზოში გაეტანათ) და მაყურებლები ხედავდნენ ბერლინის ქუჩას, ესმოდათ ტროლეიბუსების ხმა. ილუზია ქრებოდა. გამოეგონიო, "განსახიერებული" ცხოვრების ნაცვლად სცენაზე იჭრებოდა ნამდვილი ცხოვრება.

და, როგორც ბავშვების უმრავლესობა სიამოვნებით შლის ახალ სათამაშოს შემადგენელ ნაწილებად, რათა მიხედეს, როგორ არის იგი გაკეთებული, ეპიკური თეატრიც ასევე აწარმოებს თავის თამაშს, რათა ამით ჩასწვდეს საზოგადოებაში მომხდარ ცხოვრებისეული მოვლენების არსს" (მიხ.თუმანიშვილი, სანამ რეპეტიცია დაიწყება, 1977 წ., გვ. 27-28).

სპექტაკლის სანახავად მისული მაყურებელი თავდაპირველად, შესაძლოა, მოვლენათა ხასიათში ვერც გაერკვეს, ვინაიდან წარმოდგენა იწყება სრულიად სხვა ნაწარმოების, კერძოდ "ჰამლეტის", ფინალური სცენით, რომელიც დადგმულია მიმეტური (არისტოტელეს) თეატრის ტრადიციული კანონების დაცვით. ყოველივე ამას მოსდევს ილუზიათა სამყაროს ნგრევა და რეალობაში დაბრუნება. ელსიორას ციხე-სიმაგრის ნგრევა მხოლოდ არისტოტელეს თეატრის მხატვრული პრინციპების ნგრევა არ არის. იგი მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე ერის ილუზიათა ნგრევაცაა, რომელსაც ახალი ობი-

ექტური სინამდვილე და ამ სინამდვილეში აღმოცენებული ესთეტიკური პრინციპები დაუპირისპირდა. ამ იდეის მხატვრულ კონსტატაციას ბრეგვისი გაშუალებულიად, მოქმედებაში მსახიობის სახით შემოყვანილი თავის მეორე "მე"-ს, ორეულის დახმარებით ახორციელებს.

ანალოგიური ლირიკული ორეული შემოყავს გურამ დოჩანაშვილსაც "ვატერ(პო)ლოოში" აფრედერიკ მეს სახით, რომელიც ფრანგული ლიტერატურის ცნობილ გმირს, პროსპერ მერიმეს კარმენს, საბჭოთა სიგარეტის კოლოფზე გამოსახული ნატურალიზებული და მატერიალურ გარსში გახვეული კარმენით უპირისპირდება. დაკვირვებული თვალი ამ დაპირისპირებაში ჩვენი სოციალური ყოფიერების უმნიშვნელოვანეს ასპექტებსაც განჭვრეტს (მხატვრული ეფექტი ამ შემთხვევაშიც ეპიკური თეატრისათვის ნიშანდობლივი ირონიული თამაშის ხერხით არის მიღწეული).

გურამ დოჩანაშვილი პროსპერ მერიმეს თხზულებას ისევე შლის "შემადგენელ ნაწილებად", როგორც ბრეგვისი - შექსპირის პიესას. ამას ითხოვს ირონიული თამაშის წესი.

მოთხრობაში კარმენი თავისუფლების იდეის კაშკაშა მეტაფორაა. სწორედ მისი სახე უქმნის ნათელ ფონსა და "დიდ დროს" თხზულების დანარჩენ გმირთა "კარნავალურ" სამყაროს.

დოჩანაშვილის თხზულებაში გაშლილი მოქმედება მწერლის ლირიკული ორეულის, აფრედერიკ მეს, ცნობიერების სცენაზე თამაშდება. მას ორმაგი ფუნქციური დატვირთვა აქვს - როგორც პერსონაჟს და როგორც თეატრულ ნიღაბს ამოფარებულ ავტორს. გმირისა და ავტორის ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ეპიკური თეატრის კონცეფციაში პოულობს ფართო გავრცელებას. შორს რომ არ წავიდეთ, ქართულ სინამდვილეშიც დაიძებნება პარალელები. გავიხსენოთ ბიძინა კვერცხის ოპერის ("იყო მერვესა ნელსა...") რობერტ სტურუასეული ინსცენირება, რომლის ლიბრეტოს მეხუთე საუკუნის ქართული აიგოგრაფიული თხზულების ტექსტი დაედო საფუძვლად. სპექტაკლის ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟი (მოხეტიალე მსახიობთა დასის ხელმძღვანელი), ამასთანავე, საოპერო ნაწარმოების ლიტერატურული პირველწყაროს ავტორიცაა (იაკობ ზუცუცი).

მხატვრული გაუცხოების ეს ხერხი ჩვენი ეროვნული ფენომენის ორ განსხვავებულ სიბრტყეზე - ისტორიულ და ფარსულ-გროტესკულ ასპექტებში გააზრების საშუალებას იძლევა. ერთ სიბრტყეზე მოჩანს მამა-პაპათა ეროვნული იდეალები, მეორეზე - ამავ იდეალთა დღევანდელი ნაშთი და ირონიულ-პაროდიულ სამოსში გახვეული ნამსხვრევები.

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობას ფსიქოლოგიურ ქვეტექსტს უქმნის მთავარი პერსონაჟის - ბესამე კაროსა და ისტორიის მასწავლებლის - კარტუზო ბაბინიას ურთიერთობა. მათ შორის უთანხმოების მიზეზად ის იქცევა, რომ ახალგაზრდა მუსიკოსს იდეალად ბეთჰოვენი დაუსახავს, მასწავლებელს - ნაპოლეონი.

ბეთჰოვენი და ნაპოლეონი თავისუფლებისა და ტირანიის სიმბოლოებია. ბონაპარტიზმის იდეის საინტერესო ინტერპრეტაციებს ვხვდებით ოთარ ჭილაძის, ჯაბუა ამირეჯიბის, გურამ დოჩანაშვილის რომანებში, თენგიზ აბულაძის ფილმებსა თუ რობერტ სტურუას სპექტაკლებში. ბეთჰოვენი კი ადამიანთა წარმოდგენებში ნათელ, დემოკრატიულ ძალებს განასახიერებს.

ამ ორი ტიტანის ცხოვრება დროშიც თანხვედა, ამიტომ ბონაპარტ-ბეთჰოვენს შორის "განხეთქილებამ" მათივე მოღვაწეობის პერიოდში იჩინა თავი. ცნობილია, რომ ბეთჰოვენმა თავისი გმირული სიმფონია, თავდაპირველად ნაპოლეონისადმი მიძღვნილი, საბოლოოდ ველინგტონის გამარჯვებას უძღვნა ნაპოლეონის არმიას. ბეთჰოვენ-ნაპოლეონის პოლარულმა წყვილმა ტრადიციული აქცენტებით ქართულ ხელოვნებაშიც შეასრულა თავისი საქმე. ამ აზრს ადასტურებს რობერტ სტურუას "ყვარყვარესა" და თენგიზ აბუ-

ლაძის "მონანიების" მუსიკალურ ქვეტექსტში გამოტანილი ბეთჰოვენის მუსიკა... მისი ბრძოლისა და თავისუფლებისაკენ მონოდება კონტრასტულ ეფექტად უკუიფინება ბონაპარტისტული ფსიქოზით შეპყრობილ გმირთა სამყაროში.

"ვატერ(პო)ლოოში" მუსიკალური კონტრასტის მაგივრობას სარაგოსელი მუსიკოსების მიერ შესრულებული ბეთჰოვენის მესამე (გმირული) სიმფონია ასრულებს, რომელიც გრანდიოზულ ზემოქმედებას მოახდენს ახალგაზრდა მუსიკოსზე. გმირი ესწრაფის მთელი ენერჯია მაღალ მონოდებას, ხელოვნებას, შეალოოს, მაგრამ სულ სხვა სამყაროში გადაინაცვლებს, სადაც უმონყოლოდ ითვლება სიკეთის, სიღამაზისა და თავისუფლების ჰუმანიტური იდეალები. საბედისწერო გადანაცვლების მიზეზი ხასიათთა კონფლიქტია, რაც გმირს სულიერი და სოციალური წესრიგიდან უზნეობის ქაოსში აბრუნებს. ბაბილონისა შეკითხვაზე, რაში მდგომარეობს ყველაზე დიდი ადამიანის (ნაპოლეონის) ყველაზე დიდი შეცდომა, ბესამე პასუხობს, რომ ყველაზე დიდი ადამიანის (ბეთჰოვენის) ყველაზე დიდი შეცდომა ის იქნებოდა, მესამე სიმფონიის თავფურცელი ნაკუნებდა რომ არ ექცაო (თავფურცელი ნაპოლეონისადმი მიძღვნას წარმოადგენდა). ამის შემდეგ ბესამე კაროს "გამოსასწორებლად" გაამწესებენ, სადაც უფრო გამოცდილი ჯალათი ზრუნავს მისი სულის დაუფლებაზე.

გურამ დოჩანაშვილი ხშირად სიტყვის ირონიული ქვეტექსტით ახდენს გმირთა პროვოცირებას: ამორალურ ჰერცოგს მორალესი ჰქვია, ჰერცოგის გუნდრუკისმკმეველ უღირს კარტუზოს მოსწავლეები სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებული აღმატებითი სახელებით მიმართავენ, კაცთმოძულე რექსაჩს კი "ჩიტუნელას" ეძახიან.

ფილისტერული გარემოს ირონიული უარყოფა ყველგან და ყველაფერში იგრძნობა - მოთხრობის სტილისტურ დინამიკაში, სიტყვათა გრამატიკულ და ლექსიკურ მოდიფიკაციებში, მრავალმხრივი შინაარსით დატვირთულ კომპოზიტებში, ტრაგიკულ სიტუაციათა კომიკურ ინტერპრეტაციებში, გმირთა შესტებსა და მიმიკაში.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოთხრობის კომპოზიციური წყობა იქნება, პოეტიკა თუ სტილისტიკა, საბოლოო ჯამში, ერთ მთავარ ამოცანას ემსახურება, რომლის "კანონიკურ" ენობრივ ნორმათა ტყვეობაში მოქცევა შეუძლებელია. "ვატერ(პო)ლოოს" ავტორის ამოცანა კი სავსებით ნათელია - ისეთი დუალისტური მხატვრული მოდელის შექმნა, რომელიც ორ განსხვავებულ განზომილებაში დაანახებს ადამიანს ცხოვრებასა და საკუთარ თავს - რეალურ მისწრაფებებსა და ზნეობრივ იდეალთან დაპირისპირებაში.

რომანტიკული ირონიის "მაესტრო" ჟან-პოლი აღნიშნავდა, რომ სამყარო მუდმივი გააადამიანურების პროცესშია, ოღონდ, საქმე ისაა, ვინ აადამიათურებს მას, კატორღების ზედამხედველის თუ ჰომეროსის სული". დოჩანაშვილისეული მხატვრული სამყაროს ფორმირებაში ორივე მონაწილეობს, სადაც ბეთჰოვენია "ჰომეროსის სული" - ის უმადლესი ზნეობრივი ორიენტირი, რომელიც ირონიულ "კონტრაფურს" უქმნის მორალესების, კარტუზოებისა და რექსაჩების უზნეობით მონამულ სამყაროს.



ორჰან ფამუქი და თურქული პარადოქსი

თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული მწერალი ორჰან ფამუქი დაიბადა 1952 წელს, სტამბულში, შეძლებული, დასავლური ორიენტაციის ოჯახში. მისი პირველი რომანი "ჯევედეთ ბეი და მისი ვაჟები" (1982) თურქეთში ორი ლიტერატურული პრემიით დაჯილდოვდა. ორჰან ფამუქი ავტორია რომანებისა "მდუმარე სახლი" (1983), "თეთრი ციხე-სიმაგრე" (1985), "შაჟი ნიგნი" (1990), "ახალი ცხოვრება" (1995), "მე მქვია ნითელი" (1998), "თოვლი" (2002), "გულუბრყვილობის მუზეუმი" (2008). მიღებული აქვს მრავალი ლიტერატურული ჯილდო თურქეთსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. 2006 წელს მიენიჭა ნობელის პრემია.



— ბატონო ფამუქ, გერმანიის წიგნის ბაზრობაზე გადმოვეცათ მშვიდობის ჯილდო, როგორც — ლიტერატურული, ისე პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. რომელი უფრო სასიამოვნოა თქვენთვის?

— ცოტა არ იყოს, ირონიულად მეჩვენება, რომ თურქებიც და გერმანელებიც ასე უსვამენ ხაზს ჯილდოს პოლიტიკურ მხარეს. ლამის ისიც თქვან, რომ ჩემი რომანების ლიტერატურული ღირებულება დიდი ვერაფერი საბაძეა. ჩემი ბედი, რომ ბოლო რომანი შეგნებულად პოლიტიკურია.

— რატომ გახდა „თოვლი“ გამორჩეულად პოლიტიკური რომანი?

— კარგა ხანია, გამოვთქვამ პოლიტიკურ შეხედულებებს, ოღონდ გაზეთებსა და ჟურნალებში, და არა — რომანებში. ასეთი რამ სამშობლოში სახელს გითქვამს. ვილაცხას ხელს უბრუნებ და საქმე მწვავდება. მერე დადგა დრო და საკუთარ თავს ვკითხე: ხომ არ სჯობს, ჩემი პოლიტიკური შეხედულებები წიგნში აღვწერო, უბრალოდ, გულის მოსაფხანად?

— განსხვავებით თქვენი სხვა ნაწარმოებებისგან, სადაც მოქმედება მეტწილად სტამბულში ხდება, ამ რომანის სიუჟეტი თურქეთის პროვინციაში, ყარსში ვითარდება. რატომ აირჩიეთ ფონად სოფელი?

— ოც წელს რომ გადავბიჯე, ქვეყნის დათვალიერება მომინდა და მთელი თურქეთი მოვიარე მეგობართან ერთად. ყარსში მომიხილა პროვინციის უნაპირო სიერცხეობა და სიღამაზე, და კიდევ უცხო ელფერმა ქალაქისა, რომელიც რუსების აშენებულია და ძალზე განსხვავდება დანარჩენი თურქეთისაგან. ეს გონებაში ჩამრჩა. როცა "თოვლის" წერა დავიწყე, ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ყარსი იდეალური ფონი იქნებოდა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ აქ ზამთარში დიდთოვლობაა ხოლმე.

— კა რომანის მთავარი გმირია, მაგრამ არის კიდევ ერთი პერსონაჟი, სახელად მოხრობელი, რომელიც კას სიკვდილის შემდეგ მის ამბავს იკვლევს. ჰგავს თუ არა ორჰან ფამუქი პერსონაჟ ორჰანს?

— რომანის პერსონაჟი ისაა, მე კი არა, თუმცა ჩემი წიგნები გაცილებით უფრო ავტობიოგრაფიულია, ვიდრე მკითხველს ჰგონია. ჩემს მეგობრებს, კარგად რომ მიცნობენ და ჩემს ოჯახის წევრებს ეს ძალიან ახალისებთ. პირადული რომანში განზოგადოებულად იქცევა.

— დღეს ბევრს თურქეთის გამორჩეულ ინტელექტუალად მიაჩნის ხართ. პარადოქსი არ არის, რომ არასოდეს მოგინდებიათ რომელიმე კულტურული ორგანიზაციის წევრობა, თუმცა კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ხართ?

— გულწრფელად გეტყვით, ეგ არასოდეს მინანია. მას მერე, რაც ჩემი ქვეყანა ასე გატანჯეს პოლიტოკოსებმა და საერთაშორისო რეპუტაცია დავიმკვიდრე, მთელი ქვეყნის ჟურნალისტებმა დამინყეს ლამპარაჟი ჩემი ქვეყნის პრობლემებზე. ეს გარდაუვალი იყო, ისეთი რამ იყო, რასაც ვერ გაექცევი.

— თქვენ აღიარებული მხარდამჭერი ხართ თურქეთის ევროკავშირთან შეერთებისა. როგორ გგონიათ, ძალზე კრიტიკული რომანი "თოვლი" როგორ სამსახურს უწევს ამ საქმეს?

— ზუსტად ვიცი, რის თქმას ცდილ-

ობთ. ჰოლანდიაში ერთმა მეგობარმა მი-თხრა: იცი, რა, — მხარს ვუჭერდი თურქეთის ევროკავშირში მიღებას, მაგრამ შენი რომანი რომ წავიკითხე, შევძრუნდიო. ვუპასუხე — ეს ისტორიული რომანია-მეთქი.

— კი მაგრამ, მანდ 1990-იან წლებზეა ლაპარაკი!

— სწორედ ეგერა. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. მხოლოდ იმ იმედმაც კი, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება, ევროკავშირის წევრები გავხდეთ, თურქეთში ოფიციალური ვითარება შეცვალა. ჩემი წარმოდგენით, რომანში აღწერილი მოვლენები ხდებოდა 1990-იანი წლების დასაწყისში, როცა დიდი მღელვარება იყო იმის გამო, რომ შეიძლებოდა, ძალაუფლება ისლამის ფუნდამენტალისტებს ჩაეგდოთ ხელში. ამიტომაც ვთქვი, რომ ეს ისტორიული მოვლენაა.

— საზარელი სამყარო ასახეთ — დაუნდობლობა, ეთნიკური და რელიგიური მტრობა, ძალადობა და მკვლელობა.

— ამან დადამიანები არ უნდა დააშინოს. "თოვლი" მართლაც ასახავს თურქეთის პროვინციულ, შეუწყნარებელ პოლიტიკურ კულტურას; კულტურას ქვეყნისა, სადაც სახლობენ ფუნდამენტალისტები, პოლიტიკური ისლამისტები, თურქი და ქურთი ნაციონალისტები, სხვა ეთნიკური ჯგუფები, სამხედროები, ათეისტები და სასტიკი მკვლელები. ეს ყველაფერი შეიძლება აშინებდეს ევროპულს, რომელიც გაცილებით უფრო ლიბერალურ გარემოებებს იცნობს. მაგრამ განა რომანისტი საქმე ის არ არის, რომ ამ ხალხის ადამიანური თვისებები, მათი ჩვენთან მსგავსება ასახოს?

— მართლა გჯერათ, რომ თურქეთი ასე შეიცვალა ბოლო ათწლეულში?

— დიახ, მჯერა. ევროსაბჭოსთან შეერთების იმედმა ქვეყანა შევებით ამოასუნთქა. როცა მეკითხებოდა, თურქეთი მზად არის თუ არა ევროპაში შესასვლელად, ვპასუხობ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. მოლაპარაკებები ახლა დაიწყო. თურქები ევროკავშირს ხვალ კი არ შეუერთდებიან, მათ იმედი აქვთ, რომ ათ წელიწადში ამ ორგანიზაციის წევრები გახდებიან, და იმ დროისათვის ქვეყანა ეკონომიკურად, პოლიტიკურად და კულტურულად განვითარდება.

— მაგრამ როგორც თქვენს რომანშია აღწერილი, ჯერ კიდევ არიან მეზობელი ისლამისტები, შეუპოვარი ქემალისტები და რელიგიური ფანატიკოსები...

— ...და მათ უმეტესობას ევროპაშიც ნახავთ. თურქეთის ისტორია ევროპის ისტორიაცაა, შესაძლოა, 20-30 წელიწადი იყოს განსხვავება. მაგრამ ეს შუალედი თანდათან მცირდება.

— რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი სხვაობა ევროპასა და თურქეთს შორის?

— ევროპული ისტორიის სისხლიანმა ომებმა და სისასტიკემ ევროპელებს ასწავლა, რომ მშვიდობისთვის მთავარია მიმტვევებლური, რელიგიური სიძულვილისგან დატოვებული პოლიტიკა. ეს კონცეფცია ჯერ არ არის დამკვიდრებული თურქების შეგნებაში, ესაა მიზეზი, რომ მშვიდობა ჯარის ძალისხმევით დავიმკვიდრეს. მაგრამ მას მერე განწყობა შეიცვალა.

— თქვენს რომანის მთავარი გმირი თავს ათეისტად მიიჩნევს. თქვენც ეგრე ხომ არ ხართ?

— არ მომწონს ეგ ტერმინი. წარსულში მაგის გამო ბევრი გამოჩენილი ინტელე-

ქტუალი ტრაგედიას ქმნიდა. ჩემი რელიგია რთულია. ჩემი ნამდვილი რელიგია ლიტერატურაა. ბოლოს და ბოლოს, სრულიად არარელიგიურ ოჯახში ვარ გაზრდილი.

— თავი მაშამდიანად მიგაჩნიათ?

— თავი მიმაჩნია ადამიანად, რომელიც მაშამდიანური კულტურიდან მოდის. ასეა თუ ისე, არ ვიტყვოდი, რომ ათეისტი ვარ. ასე რომ, მე ვარ მაშამდიანი, რომელიც ისტორიულ და კულტურულ არსს უკავშირებს რელიგიას. მე არა მჯერა ღმერთთან პირადი კავშირისა; ეს ტრანსცენდენტურად ხდება. მე თავს ვაიგივებ ჩემს კულტურასთან, მაგრამ მიხარია ცხოვრება მიმტვევებულ, ინტელექტურ კუნძულზე, სადაც შემოძლია, ურთიერთობა მქონდეს დოსტოევსკისთან და სარტრთან, რომლებმაც დიდი გავლენა იქონიეს ჩემზე.

— თავის დროზე რატომ ყოყმანებდა თქვენი თურქი გამომცემელი "თოვლის" ორიგინალური ვერსიის გამომცემის გამო?

— კანონთან დაკავშირებით მაშინდელი ვითარება სრულიად განსხვავდებოდა დღევანდელისგან. ვილაცხები ფიქრობდნენ, რომ კარგი იქნებოდა, წიგნი ჯერ იურისტებისთვის გვეჩვენებინა. დანამდვილებით არ ვიცოდით, რას იტყოდა პროკურატურა რომანში ასახულ ამბებზე. მიჩნეულია, რომ სამხედროების კრიტიკა მორალურად გასაკიცხია, რადგან ეს ხეობა ისეთ ძალზე მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა სექსუარლიზაცია. იურისტმა დაგვარწმუნა, რომ რომანში მასალის უმეტესობა ნორმალურია.

— ქურთების საკითხზე ან სომხების საქმეზე განცხადების გაკეთებისას არ იყოყმანებთ?

— ჩემი წიგნების მიღმა უკვე ვსაუბრობდი ამ თემებზე, რაც თურქეთში ისედაც იოლად გაგხვევდა შარში. მოდი, ასე ვიტყვი: არამართო დოსტოევსკი, არამედ XIX საუკუნის ბევრი დიდი მწერალი წერდა მკაცრი ცენზურის პირობებში. რომანი... რომანის წერის ხელოვნება დიდებული რამაა, რადგან შეგიძლია, რაზეც გინდა, იმაზე წერო. ოღონდ უნდა თქვა, რომ ეს გამონაკლისია. "თოვლიც" ასე იყო. ხალხმა ისე არ აღიქვა, როგორც ემიხოდათ.

— თუმცა თქვენ იყავით და დღემდე ხართ ფიზიკური ანგარიშსწორების სამიზნე თურქეთში.

— როცა თურქეთმა ევროკავშირთან დაახლოება დაიწყო, ჩემს გარდა სხვასაც ბევრს აფორიაქებდა, რომ შეიძლებოდა, ერთ დღესაც პრობლემად ქცეულიყო შავი ლაქა თურქეთის ისტორიაში — უფრო სწორად, ოტომანთა იმპერიაში; ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის, რაც სომხებს დავმართათ I მსოფლიო ომში. ამიტომაც ვერ ავუვლიდი გვერდს ამ თემას. მე ფაქტზე მივანიშნე — მაგრამ ნამდვილად არ ჩამიფიქრებია ეს ერუდიტულ რემარკად — ამაზე ლაპარაკი თურქეთში ძნელია.

— იმ ფაქტს, რომ ასი ათასობით სომეხი ამოხოცეს, ახლა რას უძახიან თურქეთში?

— ჩემს რემარკას მძლავრი აფეთქება მოჰყვა. როცა რამე ფეთქებადი დამალულია და მიჩქმალულია, შიგნით დულს დაძაბულობა, რომელიც საბოლოოდ უნდა გამოთავისუფლდეს.

— მაინც დაჟინებით ერიდებით ამის გენოციდად ხსენებას. ფაქტიურად, ეს სიტყვა არასოდეს გიხმარიათ.

— იმიტომ, რომ არ მინდოდა. კაცმა

რომ თქვას, სიტყვა "გენოციდი" თურქულ გაზეთებში პირველად ჩემზე თავდასხმისას გამოიყენეს, თუმცა მე ეს გამოთქმა არ მიხმარია. მერე ევროპელებმა ციტატებში ახსენეს. რა უნდა მექნა? მას მერე, რაც ხალხმა უეცრად ტაბუდადებულ ამბებზე დაიწყო ლაპარაკი და ჩემს წინააღმდეგ ნამდვილი სიძულვილის კამპანია აგორდა, ძალიან გამიჭირდა მომეთმინა და არ მეპასუხა: ეგ არასოდეს არ მითქვამს!

— მაშინ ცოტა ხნით ნიუ იორკში გადახვედით. ფაქტიურად, გაიქცით?

— აზვიადებთ. ეგაა თქვენი სამუშაო. კოლუმბიის უნივერსიტეტმა მიმიწვია, ერთ დროს იქ ვსწავლობდი. ჰოდა, ცოტა ხანს დავრჩი, სულ ეს არის.

— ნერვიულობთ იმ სასამართლოს გამო, რომელიც უნდა გაიმართოს "თურქული ინტელექტუალისთვის საჯარო ცილისწამების გამო"?

— მე პატივი უნდა ვცე ჩემი ქვეყნის კანონებსა და საკანონმდებლო სისტემას. ამიტომ მაგ საქმეს ძალიან სერიოზულად ვეკიდები. თუმცა არა მგონია, რომ ამ ამბავს ჩემთვის მნიშვნელოვანი ლეგალური შედეგი მოჰყვეს. მაინცდამაინც არ ვნერვიულობ.

— მაშ არ ელით, რომ დაგაპატიმრებენ?

— ნამდვილად არა.

— ციხეში ერთხელ მაინც ჯდომა ღირსების საქმე ხომ არ არის თურქი ავტორისთვის?

— გაცილებით მეტი პატივი არ იქნება, რომ პირველი თურქი მწერალი იყო, ვინც იქ არასდროს არ მჯდარა?

— გჯერათ, რომ თურქი პრემიერ-მინისტრი ერდოგანი მხარს გიჭერთ?

— როცა მართლა ძალიან მიჭირდა, ერდოგანი მხარს არ მიჭერდა.

— თავისი განკარგულებების გამო სინანული გამოთქვა.

— აბა რა, საერთაშორისო ასპარეზზე გავიდა და რა უნდა ექნა. თურქეთის ევროსაბჭოში შესვლა უნდა. ეგეც არ იყო, არ უნდა დაგავინწყდეთ, რომ ეგ კაციც ციხეში იჯდა, მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე ლექსი თქვა ზეპირად.

— თქვენი აზრით, ვინ არის ერდოგანი — თავდადებული რეფორმატორი თუ ისლამისტი, რომელიც კარგად ნიღბავს ნამდვილ ზრახვებს?

— ჩემი აზრით, პირველყოფისა, ორგანიზატორია, საუცხოო ორგანიზატორი. ხისტი კაცია. ისლამის მისეული ფორმა — ტიპიური შუააღმოსავლური ფუნდამენტური რიტორიკა — ათი წლის წინ საკმაოდ გავრცელებული იყო თურქეთში. მას მერე გეზი აიღო ძალზე გამორჩეული პოზიციისკენ — სახელდობრ, მოისურვა, თურქეთი წინ წაწინა ევროპისკენ, და ამას მხარი დაუჭირეს ისლამისტებმა, ყოფილმა ისლამისტებმა, ალაგ-ალაგ სექულარისტებმა და თურქი მოსახლეობის 70-მა პროცენტმა. ახლა თუ მკითხავთ, ეგ შეუსაბამოდ ხომ არ უღერსო, გეტყვით, რომ არა, მშვიდობისკენ დიდი ცვლილებები ხშირად მოდის იმ ხალხისგან, ვინც თავიდან მშვიდობისდიდი ქომაგები არ ყოფილან.

— რამდენად ძლიერია თურქეთში ევროპის იდეა?

— აბა, დაფიქრდით, ამ ცოტა ხნის წინ როგორ გაახარა ერი იმ ამბავმა, რომ ევროკავშირთან მოლაპარაკებები დაიწყო. ეს ქვეყანა, თავისი პოლიტიკური შეუწყნარებლობით, რომელსაც აღვწერდი, ახლა მზადაა წინსვლისთვის, სომხებთან დაკავშირებული ტაბუს მსხვერვისთვის, დიდ ნაბიჯებს აკეთებს ადამიანის უფლებებისა და სიტყვის თავისუფლების პატივისცემით, ისე რომ, შეუძლია, ევროკავშირს შეუერთდეს. მხოლოდ აქედანაც ჩანს, რა მძლავრია ევროპული იდეა.

— ამაყობთ, თურქი რომ ხართ?

— რასაკვირველია. ვამაყობ, რომ თურქი ვარ, რომ თურქულად ვწერ თურქულზე, და 40 ენაზე ვითარებები. მაგრამ არ მინდა მოვლენების პოლიტიზება მათი დრამატიზებით.

— შეგიძლიათ, გავგიხილოთ, რის თქმას აპირებთ მშვიდობის ჯილდოს მიღებისას?

— მინდა ევროპასთან შეერწყმა მისი რომანის დიდებული ხელოვნების მეშვეობით.

თარგმანი ნინო ქაჯაია

ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
შურნალისტიკა ხათუნა ალხაზიშვილი, თამარ ყურული
ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com